გალერიან გუნიას
შედგენილი და გამოცემული

ქართული მიწერ-მოწერის კრებული

ტფილისი
სტამბა წიგ. გამ. ქარ. ამხ—ისა Типогр. Груз. Издат. Т—ства.
1892

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ მაღაზიებში

გალერიან გუნიას

თხზულებანი და გამოცემანი

ქართული თეატრი

(1879-დამ 1889-მდე)—**ფასი ორი აბაზი**

შინაარსი: 1) ქართულ სამუდამო სცენის სახსოვრად, ლექსი. 2) წინასიტყვაობის მაგიერ. 3) ქართული თეატრის დასაწყისი და მისი თავგადასავალი. 4) ქართული სამუდამო სცენა (1879-დამ 1889-მდე) 5) რა ეჭირვება ქართულს თეატრს? 6) ქართველი დრამატურგები. 7) ქართველი არტისტები. 8) დრამატიული ხელოვნება. 9) სასცენო ხელოვნება და 10) თეატრის მნიშვნელობა.

მ ა რ ი ნ ე

ისტორიული მოთხრობა—**ფასი ექვსი შაურა.**

საქართველოს კალენდარი

1893 წლისა

კალენდარი დასურათებულია მრავალის სურათებით

ფასი ცხრა შაურა.

უბის წიგნი

1893 წლისათვის

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით

ფასი ორი აბაზი.

სახალხო კალენდარი

1893 წლისა

სურათებით და სასარგებლო ცნობებით

ფასი ერთი შაურა.

ვალერიან გუნიას-მიერ შედგენილი და გამოცემული

ქართული
მიწერ-მოწერის
პრეგული

სრული და გრძელი სახელმძღვანელო
სხვა-და-სხვა
გარათებისა და წერილების შესადგენად
ყოველ-გვარ შემთხვევისთვის

—სამ ნაწილად—

გამოცემა პირველი

19657

Академия наук СССР
Акад. И. Гришашвили
имени
Библиотека-Музей
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი

ტფილისი
სტამბა ი. ა. მანსვეტოვისა, ლ.-მელიქოვის ქ., სახ. 28.
1891

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Сентября 1891 г.

Типографія Я. А. Мансветова

წინასიტყვაობა

ყველგან, სადაც-კი წერა-კითხვა იციან, სხვათა მრავალთა სახელმძღვანელოთა შორის, მოიპოვება აგრეთვე, ესრედ წოდებული, ბარათებისა და წერილების შესადგენი სახელმძღვანელოებიც, ანუ მიწერ-მოწერის კრებულები, როგორც მაგალითად: რუსულ ენაზე „письмовникъ," ფრანგულზე — „recueil de lettres," ნემენცურზე—„Briefsteller," და სხვ.

ამგვარ სახალხო გამოცემათა სარგებლობაზე ბევრი თქმა და ლაპარაკი, ვგონებთ, მეტი იქმნება, რადგან თვით საგანი ისე მარტივი და ცხადია, რომ შეუძლებელია, ვინმემ ეჭვი იქონიოს მათ საჭიროებასა და სარგებლობაზედ.

მდაბიო ხალხს, და არა თუ მარტო მდაბიოს, არამედ ხშირად წერა-კითხვის მცოდნეთაც კი უჭირდებათ ხოლმე ზოგიერთი წერილებისა და ბარათების მართებულად წერა და შედგენა.

აი, იმათთვის იქმნება სწორედ ზედ მისწრებული და ფრიად სასარგებლო სახელმძღვანელო ეს ჩვენ მიერ განზრახული და უკვე გამოცემული

„მიწერ-მოწერის კრებული“, მით უმეტეს რომ აქამომდე ქართულ ენაზე არა ყოფილა ამგვარი გამოცემა, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ ამ საუკუნის დამდეგ (თუ არ ვცდებით 1815 წ.) გამოცემულს „საზოგადო მდივანბეგობაჲ“ გოდერძი ფირალოვისას. ეს წიგნი დღეს ბიბლიოგრაფიული განძია და ერთი ცალი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავშიაც ინახება.

რაც შეეხება ჩვენი „მიწერ-მოწერის კრებულს“, როგორც პირველ ცდას და ნაბიჯს, რა თქმა უნდა, ზოგიერთი ნაკლი და შეცდომილება თავიდან მოშორებული არ ექმნება, მაგრამ შემდეგში, როცა დაკვირება და გამოცდილება შეგვაფარდებინებს და შეგვათვისებინებს ჩვენ სურვილს მკითხველ საზოგადოების ნამდვილ მოთხოვნილებასა და საჭიროებასთან, მაშინ, იმედი გვაქვს, ჩვენი „მიწერ-მოწერის კრებული“ შეეასწოროთ, შეეავსოთ და ერთი ათად გავაუმჯობესოთ. ჯერ-ჯეროობით-კი დავჯერდით ამ ზომას ამ შინაარსით.

ვალერიან გუნია

ნაწილი პირველი

ორიოდე სიტყვა

საზოგადოდ ყოველ წერილზე.

ყოველი წერილი თუ ბარათი თავისთავად იგივეა, რაც საყოველდღეო ჩვეულებრივი ჩვენი ლაპარაკი ანუ საუბარი, ხოლო ქაღალდზეა გამოყვანილი.

ამიტომაც ბარათი უნდა იქმნეს შედგენილი უსათუოდ მკაფიოდ და მარტივად, გასაგებად ადვილი და გასაგონად სასიამოვნო. ყოველივე ისრე სწორედ, როგორც მართებული და ჩვეულებრივი ლაპარაკი არის ხოლმე ცხოველი და მკვირცხლი.

ესეთი თვისება დამწერს ღირსებად ჩამოერთმევა, ხოლო ზოგიერთების ვითომ-და ღრმა აზროვანი —ძნელად გასაგების ენით და პრტყელ-პრტყელი სიტყვებით აჭრელებული — წერილები-კი ეხლა, ჩვენს დროში უადგილოცაა და სასაცილოც.

წავიდა,—განჰქრა ის დრო, როდესაც მდაბიურ ქართულს იწუნებდნენ და ვერცალა ღრმა ქართულს

ახერხებდნენ; ეხლა—რაც უფრო წერილი მოკლეა, აშკარა, მარტივი და მკვირცხლი—მით უკეთესია და უფრო ღირსეულიცა.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თვით **წერას**, ე. ი. ხელს. ისე ცუდი არა არის-რა, როგორც გაუგებარი ხელი და უშნო ბლაჯვნა, და არც რიგია, სხვა რომ არა იყოს-რა. აბა, რა საკადრისია, კაცს წერილი მისწეროთ—მთელი ღდე იმის გარჩევასა და გამოცნობას მოანდომებინოთ და თვალები შეგ ჩაა-წყალებინოთ.

კარგია კიდევ, თუ გაარჩია და მიხვდა წერილის საგანსა, თორემ ხშირად სრულიად წაუკითხავიცა რჩებ-ბა ხოლმე ამგვარი წერილები. როცა წერილსა სწერთ, თქვენთვის-კი არა სწერთ, არამედ სხვისთვის, ამი-ტომაც ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, ის პირი ვისაცა სწერთ.

უკეთესია ნელა სწეროთ და გარკვევით, ვიდრე სწრაფად და ჯღაბნით. ხელის გასწორებაც ძრიელ ადვილია, თუ მოინდომებთ და გარკვევით წერას გულს დაუდებთ.

არა ნაკლები მნიშველობა აქვს თვით **ხელის მოწერასაც**.

ზოგი ისე მოაწერს ხელს, რომ ეშმაკიც ვერ გაარჩევს. სამწუხარო ის არის, რომ ზოგს ასეთი უცნაური და ჯანაბური ხელის მოწერა რაღაც დიდ-რამედ მიაჩნია, თითქოს ასეთი გაურჩეველი ხელის მოწერით მისი რაიმე ღირსება მტკიცდებოდეს.

ჩვენის აზრით-კი გაურკვეველი ხელის მოწერა სხვა არაფერს მოასწავებს, გარდა დიდის უმეცრობისა და უზრდელობისას.

მრავალნი ამ შემთხვევაში, ეჭვი არ არის, ჰბაძავენ ზოგიერთ გამოჩენილ მწერალთა და მოღვაწეთ, რომელთა გაურჩეველი ხელის-მოწერა სცოდნიათ, მაგრამ ამ მიმბაძველთ არ აგონდებათ ის გარემოება, რომ უმეტესობა იმ გამოჩენილ პირთა—თითქმის ოთხი მეხუთედი—კარგა და გარკვევით აწერენ ხელსა თუნდ ესეც არ იყოს, რაც დიდს და გამოჩენილს კაცს ეპატიება, იგივე პატარას თავის სიპატარავისათვის დანაშაულად ჩამოერთმევა ხოლმე.

ბარათებისათვის მომეტებულად ხმარობენ ესრედ წოდებულ ფოსტის ქაღალდს. **ქაღალდი ყოველთვის სუფთა უნდა იყოს**. უწესოებად ჩაითლება ნახევარ თაბახზე წერა. არზებისათვის საჭიროა უსათუოდ მთელი თაბახი ჩვეულებრივი საწერი ქაღალდისა; საკომერციო და ახლო პირებთან მისაწერ ბარათებზე შეიძლება თაბახის ერთი თავში დაბეჭდილი იყოს დამწერის სახელი და გვარი.

ყოველივე წერილზე, ბარათზე, არზაზე თუ სხვა საქმის ქაღალდზე უსათუოდ უნდა იყოს აღნიშნული **რიცხვი** ე. ი. წელიწადი—თვე—და—დღე.

აგრეთვე ქალაქი ანუ სოფელი ე. ი. ადგილი, საიდანაც იწერება წერილი.

ეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყოველი წერილისას, განსაკუთრებით საკომერციო და საქმის

ქალალდებისასა. რიცხეს სხვა და სხვა ადგილს უსმენ: ხან წერილის თავში მარჯვნივ და ხან წერილის ბოლოში მარცხნივ: საკომერციო და საქმის ბარათებზე რიცხვი ზევით უნდა, ხოლო არზებზე და სხვა ამ გვარ ქალალდებზე ქვემოდ. კერძო მიწერ-მოწერაში-კი სურვილისამებრ — შეიძლება თავშიაცა და ბოლოშიც. ხოლო რიცხვის დასმა წერილის ბოლოში ნიშნავს პატივისცემას, ნამეტნავ, თუ წერილი ეკუთვნება თქვენზე უფროსს, ხარისხოვან ანუ დარბაისელ კაცსა.

ყოველ წერილს თავასი შესაფერი **დასაწყისი** უნდა. მაგალითად: უცხო პირს — მოწყალეო ხელმწიფევ, თუ ბატონო, ანუ თქვენო მალალ-კეთილ-შობილებავ, ანუ თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენო აღმატებულებავ და სხვა.

ხოლო თუ პატივისცემაცა ესურთ გამოაჩინოთ, მაშინ სახელი და მამის სახელიც უნდა მოიხსენიოთ.

ნაცნობებისა და ნათესავებისათვისა ასე იწყებენ: ძვირფასო, უსაყვარელესო, სანატრელო, სასურველო და სხვა.

ყოველ წერილს უსათუოდ მარცხნივ სიგძეზე სუფთა ადგილი უნდა ჰქონდეს დატოვებული ანა ნაკლებ ორი თითის სიგანისა. შეიძლება მეც ესეც პატივისცემის და ზრდილობის ნიშანია; აგრეთვე წესიერება მოითხოვს, რომ იგივე წერილი თავ ბახის ნახევრიდამ დაიწყოთ, ანუ ცოტა მოშორებით წერილის დასაწყისიდან.

როგორც წერილების და ბარათების დაწყება არის სხვა და სხვა ნაირი, აგრეთვე სხვა და სხვა ნაირია მათი **დასრულებაც**.

უცხო და მაღალ წოდების პირებთან წერილს აბოლოვებენ ასე: „უღრმესის პატივისცემით,“ ანუ „დავშთები თქვენი უმდაბლესი მონა ან მოსამსახურე“, ანუ კიდევ, „თქვენი აღმატებულების თუ თქვენი ბრწყინვალების უმდაბლესი ანუ უმორჩილესი მონა“; ხოლო ნათესავსა და ნაცნობთან: „თქვენი ერთგული, მზა თქვენი სამსახურისათვის, შენი დღეგრძელობის ანუ ბედნიერების მოსურნე“ და სხვა.

რაკი წერილი დაიწერა და გათავდა, **დაკეცვა** უნდა. წერილი შეიძლება ორ ნაირად დაიკეცოს: ერთი — როცა პატივის-ცემის გამოჩენა გსურთ, მაშინ თაბახი ორად უნდა გადიკეცოს და დიდ კონვერტში ჩაიდვას, ხოლო მეორე შემთხვევაში შეიძლება სამად დაიკეცოს და ისე ჩაიდვას პატარა კონვერტში. ზოგნი კონვერტზე ლაქასაც აკვრენ, მაგრამ ეს ჩვეულება თან-და-თან ისპობა.

მკლოვიაროობის დროს კონვერტს შავი ლაქა უნდა დეეკვრას, ანუ თვით კონვერტი სამგლოვიარო უნდა იყოს, ე. ი. კონვერტს ირგვლივ ნაპირებზე შავი ზოლი უნდა ჰქონდეს შემოვლებული. ესრეთივე შავი არშიანი უნდა იყოს წერილის ქაღალდიც, როდესაც წერილი სამგლოვიაროა ანუ სასამძიმრო.

არზის ქალალდები ჯერ უნდა გადიკეცოს სიგრძეზე, მერე სიგანეზე და, თუ სადმე გასაგზავნია, დიდს განგებ იმისათვის მომზადებულს კანვერტში უნდა ჩაიდვას.

ამის შემდეგ კონვერტზე იწერება ადრესი. პირველი საქმე ადრესის დაწერისა ის არის, რომ გარკვეულის ხელით იყოს წარწერილი. ადრესზედ ჯერ იწერება წოდება ანუ ხარისხი, მერე სახელი, მამის სახელი და გვარი და ბოლოს ადგილი, ქალაქი, ქუჩა და სახლი თავის ნომრით; ხოლო როცა წერილი იგზავნება იმისთანა ადგილას, სადაც ფოსტა არ მიდის, მაშინ მახლობელი ფოსტის სტანცია უნდა იყოს ზედ აღნიშნული და მერე სადაც გენებოთ გაგზავნეთ.

ზოგჯერ კანვერტზე ადგილი პირველად იწერება და მერე-კი სახელი და გვარი, მაგრამ ზრდილობისა და პატივისცემისათვის ადგილს ბოლოში მოაქცევენ ხოლმე და იმასაც-კი მიაწერენ თუ ვისგან არის წერილი.

სხვა და სხვა გვარი წერილები

(მოკლე დარიგება წერილებისა და ბარათების შესადგენად)

ყოველს ადამიანს თავისი — მისებური — წერის კილო აქვს და, რა თქმა უნდა, ყოველი კაცის რაიმე

კერძო შემთხვევისათვის შესაფერი წერილის შედგენა ძნელზედ უძნელესია და თითქმის შეუძლებელიცა. ამიტომ ჩვენს „მიწერ-მოწერის კრებულში“ იქნება შოყვანილი მხოლოდ უფრო უსაჭიროესი და ცხოვრებაში გამოსაყენებელი წერილების ნიმუშები.

ყველა წერილები თუ ბარათები შინარსის მიხედვით შეიძლება დაიყოს სხვა და სხვა ჯგუფად. ჩვენც, შეძლებისა დაგვარად, ვეცდებით დავყოთ ჩვენს „კრებულში“ წერილები იმ რიგზე, რა რიგსაც თვით ცხოვრება და მისი მოთხოვნილებანი გვიჩვენებს. ვიმეორებთ, ყველა წერილების ნიმუშებს ვერ შევადგენთ და არც საჭიროა; ჩვენ აქ დავასახელებთ მხოლოდ უმთავრესთა და უსაჭიროებს.

ა) პირველი რიგობის წერილებს, ჩვენის აზრით, უნდა შეადგენდეს **მოკითხვის ბარათები მშობელ-ნათესავებთან და მეგობრებთან.** ამ გვარ ბარათების წერას არც ერთი კაცი არ არის აცდენლი: ყველასა ჰყავს მშობლები, ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები.

მართლაც და, მოიძებნება განა სადმე იმისთანა ადამიანი, რომ არ ესიამოვნებოდეს და არ ეხალისებოდეს თავისიანთან მიწერ-მოწერა, თავისი სიმწუხარისა თუ სიხირულის, უბედურობისა თუ ბედნიერების გაზიარება თავის გულს მახლობელთან, ერთმანერთის ამბის და ვინაობის შეტყობა, ერთი მეორისათვის აზრთა და შთაბეჭდილებათა გაზიარება. მოკითხვის

წერილების შედგენა ძნელი არ არის; ესეთი წერილი რაც უფრო გულ-წრფელად არის ნაწერი, მით უკეთესია. რაც უფრო ბევრი ცნობებია შიგ მოქცეული და დაწერილებით მოთხრობილი, მით უფრო უმჯობესია და სასიამოვნო მკითხველისათვის.

თუ ის, ვისაც წერილსა სწერთ, თქვენი ახლოკაცია, მაშინ ყოველი თქვენი ნაბიჯის და ყოფა-ცხორების დაწერილებით შატყობა მისთვის დიდად სასიამოვნოა და დაუფასებელი; ამიტომ სჯობს ყოველთვის სწეროთ ის, რასაც გული გეუბნებათ და მხოლოდ მარტო მაშინ, როცა გული გერჯით და თვით წერაც-კი მართლა ნამდვილადა გსურთ და გეხალისებათ. ერთის სიტყვით, მოკითხვის წერილი უნდა იყოს წრფელის გულით დაწერილი და საესე გრძნობით გამსჭვალული. უამისოდ ძალ-დატანებითა და უნდომრად ნაწერი ჩალადაც არა ღირს — არც სულს მიეკარება, არც გულს.

ბ) მეორე რიგობის წერილებს, თუ ასე შეიძლება, უნდა ვუწოდოთ **შესატყობანებელი** ანუ **ძაუწყებელი ბარათები.** ამ გვარის ბარათებით ატყობინებენ და აუწყებენ ხოლმე ყველა ნაცნობსა თუ უცნობსა რაიმე ბედნიერებას თუ უბედურებას; ამისთანა ბარათებს კარგა დაკვირვება და მოფიქრება უნდა.

ხშირად მოხდება რომ ვისმე, მახლობელსა თუ შორეულს, უნდა აუწყოთ ვისიმე ან ფრიად სამწუხარო ამბავი ან დიდად სასიამოვნო; იმიტომ, როგორც ერთსა აგრეთვე მეორე შემთხვევაშიაც, თვით კილო

წერილისა უნდა შეუსაბამოთ წერილის საგნის ბუნებას: სასურველია, ოფიციალური და სამწუხაროა — დაღონებული. ყოველ შემთხვევაში წერილი მოკლე და მგრძნობიერი უნდა იყოს.

3) მესამე რიგში წერილებში მოვაქცევთ ბარათებს **უცხო პირებთან, ნაცნობებთან სხვა და სხვა საქმისა გამო.** ამ გვარი წერილების შედგენა ერთიორად უფრო ძნელია, ვიდრე პირველებისა. აქ საჭიროა კილო მშვენიერი, ენა წყლიანი, ზომიერება და ზოგერთ ადგილებში ულამაზესობა.

უცხო კაცის წერილს ყოველთვის უფრო მეტს ყურადღებას აქცევენ და მეტად აკვირდებიან, ვიდრე ნაცნობებისას. ხშირად მარტო ერთი ამგვარ წერილით აფასებენ ხოლმე იმ მიმწერავი უცხო კაცის ცოდნას, ნიჭსა და ფიქრა-გონებას.

როგორადაც ძნელია პირველ შემთხვევაში ერთ უცხო კაცთან ლაპარაკის ჩამოგდება, სწორედ ისე ძნელდება ხოლმე წერილის დაწყებაცა; — და მართლაც, ისე ძნელი არ არის-რა, როგორც ამ გვარი წერილის დაწყება.

ამისთანა წერილები იწყება მოზომეტებულად დიდის ბოდიშით და ბოლოს ნელ-ნელაობით გადადიან თვით წერილის საგანზე. რაც უფრო დინჯი და დამჯდარია ამისთანა წერილის კილო, მით უფრო უკეთესია. არც ოხუნჯობა, არც ენა მაბვილავობა არ უხდება ამგვარ წერილებს, ნამეტნავ ხომ, თუ მაღალ წოდების კაცთანა გაქვს საქმე.

თუ სათხოვარი გაქვსთ რამე, ისე უნდა სთხოვოთ, რომ იმის ხასიათს და გუნებას შეეფერებოდეს, ამისათვის საჭიროა წინადვე შეიტყოთ იმისი ხასიათი და ზნე-ჩვეულება. ზოგს ძრიელ უყვარს, რომ აქონ, ზოგს-კი ჭირივით ეჯავრება, ზოგს ჭკუა და გონიერობა მოსწონს, ზოგს გულწრფელობა და გულკეთილობა, ზოგს სიმართლე, ზოგს კიდეე პირ-მოთნეობა და სხვა.

ეს ყველაფერი საჭიროა მხედველობაში იქონიოთ და ამის შესაფერი კილოთი სთხოვოთ თქვენი სათხოვარი, მაგრამ არავითარი შემთხვევაში არამც და არამც მეტის მეტად თავი არ დაიმციროთ.

ვინც ჰფიქრობს, რომ ცრემლითა და გოდებით კაცს შეიძლება თავი შევაბრალოვო ის ძლიერ შემცდარია. ცრემლით და წუწუნით აჭრელებული წერილი მიზანს ვერ მიაღწევს. ყველაზედ უკეთესია ამ შემთხვევაში საქმის დასაბუთება და თავის გარემოებათა დასურათება. ეს უფრო ნამდვილი და სწორე გზაა და იმავ დროს ღირსეულიცა. წუწუნი და ცრემლი-კი თავისივე თავის დამამცირებელია.

როცა უფროსს სწერთ რასმე, სჯობს პირდაპირ საქმეს შეუდგეთ, ამას არც წინასიტყვაობა უნდა, არც შესავალი. ამითი თუ არ მოიგებთ, არას წაგებთ. პირდაპირ საქმეზე ლაპარაკი უფრო კარგ შთაბეჭდილებას აზდენს, ვიდრე უადგილო და ტყუილად სიტყვის გაჭიანურება, რომელიც ხშირად ყბედობაში ჩამოერთმევა ხოლმე კაცსა.

დ) მეოთხე რიგობის წერილები იქმნება, ეგრედ წოდებული, **მისალოცი, სანუგეშო** და **სამძიმრის ბარათები**. მართალია, ესეთი ბარათები მაინც და მაინც არც-კია საჭირო, მაგრამ რაკი ერთი და ერთი ცხოვრებაში მიღებულია, ჩვენც უნდა მივყვეთ ამ მოთხოვნილებას.

გონების თვალით რო შეეხედოთ ამისთანა წერილებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მილოცვა თუ სამძიმარი არც დამწერისათვისაც არის საჭირო და არც მიმღებისათვისა: არც დამწერსა და არც მიმღებს ამითი არცა-რა შეემატება, არცა-რა დააკლდება, მაგრამ, ვიმეორებთ, ცხოვრება და ზრდილობა მოითხოვს ამას და ცხოვრების მოთხოვნილებას ხომ ვერც ჩვენ გავექცევით.

ამგვარ ბარათების წერაში პირველი საქმე ზომიერობაა. მილოცვაში თუ მისამძიმრებაში ადვილად შესაძლებელია კაცმა გადააჭარბოს და გადამლაშება ხომ არაფერ საქმეშიაც არ არის მოსაწონი.

როცა ამგვარ წერილს მახლობელსა სწერთ, მაშინ კიდევ ცოტად თუ ბევრად საქმე ადვილდება, და როგორც უნდა მისწეროთ, ის მაინც თქვენს გულწრფელ სიტყვას, როგორც თქვენი მახლობელი კაცი, გულ წრფელადვე მიითვლის. უცხო კაცთან-კი მილოცვის თუ მისამძიმრების წერილიც ისრევე ძნელია, როგორც ზემორე ნახსენები წერილები. განსაკუთრებით დიდი ხერხი უნდა სამძიმრის წერილს, რადგან ხშირად ერთ უალაგო სიტყვას შეუძლიან ძველი

ჭრილობის ხელახლად აშლა და ეს ხომ ნუგეშიც ძლარ გამოჩენა. კილო, ამგვარ წერილებისა, უნდა იყოს მეტად მგრძნობიარე.

3) მეხუთე რიგობაში უნდა ჩავთვალოთ **გასაგ-ნობები** (წარსადგენი) ანუ სათავდებო, ან კიდევ როგორც ამბობენ, **სარეკომენდაციო წერილები** ამ-გვარი წერილებით წარადგენენ და გააცნობენ ხოლმე თავის მახლობელ კაცს იმ პირს, რომლისათვისაც უნ-დათ მას რამე სთხოვონ.

სარეკომენდაციო ბარათების წერა დიდს სიფრ-თხილით უნდა. სწორედ ძალიან კარგად უნდა იც-ნობდეს კაცი კაცს, რომ სხვასთან უთავდებოს და არა თუ თავისი თავი, არამედ ის თავისი მახლ-ბელიც კი მახეში არ გააბას; ეს ძლიერ ადვილი მოსა-ლოდნელია, თუ ვინიცობაა ის თქვენ მიერ წარ-გზავნილი ანუ გაცნობილი კაცი ურიგო გამოდგა და არ გაამართლა თქვენი სიტყვები და თქვენი იმედი.

ამას გარდა ესეც უნდა კარგად მოიფიქროთ და ასწონ-დასწონოთ: ექმნება იმ თქვენ წერილის და თავდებობას რაიმე ძალა და მნიშვნელობა თუ არა. ამისათვის, სჯობს, ჯერ უწინარეს კარგა მოიფიქ-როთ: რავდენად პატივსაცემი ხართ თქვენ თვითონ იმ თქვენ ნაცნობის თვალში, რამდენად პატივ-სადები იქნება ის თქვენი წერილი და რამდენად მართლა სანდოა ის თქვენი სათავდებო პირი. უნდა მხედვე-ლობაში იქონიოთ ამასთანავე ესეც: შეუძლიან იმ თქვენ მახლობელ კაცსა, ვისაც წერილსა სწერთ, ძა-ლიან გულითაც რომ მოინდომოს, აგისრულოთ თხოვნა თუ ვერა.

ეს სიფრთხილე და მოფიქრება საჭიროა სამსაევესათვის: ვინცა სწერს, ვისაც სწერენ და ვისზედაცა სწერენ. რეკომენდაციის წერილში მოიხსენებენ უპირველესად იმ მიზეზებს, რომელმაც გამოიწვია თვით წერილი და იმისი სათხოვარი, მერე აღუწერენ სათავდებო პირის ღირსებებს, როგორც პატიოსანი და გამოსადეგი კაცისას და ბოლოს დაურთავენ ბოდიშს შეწუხებისათვის და სხვა.

3) მექვსე რიგობაში მოჰყვება **დარიგების ბარათები.** ამისთანა წერილების შედგენას ბევრი ცოდნა, მკაცრი ენა, გონივრული და მოსაზრებული მსჯელობა ეჭირვება.

13651

ხშირად მოხდება რომ ვინმე, ჩვენი მახლობელი, ნამდვილს გზას ასცდება, თავისი უმართებულო საქციელით პატიოსანი საზოგადოებიდან გამოირიცხება და სხვა... საჭიროა გონივრული რჩევა: დროზედ მისწრება მეგობრულის ანუ მამა-შვილურის დარიგებისა და აი ამისთანა შემთხვევებში კარგად შედგენილს დარიგების წერილს კაი საქმე შეუძლიან.

როცა შეცდომილ ადამიანს პირ-უთვნელად და იმავ დროს სიყვარულით უხელთ თვალს თავის უწესო და შეუფერებელ საქციელზედ, ეჭვი არ არის, რომ ის გასწორების გზას დადგება.

თუ ამბობენ ხოლმე, რომ კარგს მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, ჩვენის აზრით, ცუდის გამგონს უფრო კარგი მთქმელი უნდა და დარიგების წერილებში პირველი საქმე კარგი თქმა არის. აქ

საჭიროა საბუთების ძალა და გონიერული აწონ-დაწონვა დასარიგებელის ყოფა-ქცევისა. ამასთანავე დარიგების დროს აუცილებლივ თვალ-წინ იქონიეთ დასარიგებელის ხასიათი, მისი ზნე-ჩვეულება, თავ-მოყვარეობა და სხვა.

იმ მხრით უნდა მოუაროთ დასარიგებელის ზნეს-ხასიათს, საიდგანაც უფრო მაგრა ჩაეჭიდებოდეს ხელი, როგორც უფრო მოუხდებოდეს და მოეხერხებოდეს მის ბუნებას. წერილი ზოგჯერ უფრო მკვახე სჯობიან, ზოგჯერ-კი ტკბილი, ხოლო ყოველ შემთხვევაში და ყოველთვის სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალული ყოველივე სიტყვა წერილისა.

ზ) მეშვიდე რიგობის წერილებს ეუწოდებთ **მადლობის ბარათებს**. ამ წერილებზე ბევრი არა ითქმის-რა.

გრძნობა მადლობისა ისეთი რამ არის, რომ თვითონვე გამოსთქვამს თავის სათქმელს.

ჩვენ მხოლოდ ერთს ვურჩევთ: მადლობის წერილებში ნურც მეტის მეტად მაღლა ასწევთ თქვენს კეთილის-მყოფს და ნურც თქვენს თავს დაიმცირებთ,. არც პირველი და არც მეორე არ არის სასიამოვნო. მადლობის წერილის კილო დამოკიდებულია თვით იმ საგაგანზე, რა საგანზედაც უთვლით მადლობას. რა თქმა უნდა, ურიგო არ იქნება რო მადლობის ბარათში სამაგიერო რამე თქვენც დაჰპირდეთ, ხოლო თუ ის პირი, ვისაცა სწერთ, თანამდებობით და ხარისხით თქვენზე მაღლა სდგას, მაშინ სამაგიერო

გადახდაზე სიტყვაც არ ითქმის, რადგან უზრდელობაშიაც ჩამოგერთმევათ და საწყენადაც დარჩება წერილის მიმღებსა. ყოველ შემთხვევაში მადლობის წერილებს უფრო მხიარული კილო შეჰფერის.

ბ) მერვე რიგგოისა იქმნება **საბოდიშო** წერილები ესეთი წერილი შედეგია რაიმე შეცდომისა ან შეცოდებისა და ამისგამო მუდამ ბოდიშის მოსახდელია.

ბოდიშის მოხდა შეიძლება ორ ნაირი იყოს: ერთი მართალი და გულწრფელი, მეორე-კი რაიმე გარემოებათა და სხვა და სხვა მიზეზებისა გამო გამოწვეული.

პირველ შემთხვევაში ჩვენ თავის თავად ვიხდით ბოდიშს, რადგან დამნაშავედ ვგრძნობთ ჩვენს თავს, ხოლო მეორეში-კი ან იმისთვის, რომ ხელ-ახლად აღვადგინოთ ჩვენი ღირსება, პატივი და სხვა, და ან იმისათვის რომ ვისიმე თვალში ყურადღება დავიმსახუროთ. ორსავე შემთხვევაში წერილის კილო რბილი და საბუთიანი უნდა იყოს და თან სინანულით გამსჭვალული.

თ) მეცხრე რიგობაში მოჰყვება **წერომის** და **განკიცხვის ბარათები.** ეს წერილები ხშირია მშობელთა, ნათესავთა და მეგობართა შორის. ჩვენ გვაშფოთებს ზოგიერთი უწმაწური ქცევა ჩვენი მახლობელი კაცისა და ამისათვის ვკიცხავთ და ვუსაყვედურებთ ხოლმე იმათ.

პირველი საქმე ამისთანა წერილებში ზომიერობაგადამლაშება საკადრისი არ არის; უკმეხი სიტყვე-

ბი და ურიგო ხსენება ადამიანის ღირსებას შეჰლახავს და ამიტომ ხშირად სარგებლობის მაგიერ ენების მოტანა შეუძლიან; თუმცა-კი, ვიმეორებთ, შეურაცხყოფისათვის შეურაცხჰყოფენ ხოლმე, მაგრამ აქაც არ უხდება უშველი სიტყვების ხმარება, აქაც თავის შეკავებაა საჭირო, რადგან, სხვა რომ არა იყოს-რა, თვით დამწერის ღირსებაასაც-კი ამცრობს და შეჰლახავს უწმაწური სიტყვა-პასუხი.

ზომიერობა პირველი საქმეა ყველაფერში და თვით აფეთქებულ გულის წყრომაშიაც.

ი) მეათე რიგობის წერილებს ვუწოდებთ **სამეჯნურო** და **საარშიყო წერილებს.** ამ წერილებზე ცოტა არ ითქმის და ბევრის თქმა ბევრს დროს და ადგილს მოინდომებს. მხოლოდ ერთს ვიტყვით:

სიყვარული ისეთი ძლიერი და იმავ დროს თავის ნება რამ არის, რო ყოვლად შეუძლებელია კაცმა საარშიყო წერილებისათვის რაიმე რიგი და წესი დაადგინოს. რაც უფრო შმაგი, ცხოველი, წარმტაცი და ძლიერია საარშიყო ბარათის კილო., მით უფრო ძლიერი და ზედ გავლენიანია.

ია) მეთერთმეტე რიგობისაში უნდა მოვაქციოთ სხვა და სხვა არა საჭირო, მაგრამ ზოგჯერ აუცილებელი წერილები, მაგალითად: **მოწვევისა, მოშვატიჟებისა, თანხმობისა, უარის. მოგონებისა, დაცდისა** და სხვა. ამ ბარათების შედგენას ბევრი არაფერი უნდა-რა. საჭიროა მხოლოდ თქვენი სურვილი

ნათლად იყოს გამოთქმული და კილოც ყველგან ზრდილობიანი იყოს ნახმარი.

ᲘᲑ) მეთორმეტე და უკანასკნელ რიგობაში უნდა მოვაქციოთ **საქმის წერილები.** ამ წერილებზე იმის მეტი არა გვეთქმის-რა, რომ ყოველ საქმის ბარათს, მართლა-და საქმის ნიშან-წყალი უნდა ეტყობოდეს. საქმის წერილებშივე იქნება მოყვანილი ანდერძის წერილები, სხვა და სხვა საკომერციო და ხელშეკრულობის ბარათები, რწმუნების, ვექსილების და სხვა მრავალი საქმის ბარათებიცა.

რა თქმა უნდა, აქ ჩამოთვლილი თორმეტი რიგობის გარდა არის კიდევ მრავალ გვარი წერილები და ბარათები, რომელნიც ჩვენი საგნისთვის ისე საჭირო არ არის, როგორც აქ ჩვენ-მიერ მოყვანილი ნიმუშები მათის შინაარსის მიხედულობით.

ყოველს მიწერ-მოწერაში აუცილებელია აგრეთვე წოდების (ხარისᲝის) დასახელება რომელიც მომეტებულ შემთხვევაში მოიხსენიება ხოლმე ან თვით წერილში, ბარათის დასაწყისში, ან ადრესში.

რადგან ჩვენ ჯარა-ჯერობით დღეს რუსეთის ხარისხის ხელში ვიმყოფებით, ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ რუსული ტიტულების სხვა და სხვა დასახელება, მით უფრო რომ ადრესზე ხარისხის თუ წოდების მოხსენება აუცილებელია.

ტიტულები არის სამხედრო, სამოქალაქო და სასულიერო.

ხოლო სამოქალაქო და სამხედრო ტატულები განიყოფება 14 კლასად.

პირველი კლასის ტიტულებს ეკუთვნიან: კანცლერები, გენერალ-ფელდმარშლები, მინისტრები, გენერალ-ადმირალები, დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკები.

მეორეს — გენერალი კავალერიისა, ინფანტერიისა, არტილერიისა, გენერალ-ინჟინერები, ადმირალები, დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკები, ობერ-კამერგერები, ობერ-გოფმეისტრები, ობერ-გოფმარშლები, ობერ-შენკები, ობერ-შტალმეისტრები და ობერ-ეგერმეისტრები მთავარ მართებლები, და მინისტრები.

ამ ორი კლასის ხარისხების მექონეთ ეწოდებათ.

თქვენო მაღალ აღმატებულებავ—Ваше Высокопревосходительство.

მესამე კლასის ტიტულებს ეკუთვნიან: გენერალ-ლეიტენანტები, ვიცე-ადმირალები, ტაინი სოვეტნიკები.

მეოთხეს:—გენერალ-მაიორები, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები, კონტრ-ადმირალები, გოფმეისტრები, ობერ-პროკურორები შტალ-მეისტრები, ობერ-ცერემონიმეისტრები.

ამ ორის კლასის ხარისხების მექონეთ ეწოდებათ:

თქვენო აღმატებულებავ—Ваше Превосходительство.

მეხუთეს-სტატსკი სოვეტნიკები და ობერ-გაუპტმანები, ამათ ეწოდებათ.

თქვენო მაღალ-შობილებავ — Ваше Высокородіе.

მექვსეს:—პოლკოვნიკები, კაპიტანები პირველი რანგისა და კოლეგსკი სოვეტნიკები.

მეშვიდეს—პოდპოლკოვნიკები, კაპიტნები გვარდიისა, შტაბ-როტმისტრები, კაპიტნები მეორე რანგისა, ნადვორნი სოვეტნიკები.

მერვეს—კაპიტნები არმიისა, კაპიტან-ლეიტენანტები, როტმეისტრები და კოლეგსკი ასესორები.

ამ მექვსე, მეშვიდე და მერვე კლასის ხარისხების მექონეთ ეწოდებათ:

თქვენო მაღალ კეთილ-შობილებავ—Ваше Высокоблагородіе.

ხოლო მეცხრედან მოყოლებული ვიდრე მეთოთხმეტე კლასის ხარისხების მექონეთა, ე. ი. კაპიტნები, შტაბს-კაპიტნები არმიისა, პორუჩიკები, პოდპორუჩიკები, პრაპორშჩიკები, კორნეტები, მიჩმანები, ტიტულიარნი სოვეტნიკები, კოლეგსკი და გუბერნიის სეკრეტრები და სენატის და სინოდის კოლეგსკი რეგისტრატორები, ყველა ამათ ეწოდებათ:—**თქვენო კეთილშობილებავ**—Ваше Благородіе.

სასულიერო წოდების პირებს შემდეგი ტიტულები აქვთ და ეწოდებათ ასე:

მღვდელს—თქვენო დირსებავ ან პატიოსნებავ — Ваше Блогословеніе.

დეკანოზს და მონაზონს—თქვენო მაღალ-დირსებავ ან მაღალ პატიოსნებავ —Ваше Высокопреподобіе, Ваше Преподобіе, ანუ Высоко Благословеніе

იღუმენს, მონასტერის წინამძღოლს და არხიმანდრიტებს,—თქვენო მაღალ დირსებავ ან მაღალ პატიოსნებავ Ваше Высокопреподобіе.

ეპისკოპოზებს თქვენო ეოვლად უსამღვდელოესობავ—Ваше Преосвященство;

მთავარ-ეპისკოპოსებს, ეგზარხებს და მიტროპოლიტებს—თქვენო მაღალ ეოვლად უსამღვდელოესობავ — Вше Высокопреосвященство.

პატრიარქებს და კათოლიკოსებს—თქვენო უნეტარესობავ ანუ უწმინდესობავ ანუ მეუფეობავ Ваше Блаженство ანუ Ваше Святѣйшество

აზნაურისშვილებს—თქვენო მაღალ კეთილ შობილებავ—Ваше Высокородіе.

თავადიშვილებს—თქვენო ბრწყინვალებავ Ваше Сіятельство

მთავრებს—თქვენო უგანთლებულესობავ—Ваша Свѣтлость

დიდს მთავრებს—თქვენო უმაღლეობავ Ваше Высочество

მემკვიდრე ცესარევიჩსა—თქვენო იმპერატორებითო ეოვლად უმაღლესობავ—Ваше Императорское Высочество.

ხოლო ხელმწიფე იმპერატორს თუ იმპერატრიცას—თქვენო იმპერატორებით დიდებულებავ—Ваше Императорское Величиство. ანუ ოვალად უმოწყალესო ხელმწიფეკ თვით-მეფობელო, ოვალად უკანთლებულესო თქვენო იმპერატორებით დიდებულებავ

Ваше Императорское Величество
Всемилостивѣйшій,
Государь Императоръ Самодержецъ.

უკანასკნელი სიტყვა

როგორ უნდა იხმაროს მკითხველმა **„მიწერ-მოწერის კრებული“**!

ჩვენის აზრით არც ერთმა მკითხველთაგანმა არ უნდა გადასწეროს თავისათვის ამ წიგნიდამ არც ერთი წერილი; ეს ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს ყველას, რადგან აქ მხოლოდ ნიმუშებია მოყვანილი და არა ნამდვილი წერილები. ნამდვილ წერილში თქვენ უნდა შეიტანოთ ბევრი ისეთი ცნობები, რომლებიც, სანთლითაც რომ ეძებოთ, ამ ნიმუშებში არ მოიძებნება.

ამ კრებულის შემდგენელს რო წინადვე სცოდნოდა ეგ თქვენი საჭიროება, ადვილად შეგიდგენდათ მაგისთანა წერილს. მაშინ იმ წერილს, მართლაც, გადაწერის მეტი არა დასჭირდებოდა-რა, მაგრამ ეხლა კი ეს მოუხერხებელია, რადგან არავისი პირადი

გაჭირება ჩვენ სახეში არა გვქონია. ჩვენ საყოველთაო სახმარებლად შევადგინეთ ეს კრებული და შევიტანეთ შიგ მხოლოდ მარტო ნიმუშები.

ვისაცა ჰსურს შეადგინოს რომელიმე წერილი ან ბარათი, უნდა გადაშალოს იმისი ნიმუშების განყოფილება, გადაათვალიეროს მთელი განყოფილება, ამოარჩიოს ერთ-ერთი სანიმუშო წერილი დაიმისდა მიხედულობით შეადგინოს თავისი საკუთარი. ესრეთი შრომა დიდად სასარგებლოა თვით დამწერისათვისაც, რადგან იგი დააფიქრებს და გონებრივ მუშაობას შეაჩვევს.

მზა-მზარეულის გადამწერი-კი მუდამ სხვის ხელთ შემყურეა და, სულ მცირე რამ ბარათის დაწერაც რომ უნდოდეს, თავისით ველარას მოახერხებს.

ნაწილი მეორე

მოკითხვის წერილები

მშობლებთან, ნათესავებთან და მეგობრებთან

დედ-მამისაგან ძისადმი

უსაყვარლესო შვილო, ან მეო (სახელი უნდა)!

პირველად შენს უენებლად ყოფნას და ყოველი განსაცდელისაგან დაცვასა ყოვლად შემძლებელ ღმერთსა ვთხოვ და მამობრეს ლოცვა-კურთხევას წარმოგივლენ.

რა ამბავია, შვილო, რომ აქამდე არაფერს მატყობინებ და პასუხს არ იძლევი ჩემს წერილზე? განკვირვებასა და უზომო მწუხარებას ვეძლევი შენის დუმილის გამო. არა მგონია რომ სიზარმაცით მოგდიოდეს. მაშ, შვილო, ავად ხომ არა ხარ? ხომ არა დაგემართა-რა? მალე შამატყობინე შენი ამბავი და დროით დაგვამშვიდე, თორემ მეტის

მოთმენა აღარ შემიძლიან. მომწერე უსათუოდ შენი ამბავი.

იყოს შენზედ კურთხევა ზეციერის მამისა.

მარად შენი დღეგრძელობის მოსურნე

მამი შენი (სახელი და გვარი)

მვირფასო შვილო . . . . . !

უწინარეს ყოველისა ეისურვებ შენთვის დღეგრძელობასა და ყოველ წარმატებას; ამასთანავე არ შემიძლიან არ მოგაგონო ზოგიერთი რამ, რომელიც შენ, ვგონებ, დაგვიწყებია.

შვილო . . . . .! სიზარმაცე ყველა სენზედ უარესი სენია. შენ-კი, თურმე, ამ ბოლოს დროს ბეჯითობაზე ხელი აგიღია, და ზარმაცობას მიჰყოლიხარ. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ეს მართალი იყოს! ეხლა შენ არც ისე პატარა და უჭკუო ხარ, რომ შენ თვითონ არ იცოდე, რისთვისაც ხარ სასწავლებელში. (ანუ საქმეში)

იბეჯითე შვილო, და ისე ხშირად ნუ მიეტანები სხვა-და-სხვა სიამოვნებასა და დროს გატარებას. ყველაფერს ამას თავის დროზე მოესწრები და ჯერ კი ის დაამთავრე, რისგანაც ლუკმა პურს უნდა გამოელოდე.

ეს ჩემი მამობრივი რჩევა მეგობრულად მიიღე და ნუ დაივიწყებ, რომ შენი ურიგო ყოფაქცევა სიბერეს გამიმწარებს და სამარეში ჩამიტანს.

წერა ნუ გეზარება და ხშირად მაცნობე ხოლმე შენი ავი და კარგი.

შენი მოსიყვარულე მამა . . . . . .

ჩემო საამედო და მკირფასო შვილო . . . . . !

შენც კარგად უწყი, რა მწუხარებაშია დედიშენის გული შენის მოშორებითა. ეს მწუხარება და მუდმივი შენზედ ფიქრი და დარდი ეხლა ხომ უფრო გაორკეცდა მაგ შენის დუმილითა. ეგოდენ ქამმან განვლო და შენგან-კი ჯერ ერთი ბარათიც არ მოგვსვლია, რომ გვეცნა რამე შენი ამბავი. არ ვიცი, რას მივაწერო შენი ესეთი ქცევა. ნუ დაგეზარება, შვილო, და რაოდენადაც შესაძლო იყოს ხშირ-ხშირად გვაუწყე შენი ამბავი.

შვილო . . . . ! თავს გაუფრთხილდი, არსად გაცივდე; ცუდს ამხანაგებს ნუ აჰყვები, რომ რამე უსიამოვნობაში არ გაგრიონ.

არ იწყინო-კი, შვილო, ეს ჩემი რჩევა. ხომ იცი, დედის გული მაშინ არის გახარებული, ოდეს ხედავს თავის ძეს ყველასაგან საყვარელსა და პატივცემულსა. სხვებრ შენს ამბავს ნუ მომაკლებ. იცოცხლე კეთილ-წარმატებით და ბედნიერად, რომ დაატკბო დღენი ჩემნი სიბერისანი.

შენი მშვიდობის ღმერთან მავედრებელი

დედა შენი . . . . . .

ჩემო კარგო და ერთგულო შვილო . . . . . !

შენი ჩემდამი სიყვარული და პატივის ცემა სრულიად მაკმაყოფილებს და მაბედნიერებს. აშკარად ვხედავ, რომ ჩემს შენზედ ზრუნვასა და შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. შენ ერთად ერთი მანუგეშებელი ხარ ჩემის სიბერისა და ყოვლად შემძლებელი წარმოაველენს შენზე თავის წყალობასა და კურთხევას.

გვესმის რა შენი მეცადინეობა და ბეჯითობა ჩვენს სიხარულს არა აქვს საზღვარი. დედაშენმა სიყვარულით, კოცნით და ლოცვა-კურთხევით მოგიკითხა. ნახვამდე შვილო. მე და დედაშენი თვალებს გიკოცნით.

ბედნიერი შენის დღეგრძელობითა

მამა შენი . . , . . , . .

დედ-მამისაგან ასულისადმი

საყვარელო ასულო ჩემო (სახელი) !

უწინარეს ყოვლისა უფალსა ვსთხოვ შენსა და შენი ქმარ-შვილის უვნებლად ცხოვრებასა.

დიდად მოხარული ვარ, რომ მრავალთაგანა შესმის ყოველი კეთილი შენზე და შენს ყოფა ცხოვრებაზედ. მჯერა, რომ შენ სიყვარულით ექცევი ქმარსა და შვილებს და ოჯახს საკეთილ-დღეოთ იღწვი, რადგან შენ პატარობიდანვე ჭკვიანი იყავი და ყოველი კეთილ - სინდისიერება და შრომის სიყვარული გქონდა გულში. შთანერგული. მადლობა

უფალსა და შენს მფარველ-შემწე ღმერთსა, რომ ყოველივე ჩვენი მეცადინეობა შენზე უნაყოფოთ არ დარჩა.

გახსოვდეს შვილო, რომ პირველი საქმე ოჯახის რიგზე წამოყენებისა და ცოლ-ქმრულის ბედნიერობისა არის ქმრის მორჩილება და სიყვარული.

შენ ყოველის მხრით ბედნიერი ხარ, შვილო, და არც ღმერთი მოგაკლებს რასმე, თუ მუდმივ ესეთი ოჯახის მუყაითი და ქმრის მოსიყვარულე, მორჩილი და ერთგული მეუღლე იქნები. სხვაფერ გთხოვ, რომ შენს ამბავს ხშირად გვაუწყებდე. შენი ქმარი-კი სიყვარულით მომიკითხე, ხოლო საყვარელთა შვილთა შენთა პირზე ვაკოცებ.

შენი კეთილ-ცხოვრების და დღეგრძელობის მოსურნე

მამა შენი . . . . . .

საგრფოვ ჩემის გულისა, ასულო ჩემო . . . . !

სიყვარულით მოგესალმები და ხილვად სასურველსა პირსა და თვალებს დაგიკოცნი მრავალ ჯერ.

შვილო . . . . ! შენც კარგად უწყი და გახსოვს, რაოდენადაც შესაძლებელი იყო მშობლისაგან, შენის გვარის და წოდების შესაფერად აღგზარდე და დაგაყენე კეთილ გზაზე.

ჩემო კეთილო, . . , . . ! თუმცა მრავალი კარგი და საქებარი მესმის მუდამ შენზედ, მაგრამ მაინც ნუ იწყენ დედის რჩევასა და დარიგებასა: ოჯახს, შვილ-

ებსა და ქმარს ისე უყლიდე, შვილო, ვითარცა შენი თვალის გუგასა.

მე იმედი მაქვს, რომ გამეტებულის მეცადინეობითა და გამრჯელობით, შენის საქები ყოფა-ქცევითა და რიგიანის ცხოვრებით აღამაღლებ შენს თავსა, მეც, შენს მშობელსა და ადიდებ მთელ შენს გვარეულობასა. არ დაივიწყო, შვილო. რომ დედაკაცი მხნე გვირგვინია ქმრისა და ბურჯია ოჯახის.

მომიკითხე საყვარელი სიძე ჩემი და სატრფო შვილის შვილები ჩემნი. ჩვენ ყველანი მშვიდობითა ვართ და ვისურვებთ თქვენთვისაც მშვიდობასა.

დავშთები მუდამ შენი მლოცველი დედა შენი . . . . .

მისაგან მშობელთადმი

მარად პატიგცემულო და საყვარელო მამაგ!

მივიღე რა თქვენი წერილი, მსგავსი სამღვთო დარიგებისა, გულს დარდები ჩამომეცალნენ და სიხარულმა აღმიტაცა ჯერ თქვენი უენებლად სუფევისა გამო და შემდგომ ეგოდენ თქვენი მამობრივის ჩემდამი სიყვარულისა გამო.

მოწყალეო მამავ, ვით სიყრმეში ეხლაც ისრე მახსოვს თქვენი მამობრივი რჩევა — დარიგებანი. და ღრმად მაქვს ჩანერგილი გულში ყოველი თქვენი სიტყვა.

ჩემი ამბის შეტყობა, უეჭველია, გესიამოვნებათ: მე თქვენის ლოცვა-კურთხევით ამ ჟამად ძრიელ კარგად გახლავარ, თუმცა ამ ორი კვირის წინეთ ცოტა უქეიფოთ ვიყავი.

მომიკითხეთ ჩემი ძვირფასი და უსაყვარელესი დედა, უთხარით რომ დღე და ღამ იმის მოგონებასა და ნახვას ნატვრაში ვარ!

ნუ მომაკლებთ თქვენს წერილებს.

იყავით დღეგრძელი თქვენცა და მთელა ჩვენი სახლობაც მრმვალ-ჟამიერ. მე იქნება ცოტას ნხით ჩამოვიდე, თუ მალე მოვრჩი ჩემ საჩქარო საქმეებს.

დავშთები თქვენი უერთგულესი ძე . . . . . .

ძვირფასო მშობლებო!

საცაა წელიწადი შასრულდება, რაც მე თქვენთვის წერილი არ გამომიგზავნია, თუმცა თქვენი წერილები ყოველ-კვირა მამდიოდა.

მე წარმოდგენილი მაქვს, რაოდენ მწუხარებას გამოიელიდით ამ ხანებში. ვინ იცის, რას არ იფიქრებდით, რას არ მიაწერდით ჩემს სიჩუმეს... გთხოვეთ მაპატიოთ და მომიტეოთ. საქმე ის არის, რომ აქამდე ავად-ვიყავი და განგებ არას ვიწერებოდი; ეხლა ღვთის მადლით და თქვენის ლოცვა-კურთხევით ცოტა უკედ ვარ და, იმედი მაქვს, მალე სრულებით მოვრჩე.

იკოცხლეთ დიდხანს თქვენი შვილების სასიხარულოდ და საბედნიეროდ. ეხლა-კი ხშირ-ხშირად გაუწყებთ ჩემზე ყოველისფერს, ოღონდ თქვენ ნუ გამიწყრებით და მალ-მალე მომწერეთ ხოლმე თქვენი ამბები. ნახვამდინ. ორთავეს ხელებს გიკოცნით.

დავშთები თქვენი მორჩილი და მოსიყვარულე შვილი. . . .

ყოველად კეთილო მამა ჩემო!

ეს არის ეხლა მივიღე თქვენი ბარათი და ვეშურები გიპასუხოთ, რაც თქვენგან დავალებული მქონდა ყოველივე რიგზე და წესზე მოვიყვანე. ამასთან უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენ მიერ მოცემული ფული შემომეხარჯა, რადგან გზაზე ათასი სხვა და სხვა მოულოდნელი ხარჯი გამომიჩნდა.

იმედია, რომ თქვენი მამობრივი გრძნობა არ დამტოვებს ასე ხელ-ცარიელს უცხო მხარეს და, რაოდენიც იქნება, შემეწევით. დარწმუნებული იყავით, რომ საჭიროებისათვის გთხოვთ ფულსა და არ ტყუილ-უბრალოდ.

ნახვამდე; ვისურვებ თქვენთვის ყოველს სიკეთეს და ბედნიერებას; მოუთმენელად მოველი იმ ნეტარ დღეს, როცა თქვენ და საყვარელ დედა-ჩემს სიყვარულით გადაგეხვევით კისერზე.

დავშთები თქვენის დახმარების იმედით,

მარად თქვენი პატივისმცემელი შვილი . . . .

მეფირფასო მშობელო!

აგერ რა ერთი ხანია, რაც მოშორებული ვარ შენს კეთილს სახეს, ვერ მესმის შენი ალერსიანი ხმა, ვერ ვხედავ შენს სიყვარულით სავსე თვალებს, ვერ ვკოცნი შენს ძვირფას ხელებს და ვერ ვეხვევი ჩემს დედილოს.

მაღალმა ღმერთმა და ჩემმა გულმა იცის, რა რიგ ვესწრაფი შენს ნახვას, შენთან ყოფნას და შენს მშობლურ კოცნა-ალერსსა; რა ვქნა, რომ გარემოება არ მიშვებს თქვენკენ, მაგრამ, ღმერთით მოწყალე, იმედი მაქვს, მალე ფნახავ და პატივისცემით დაგიკოცნი ძვირფას ხელებსა.

დავშთები თქვენი ძე (ან ასული). . . . . .

ასულისაგან მშობლებისადმი

უმეფირფასესო მოწყალეო ბატონო, მამა ჩემო . . . !

მომივიდა თქვენი წერილი სავსე მამობრივის მოწყალეობით და კურთხევითა, რისგამო დიდი მადლობა შევსწირე უფალსა. ღმერთმან და ღვთისმშობელმან ისე გაგახაროთ და გაგაბედნიეროთ, როგორც მე გამახარა თქვენმა წერილმა და გამაბედნიერა თქვენმა კარგა და უენებელად სუფევამ.

ბატონო-მამა ჩემო, თქვენი დარიგება, ვით მცნება ღვთისა ჩემთვის მუდამ ძვირფასი და ყურად-საღები

იყო და დღესაც ისე მივიღებ თქვენს რჩევა-დარიგებას, როგორც ზეცით მოვლინებულსა. მომიკითხეთ ჩემი მარად სანატრელი და დაუფასებელი დედა ჩემი.

ჩემი შვილები მოკითხვას გითვლიან და მათთან ერთად მეცა მრავალ ჯერ გაკოცებთ მოწყალე ხელებზე.

უმორჩილესი თქვენი ასული . . . .

მარად კეთილო და საკრფოვ გულისა დედ . . . !

პირველად აღტაცებულის სიყვარულით მოგეხვევი და ჩემს უხვად მოწყალე გულსა და ხელსა მრავალ გზით დაგიკოცნი.

უძვირფასესო დედავ! თქვენი წერილი მივიღე და ღმერთს მადლობა შევსწირე, რომ თქვენც და მამა ჩემიც, ორნივე ჯანსაღათ და მშვიდობითა ბრძანდებით. მეტი რაღა მინდა, თუ თქვენ კარგად მეგულებით. ყოველი სიტყვა თქვენის მოწყალე ბარათისა მარგალიტის ფასად მივიჩნიე. მერწმუნეთ დედა ჩემო, რომ არც ერთი თქვენი სიტვვა არ დამავიწყდება და ღრმად შთავიბეჭდავ სულსა და გულში, ხოლო კელავად გთხოვთ, არ მომაკლოთ დედობრივ მოწყალებასა თქვენსასა და გონივრულ რჩევა-დარიგებასა.

ჩემი ქალი და ვაჟი ალერსით და სიყვარულით თვალსა და ხელებს გიკოცნიან, თქვენი და პაპას ნახვა ენატრებათ და თქვენსკენ მიისწრაფიან.

ვისურვებ თქვენს დღეგრძელ ცხოვრებას, რომ მით ახარებდეთ გულსა თქვენის ასულისასა.

უმდაბლესი ასული თქვენი. . . . .

ბარათები ნათესავებთა-შორის

პაპისაგან შვილის-შვილს.

მგირფასო ჩემო შვილის-შვილო . . . . !

ჩემო (სახელი) როგორა ხარ, რასა იქ, შენი საქმეები როგორ მიდის, რას აკეთებ? ყველაფერი მომწერე.

იშრომე და ილვაწე შვილო; სანამ ახალგაზრდა ხარ და ძალა გაჭვს იმეცადინე. იცოდე, რომ კაცმა შენს ხანში უნდა შეიძინოს ცოდნა და გამოცდილება, თორემ მერე გვიანლა იქნება. ყოველი შენი მომავალი და ბედ-ილბალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევი ეხლა.

დამიჯერე, მე შენს პაპას, ცხოვრებაში ბევრ ვაივაგლახ გამოვლილ ბებერს, რომ რასაც ეხლა ხელიდამ გაუშვებ, სამემრისოდაც დაკარგული იქნება შენთვის და ვერას გზით ველარ დაიბრუნებ. ამას გარდა ისიც მინდა გირჩიო, რომ ცუდ-ყოფაქცევის კაცებთან და ურიგო ამხანაგებთან ნუ ჰმეგობრობ. მერწმუნე, ზიანის მეტს არაფერს შეგძენენ. ისევ დინჯი და საქმის მოყვარე ამხანაგი გერჩიოს. კარგი ამხანაგი ყოველთვის კარგს გირჩევს და ცუდს გზას აგაცდენს.

ასე შვილო, იშრომე და ილვაწე, რომ ჩვენ, შენის იმედით სულდგმულებმა, სიხარულით დავ-

ხუჭოთ თვალი და დამშვიდებით ჩავიდეთ სამარეში. დაუჯერე შენს მოხუც პაპას, რომელსაც შენ ასე უყვარხარ და მუდამ გლოცავს.

შენი პაპა. . . . . .

შვილის-შვილისაგან პაპას

ყოვლად კეთილო და ძვირფასო, ბატონო პაპაგ . . . . !

გულითად მადლობას გიძღვნით და დიდ პატივისცემას განგიცხადებთ, რომ შეც ღირსი გამხადეთ თქვენის ბარათისა. მე დიდათ ვაფასებ თქვენს წერილს, მით უმეტეს, რომ დიდად ვარ დავალებული თქვენის უზომო სიყვარულითა.

თქვენი გამოცდილება და რჩევა ჩემთვის მეტად ძვირფასია და ვეცდები ყოველი თქვენი გონივრული დარიგება სასარგებლოდ გამოვიყენო და ჩემის შეძლებისა-და-გვარად ვიშრომო და ვიმეცადინო ჩვენის გვარეულობის სასახელოდ და სასიქადულოდ.

თქვენი გამოცდილება და თქვენი კეთილი გული ვის არ მოაქცევს, ვის არ დააყენებს კეთილ გზაზე. ყველა თქვენი სიტყვა ჩემთვის მცნებაა. გარწმუნებთ ჩემო პაპავ, რომ არასფრით არ შეეურაცხვყოფ თქვენს პატიოსან სახელს, პირ-იქით ვეცდები, რომ უფრო პატივსაცემი გავხადო. ღმერთმა ისეთ დღე ნუ გამითენოს რომ, ჩემის მიზეზით ვინმე გავაწბილო, ვისმე ჭუჭყი მოვაცხო და შეეაცხვინო.

ბოლოს მოვითხოვ თქვენს ლოცვა-კურთხევას და ვისურვებ, რომ თქვენი გონიერული დარიგება და რჩევა კვალად არ მოაკლდებოდეს ხოლმე თქვენ საყვარელ შვილის-შვილს.

დავ შთები თქვენი პატივისმცემელი შვილის-შვილი. . . .

ძმისწულ-დისწულისაგან მამიდა-დეიდასთან.

საყვარელო და კეთილო მამიდა (ან დეიდა). . . .

ვერ წარმოიდგენთ რა მძიმედ მეჩვენება თქვენი პატიოსანი ოჯახის მოშორება. საუკეთესო დრო ჩემის სიყრმისა თქვენ ჭერ-ქვეშ გამიტარებია, და რა საკვირველია, თუ მე ჯერ-ჯერობით უთქვენოდ. ჩემი ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია.

ისე შევეჩვიე თქვენს რჩევასა და დარიგებას, რომ უთქვენოდ ჩემი თავი ობლად მიმაჩნია. ზოგი დედა იმდენს ვერ იზამს თავისი ღვიძლი შვილისათვის, რამდენიც თქვენ ჩემთვის შრომა და ზრუნვა გაგიწევიათ.

ჩემი პირველი სურვილი ის არის, რომ უფალმა დღეგრძელ გყოთ და ბედნიერად გამყოფოთ, რათა მეც არ მომაკლდეს თქვენი კეთილი რჩევა და დარიგებანი.

თქვენი მოსიყვარულე და მარად პატივისმცემელი ძმისწული (ან დისწული). . . . .

დეიდა-ძამიდასგან ძმისწულ-დისწულს

საყვარელო ძმისწულო, (ან დისწულო) შვილო. . . .!

ღვთის წყალობით შენ საუცხოვო ბედი გეწვია: მშვენიერი კაცი გხვდა ქმრად. შენ ეხლა პატარა აღარა ხარ და ამიტომ ბევრშია გმართებს ხასიათის გამოცვლა, დადარბაისლება, დინჯი ყოფა-ქცევა.

გამიგონე რასაც გეტყვი, მე შენზე ხნით თუ გამოცდილებით ბევრად უფროსი ვარ და ჩემი დარიგება რათ უნდა გეწყინოს.

შენს ახალს მდგომარეობაში პირველი საქმე ქმრის სიყვარული და ერთგულებაა; გარდა ამისა არ დაიიწყო, რომ ხალხში ავის გულისა და სულისანი უფრო მეტნი არიან ვიდრე კეთილნი. ამიტომ გირჩევ ერიდო, რაც კი შეიძლება, დიდ საზოგადოებას; აირჩიე შენთვის შენი შესაფერი წრე და იცხოვრე წყნარად და მშვიდად.

შენ ახალგაზდა და ჯერ კიდევ ლამაზი ხარ, ამიტომ ღვთის გულისათვის დინჯად იყავი; ნუ გაჰხდები ქვეყნის ყბად-ასაღები. ჭორისათვის სულ უბრალო მიზეზიც საკმარისია; ამიტომ ყოველისფერში ფრთხილად იყავი.

ეცადე შენი ცხოვრება ისე მოაგვარო, რომ ყველაფერში შენცა და შენი ქმარ-შვილიც ყველანი ბედნიერები იყვნეთ.

ამპარტავნობა და მედიდურობა არ ვარგა, როგორც არ ვარგა მეტისმეტი თავმდაბლობა ან გულუბრყვილობა.

იცოცხლე ბედნიერად შენის საყვარელის ქმრით. მომწერე ხოლმე შენი ამბები.

შენი მამიდა (ან დეიდა). . . . .

ბიძისაგან დისწულს ან ძმისწულს

საყვარელო ძმისწულო (ან დისწულო). . . . !

რადგან ეგოდენი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც შენი უკანასკნელი წერილი მივიღე და შენის მშვიდობის ამბავი არა მესმის-რა, ამისათვის, გთხოვ, როგორც კი მოიცლი, დაწვრილებით შემატყობინო შენი ამბავი.

ბევრი კარკი რამ გავიგე შენზე და ძლიერ მესიამოვნა, რომ ჩვენ გვარში შენისთანა ყოველისფრით ყოჩაღი და კარგი გამოერია,—ხოლო უფრო სასიამოვნო იქნებოდა, ყოველივე ეგ შენ თვითონ მოგეწერა.

საყვარელო ძმისწულო! თუ რამე გჭირდებოდეს, ნუ დამერიდები და შემატყობინე; რასაც შევიძლებ, შენთვის არასფერს დავიშურებ. მართალია, ჩემი ღვიძლი შვილი არა ხარ, მაგრამ საკუთარ შვილზედ უმეტეს მიყვარხარ. გიმეორებ, რაცა გსურდეს მაუწყე და შეძლებისადაგვარად მუდამ დაგეხმარები.

შენი ყოველ კეთილის მოსურნე ბიძა შენი. . . . .

ძმისწულ-დისწულისაგან ბიძას

პატივცემულო ბატონო, ბიძა ჩემო. . . .!

თქვენმა ძვირფასმა წერილმა დიდათ მასიამოვნა, რაკი შიგ სხვა მრავალ წყალობათა შორის აღმოვიკითხე თქვენი კარგად ყოფნა და დღეგრძელობა.

ჩემი სურვილი და ნატვრაც ეგ არის, რომ მრავალ-ჟამიერ სცოცხლებდეთ ასე ბედნიერად ჩვენდა საამოდ და სანუგეშოდ.

ბიძა, ბატონო! მე ღვთის წყალობით და თქვენის შემწეობით კეთილად ვცხოვრობ და არაფერი არა მაკლია-რა უფროსებს ვუყვარვარ და საზოგადოებაში კარკად ვარ მიღებული. რათქმა უნდა, ყველა ეს სიკეთე თქვენი პატივსცემის გამო არის

ჩემი თხოვნა თქვენდამი მხოლოდ ეს არის, რომ თქვენმა მამობრივმა მოწყალებამ არ დამტოვოს უნუგეშოდ და არ მომაკლებდეთ თქვენს რჩევას, ხოლო თქვენ კი სცოცხლებდეთ ბედნიერად და დღეგრძელად.

თქვენი უმდაბლესი მონა თქვენი ძმის წული . . . .

ძმისაგან უფროსს ძმას

უსაყვარლესო და სანუგეშო ძმაო. . . . .!

მესმის უვნებლად ცხოვრება შენი, საქებური ოა-ქცევა, შენი შრომის მოყვარეობა, დაუღალავი

სიმტკიცე და სიმხნეევ ყოველ საქმეში და აღტაცებს ჩემსას არ აქვს საზღვარი, რადგან შენა ხარ მარტო ჩვენი ნუგეში და ჩვენი გვარის სიხარული და სიქადული.

ეჭვი არ არის რომ ყოველივე ეს სიკეთე მიეწერება მხოლოდ შენს ნიჭს, შენს კეთილ-გონიერებას და ინებოს ღმერთმა რომ დღითი-დღემდე, წლითი წლობამდე აორკეცებდე და აღაყვავებდე მაგ შენს ნიჭისა და ღირსებასა.

ხოლო თუ ჩვენს ამბავს მოიხსენებ, ჩვენ ყველანი: უსაყვარლესნი მშობელნი ჩვენნი და და-ძმანი ღვთის წყალობით კარგადა ვართ და მუდმივ შენზედ აღვავლენთ ვედრებასა წინაშე ყოვლად შემძლებელისა, რათა გაკუთვნოს შენ ყოველი ბედნიერება და სიკეთე.

ძვირფასო ძმაო. . . . .! რატომ არ გვატყობინებ შენს ამბავს რატომ არას გვწერ? ხომ იცი რა სანატრელია ჩვენთვის შენი ამბავის ცოდნა და რარიგად სწუხდებიან მოხუცებულნი, როცა შენზედ არა გვესმის რა.

სხვებრ, ყველა შენი მეგობრები და ნაცნობები, აგრეთვე შენი მშობლები და ნათესავები მოკითხვას მოგახსენებენ შენგანაც პასუხს საჩქაროდ მოველი.

არ დამივიწყო. ძმურად გეხვევი და გკოცნი.

უმორჩილესი ძმა შენი. . . . .

ძმისაგან უმცროსს ძმას

ჩემო კარგო, ძმაო. . . . . .!

შენი სიყვარულით სავსე ბარათი მივიღე და ემადლობ უფალსა, რომ ყველანი კარგად იმყოფებით.

შენ მისაყვედურებ, რატომ მალ-მალე არასა გვწერო; ძმობას გეფიცები რომ ზოგჯერ იმდენი საქმეები მაქვს, რომ ხშირად ჭამისათვისაც ვერ ვიცლი,—და როცა კი თავისუფალს დროს ვიხელთებ, აკი ყოველთვისა გწერ ხოლმე.

მე ღვთის წყალობითა და თქვენის ლოცვა-კურთხევით კარგად ვიმყოფები. ამხანაგებს და უფროსებს ვუყვარვარ, საქმეები რიგიანად მიმყავს და ყველანი პატივით და სიყვარულით მეპყრობიან.

მეტი რაღა მოგწერო. აბა, რაღა დარიგება გინდა; შენ ეხლა სრული ვაჟკაცი ხარ,—მაინცა გთხოვ, რომ ჩვენ საყვარელ დედ-მამას მუდმივ პატივით ექცეოდე, ყველაფერს უჯერებდე და არას აწყენინებდე. პატარა და-ძმები დაარიგე ხოლმე და საქმეს შეაჩვიე. ხოლო რაც შეეხება ჩვენს მამულსა და სახლ-კარს, იმედი მაქვს, კეთილად წაჰრმართავ, რომ მტერი არ ახარო და მოყვარე არ ანაღვლო.

სხვებრ, მოკითხვა ყველას. არ დამივიწყო.

შენი ერთგული ძმა . . . . . .

ძმისაგან დას

უსაყვარელესო დაო . . . .!

მარად შენს დღეგრძელობას და ბედნიერ ცხოვრებას ღმერთსა ვთხოვ. კარგა ხანია მას აქვთ, რაც შენგან არაფერი ამბავი არ მომდის. დავიჯერო, დაგავიწყდით ან იმდენი დრო არა ქაქვს, რომ შენი ამბავი შეგვატყობინო. ხომ იცი, ჩემო კარგო, რა სასიამოვნოა ყოველი სიკეთე შენის ოჯახისა, ყოველი კაი ამბავი შენი და შენის ქმარ-შვილისა. გთხოვ, ამ წერილის მიღებასთაანვე მაცნობო, როგორა ხარ ან შენ ან შენი საყვარელი მეუღლე და ან შენი მარგალიტი-შვილები.

თუ ჩვენს ამბავს მოიხსენებ, ჩვენ ყველანი კარგადა ვართ, მხოლოდ შენს მოგონებაშია ვართ სულა.

ჩვენებმა ყველამ ერთობ სიყვარულით მოკითხვა შემოგითვალეს.

მომიკითხე ჩემი ძვირფასი სიძე და მრავალ-ჯერ დამიკოცნე შენი პაწაწა შვილები.

შენი მოსიყვარულე ძმა . . . .

დისაგან ძმას

უსაყვარელესო და უსატრფოესო ბატონო შმაო . . .!

ჩემს მარად საყვარელს პირსა და თვალებს მრავალ გზით დაგიკოცნი და თქვენს უენებლად ყოფნას ჩემს სასო მღვთისა მშობელს შევევედრი.

ხოლო თქვენი მოკითხვის ბარათისათვის დიდს მადლობას გიძღვნით მეც და ჩემი ქმარ-შვილიც. დიდად ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი საყვარელი მშობლები და ნათესავები მშვიდობითა არიან.

ჩემო ძვირფასო ძმაო, შენც კარგად უწყი, რომ ოჯახში მუდამ ქამს მრავალი საქმეა, მაგრამ ამითი მე თავს კი არ ვიმართლებ, პირიქით-დიდადა ვკიცხავ ჩემს თავს, რომ აქამდე ვერა გაცნობეთ-რა.

თქვენ მაინც ნუ მომაკლებთ თქვენს კეთილ წერილებს და მაცოდინეთ ხოლმე ჩვენი მოხუცი მშობლების ამბავი, რომელთა იმედად და ნუგეშად დღეს მხოლოდ თქვენა ხართ. ჩვენი უმცროსი და-ძმების დაყენება კეთილ გზაზე და უფროსობა ისევ თქვენ გეკუთვიან და, იმედია, რომ თქვენი კეთილ გონიერება და სიყვარულით აღსავსე გული ყოველთვის კეთილს განიზრახავს ჩვენი ოჯახის სასარგებლოდ.

მოგიკითხათ სიყვარულით თქვენმა სიძემ, ხოლო ჩემი შვილები კისერზე ხვევნას და ხელებზე კოცნას უთველიან თავის ბატონ ბიძასა.

თქვენი კეთილი ამბის მოსურნე და მორჩილი და . . . .

სიმამრ-სიდედრისაგან სიძეს

უსაყვარელესო შვილო, ბატონო სიძე . . . . .

შენი წერილი მივიღეთ და ძრიელ გაგვახარა შენის და შენი ცოლ-შვილების ჯანმრთელად ყოფნამა.

შვილო, სიძე! შენ ყოველთვის პატიოსანი და გამრჯელი კაცად გიცნობდით და დღესაც იმედი გვაქვს, ერთი ათად აქციო ყოველი შენი ღირსება.

შენ თუმცა ჩვენი ღვიძლი შვილი არა ხარ, მიგრამ არც იმაზე ნიკლები ხარ; პირიქით შენზე უფრო მეტი იმედი გვაქვს, როგორც ჭკვიანსა, გამოცდილსა და შრომის მოყვარე კაცზე.

სხვებრ, ვისურვებთ როგორც შენს აგრეთვე შენის მეუღლისა და შენთან შვილებთა დღეგრძელობით ცხოვრებას ჩვენდა, მოხუცთა სასიხარულოდ და სანუგეშოდ.

იყავ მშვიდობით და იქმნეს შენზე კურთხევა უფლისა!

შენი მშვიდობის მსურველნი შენი სიმამრე და სიდედრე.

სიძისაგან სიმამრ-სიდედრეს

უძვირფასესნო და უმოწყალესნო სელმწიფენო . . !

წერილი თავენის მოწყალეობისა მივიღე და როგორცა გებრძანებინათ, ყოველივე სიამოვნებითა და პატივით მოვისმინე.

სანამ ცოცხალ ვარ და ძალაში ღონე მაქვს, იმედია, ჩემ ცოლ-შვილს გაჭირვებას არ ვაგრძნობინებ; ნამეტნავ ხომ იმისთანა მეუღლის ხელში, როგორიც მე ბედმა მარგუნა. მასთან ცხოვრებაც ტკბილი ყოფილა და გაჭირვებაც ადვილი ასატანი.

ესეთი ღვთისნიერი, პატიოსნებითაღსავსე, შრომის მოყვარე და ქმარ-შვილისთვის თავდადებული ადამიანი იშვიათია ეხლანდელ ქალებში, — რომ იტყვიან, ოჯახის ბურჯია, სწორედ ისეთია. ასე წარმოიდგინეთ, რომ ჩემზე უბედნიერესი კაცი არავინ მიმაჩნია მთელს დედამიწის ზურგზე. დიდება ყოვლად შემძლებელ ღმერთსა და ათასი მადლი იმის მშობლებს ესეთი სათნო შვილის აღზრდისათვის.

ჩემო კეთილო ბატონებო, იცოცხლეთ დღეგრძელათ ჩვენდა სასიხარულოდ. იმედი მაქვს, რომ სხვა დროსაც არ მომაკლებთ თქვენს კეთილ რჩევა-დარიგებასა.

თქვენი ქალი და შვილის-შვილები ხელზე გკოცნიან და მოკითხვას გითვლიან.

დავშთები თქვენი უმორჩილესი სიძე . . .

მამამთილ-დედამთილისაგან სძალს

უსაყვარელესო რძალო ჩემო . . .!

პირველად ვისურვებ შენსა და შვილთა შენთა უვნებლად ყოფნასა.

დიდად მოხარული ვარ, რომ ეგეთი კეთილი და ყოველისფრითა სრული გამოხველ, დიდათ სასიამოვნოა, რომ ეგეთი პატივისმცემელი ხარ შენი მოხუცებული დედამთილისა. (ანუ მამამთილისა) მერწმუნე, შვილო, ეხლა სიკვდილიც სასიამოვნოდ მიმაჩნია,

რაკი გული დამშვიდებული მაქვს შენის კეთილის ქცევითა.

შვილო . . . ! ძრიელ სასურველი იქნება ჩვენთვის, რომ შენ შენის შვილებით გვესტუმრო რამდენისამე ხნით. თუ შენ არ გეცლება, შენი შვილები მაინც გამოგვიგზავნე.

მარად ღმერთთან მავედრებელი შენის ბედნიერებისა . . .

სპალისაგან დედამთილს ან მამამთილს

უძვირფასესო და ყოვლად პატივსაცემო

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო მამავ! (ან დედა)

თქვენმა ბარათმა სიყვარულითა და მოწყალებით სავსემ დიდად გაგვაბედნიერა. მადლობა უფალსა, რომ კარგად და ბედნიერად ბრძანდებით.

ჩვენს ამბავს თუ იკითხავთ: ჩვენ, ღვთის წყალობით, არა გვიშავს რა და თუ გარემოებამ ხელი არ შეგვიშალა დიდის სიამოვნებით მივიღებთ თქვენს დაპატიჟებას; ხოლო თუ,ვინიცობაა,მე ველარ მოვახერხე, მაშინ ჩემ მეულლეს და შვილებს უსათუოდ გაახლებთ.

მე ღირსი არა ვარ ეგოდენ თქვენის ქებისა და პატივსა. ნეტავი ღმერთმა შემაძლებინოს და მე მთელი ჩემი სიცოცხლე ჩემს ქმარსა და შვილებს შევწირო! განა ამათზე უკეთესი და ამათზე უძვირფასესი სხვა ვილა უნდა მეგულებოდეს ამ ქვეყნად.

სხვებრ თქვენმა შვილის შვილებმა და ჩემმა საყვარელმა ქმარმა პატივით და სიყვარულით მოგიკითხათ და მრავალ გზით ხელები დაგიკოცნეს.
თქვენი დღეგრძელობის მოსურნე და უმდაბლესი თქვენი ასული...

მამამთილ-დედამთილისაგან ქვრივ სძალთან

ძვირფასო შვილო და ნუგეშო. . . . !

ღმერთს ვსთხოვ შენს და შენის შვილების უვნებლად ცხოვრებასა. რა ხანია, შვილო, შენი წერილი არ მომსვლია და ძრიელაცა ვწუხვარ დაგვიანებასა.

თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ შენის კეთილ გონიერებით არა-რა დაუშავდება არცა სახელსა შენსასა და არცა თუ ჩემს ძის ობოლთა, მაგრამ მაინც ვერ ითმენს ჩემი გული თქვენის ამბის ესოდენ დაგვიანებასა, ამისათვისა გთხოვ, თქვენი ამბავი ყოველისფერი დაწვრილებით დაუყოვნებლივ შამატყობინო. (თუ რამე საქმეა აქ დაიწერება)

ძვირფასო ჩემო . . . . ! შენც კარგად უწყი, რომ ჩვენი უბედურობის შემდეგ მარტო შენ და შენი ობლები-ღა დარჩით ჩემს ნუგეშად, ჩემი სიცოცხლის ლამპრადა და ნუ გიკვირდება, შვილო, რომ ვწუხვარ და დღე და ღამე თქვენკენა მაქვს გონება. მართალია, მცირე ხნით მოვშორდით ერთმანერთს, მაგრამ გული მაინც ვერ ითმენს და მარად ქამ ეს-

წრაფის შენსა და შენი შვილების ნახვასა.

უძვირფასესი შენი შვილები მრავალ-გზით დამიკოცნე.

შენი მოსიყვარულე დედამთილი (ან მამამთილი) . . .

ქვრივი სძლისაგან მამამთილ ან დედამთილთან

ყოვლად პატივცემულო და მოწყალეო ბატონო დედა (ან მამავ). . .

დაუფასებელია ყოველი ნუგეში და მამობრივი ზრუნვა ამისთანა მარტოდ-დარჩენილი ადამიანისათვის, როგორაც მე ვარ ეხლა; ამისათვის მეტად ძვირფასი და სასიამოვნო იყო ჩემთვის ეგ თქვენი წერილი. გვასიამოვნა ნამეტნავ თქვენი კარგა მყოფობის ამბავმა, და იმედია, ღმერთი ყოვლისა შემწყნარებელი დაგიფარავთ შემდეგშიაც ყოველი განსაცდელისაგან ჩვენდა საამოდ და საბედნიეროდ.

ბატონო დედა, (ან მამა) თქვენი წასვლის შემდეგ შვილები მოსვენებას არ მაძლევენ და წამ-დაუწუმ მეკითხებიან,— ჩქარა მოვა დიდიდედაო (ან პაპა).

ჩვენ ყველანი კარგათა ვართ, მხოლოთ თქვენს ნახვას ვენატრებით (აქ საქმეზე დაიწერება)

სხვებრ, ხო მოგეხსენებათ, უთქვენობა რა ძნელია ჩემთვის და ამიტომ გევედრებით, საქმეებს რომ მორჩეთ, მალე ჩამობრძანდეთ და გაგვიადვილოთ ეს მწუხარე მარტოობა და მწარე ობლობა.

თქვენი უმორჩილესი და უმდაბლესი სძალი . . . .

გასდილისაგან გამზდელს ანუ ძიძას

უსაყვარელესო და დედისაებრ პატივსაცემო გამზრდელო ჩემო (ანუ ძიძავ) . . .

პირველად ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობით ყოფნასა და თან ვისურვებ ყოველთვის შენს ბედნიერ ცხოვრებას.

ძვირფასო ძიძავ! (ანუ გამზრდელო) ბოდიშს მოვითხოვ რომ ვერ ხშირად არა გწერ წერილსა. გარწმუნებ ეს იმისათვის კი არ მომდის, რომ შენი სიყვარული ნაკლებადა მქონდეს, თორემ ამაში ხომ შენ თვითონაც კარგადა ხარ დარწმუნებული. რაც გინდ ავი და სიკეთის დაუნახავი იყვეს კაცი, ძნელია, ამოირეცხოს გულიდან ის ამაგი და შრომა, რაც მისთვის დედას ანუ გამზრდელს დაუდვია, დედას თუ ძიძის ძუძუსთან ერთად ინერგება კაცის გულში სიყვარული და პატივისცემა მათდამი, და ეს გრძნობა მას თან-და-თან ეზრდება და უდიდდება.

ჩემო ძვირფასო ძიძავ! შენ კარგად რცი, რომ ყოველი შენი საამო-რამ ჩემთვისაც მუდამ სასურველია და ამიტომ, ნუ მომერიდები, და თუ რაიმე გენებოს ანუ საჭირო იყოს ხოლმე, მაუწყე. დიდად დავალებული ვიქნები შენგან, თუ მიზეზს მოგცემ შენის სამსახურისასა, თუმცა კი ძნელზედ-ძნელია გადაიხადოს კაცმა თავისი ვალი შენსაებ დედობრივი მოსიყვარულე და მზრუნველი გამზრდელისა.

მე მშვიდობითა ვარ და ამასვე ვთხოვ შენთვისაც ყოვლად შემძლებელ უფალსა.

შენი გაზრდილი და პატივისმცემელი. . . .

ძიძისგან გაზრდილს

ნუგეშო სულისა ჩემისა, მოწყალეო ხელმწიფევ ჩემო . . . . . !

მომივიდა თქვენი ძვირფასი, წერილი და მასთან თქვენი კარგად სუფევის ამბავი.

გმადლობ, ჩემო ხელმწიფეე, კეთილად მოგონებისათვის.

ისე სიხარულით გამყოფოს უზენაესმა, როგორათაც მე გამახარა და გამაბედნიერა ამ მოხუცებულობის დროს თქვენმა ყოვლის სიკეთით და სიყვარულით აღსავსე წერილმან.

შვილო და ხელმწიფეე ჩემო . . . . ! ბევრი ხიხარულისა და ბედნიერების ცრემლი გადმომაფრქვევინა თქვენმა მოწყალე და ალერსიანმა სიტყვებმა. ეხლა რალა მიჭირს მე საბრალოს; ან რალა უნდა მინდოდეს თქვენის მარად დღეგრძელობისა და მშვიდობის მეტი.

სამოთხეე ჩემის გულისა და ნათელო თვალთა ჩემთაო! ჩემი თქვენდამი თხოვნა და ვედრება მხოლოდ ეს არის: არ მოაკლოთ ჩემს გულს ნუგეშისცემა და თქვენი ამბავი, რათა საფლავის კარამდე ეტკბე-

ბოდე თქვენის ბედნიერებითა და ყოველის სიკეთითა (აქ შეიძლება საქმეზე დაიწეროს)

ბოლოს ვისურვებ თქვენს მარად დღეგრძელობას, შემოგავლებთ ჩემს თავს და მხურვალედ დაგიკოცნით თვალებსა და ხელებს.

ბედნიერი თქვენი ძიძა (ანუ გამზრდელი) . . . .

ქმრისაგან ცოლს

ჩემო სატრფო და საყვარელო: . . . . !

უპირველეს ყოვლისა დაგიკოცნი პირსა და თვალებს. შევაევედრებ მაღალ ღმერთს ჩვენი უმანკო შვილების თავსა.

ჩემო კარგო . . . . ! რა ამბავია, რომ აქამდე შენი წერილი არ მოსულია. რამე უბედურება ხომ არა დამატყდა-რა თავსა? აკად ხომ არა ხარ? ღვთის გულისათვის დაუყოვნებლივ შემატყობინე ყოველივე დაწერილებით, თორემ ფიქრისა და დარდისაგან ველარ მამისვენია. (აქ შეიძლება საქმეზე დაიწეროს რამე)

სხვებრ გთხოვ ჩემი საყვარელი და საატრფო შვილები მრავალჯერ დამიკოცნო და სხვანი ყველანი ნათესავნი და ნაცნობნი მომიკითხო, ჩემზე ნურა გეფიქრება-რა; მე კარგადა ვარ და, ღვთის წყალობით, მალე მოვრჩები ყველა საქმებს და ჩქარა ველირსები თქვენს ნახვას.

ჩემო კეთილო . . . . ! მე თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ შენ არავითარი დარიგება და ჭკუის

სწავლება არ გეჭირვება, მაგრამ მაინც გთხოვ შვილებს ყური უფრო მეტად უგდო და სხვაფრივაც საქმე ისე დაიჭირო, რო მტრების სასაცილო არ გახდეთ და ვისიმე ყბად-ასაღები არ შეეიქნეთ.

შენი საყვარელი და ერთგული ქმარი . . .

ცოლისაგან ქმარს

უსაყვარელესო და უსატრფოესო, მოწყალეო ხელმწიფეე, ნუგეშო ჩემო, ბატონო . . . !

მივიღე რა მოწყალე წერილი შენი მაშინვე კალამს მოვკიდე ხელი, რომ შენთვის პასუხი არ დამეყოვნებინა. მიკვირს რომ აქამდის ჩემი წერილი არ მიგიღია: სჩანს ან გზაში დაგვიანებულა ან სრულიად დაკარგულა, თუ არა-და, რა ემართება, ვერ გამიგია. ეს მესამე წერილსა ვგზავნი და, არ იქნა, შენამდე ვერ მოაწია.

სხვა, ჩემო ხელმწიფეე, შენმა წერილმა ძრიელ გამახარა შენის კარგის ამბის შეტყობითა. ვესწრაფი მეც დაგამშვიდო: შვილებიცა და მეც, ღვთით, ჯერ კარგათა ვართ და არა გვიჭირს-რა, ოღონდ უშენობა ძრიელ გვაწუხებს.

ყველა ჩვენი ნათესავნი და მოკეთენი მოკითხვას გითვლიან და ჩვენთან ერთად მოუთმენელად მოგელიან.

ჩემო ბატონო, შენი დარიგება ყოველთვის ძვირფასია ჩემთვის და სასიამოვნოც, თუმცა მე, როგორც შენი ერთგული, შენს საწყენს არას ჩავიდენ. დარწმუნებული უნდა იყო ჩემო ხელმწიფეე, რომ მე სასაცილოდ არ გავხდი იმ კაცს, რომლის სიცოცხლეც ჩემს საკუთარს სიცოცხლეზედ უფრო ძვირფასად მიმაჩნია.

სხვებრ, გთხოვ ხშირ-ხშირად შემატყობინებდე შენს ამბავსა და მარტოობას და უშენობას ამით მაინც გაგვიადვილებდე. შვილები შენს ნახვას ენატრიან და თან სიყვარულით ხელებს გიკოცნიან.

შენი უმდაბლესი მონა და მეუღლე . . .

წერილები მეგობართა შორის

ძალად სარწმუნო მეგობარო . . . . . !

დიდი, მეტად დიდი ხანია, რაც შენზე არაფერი ვიცი და არც შენგან მესმის-რა, ასეთი გულ-გრილობა არ შეგფერის.

რა თქმა უნდა, როგორც ყველთვის, ისე ეხლაც შენთვის ყოველგვარ სიკეთესა და ბედნიერებას ვისურვებ. მე თუ მიკითხავ, არა მიჭირს-რა, ოღონდ შენგან დავიწყება გულ-გრილად ვერ ამიტანია. (თუ სიქმე რამეა აქ დაიწერება)

ძმაო და მეგობარო . . . . ! ამ წუთის-სოფელ-ში არაფერი არ არის ხანგრძლივი და მტკიცე, ყოველივე წარმავალია გარდა მეგობრობისა.

მეგობრობა ამ ქვეყნად არც ჭკნება, არცა კვდება. თუმცა შენ ეგ არა გწამს, როგორც გემჩნევა და ცოტ-ცოტაობით მივიწყებას მიპირებ, მაგრამ მე მაინც არ გეშვები და რამდენადაც ამ ჩვენს მეგობრობაზე შენ გული გიგრილდება, იმდენად მე უფრო და უფრო სიყვარული მიცხოველდება.

სხვებრ, მოეჯკითხავ შენიანებს. კაცო, ნუ ზარმაცობ და მაცნობე ხოლმე შენი ამბავი—ან რას აკეთებ ან როგორ ატარებ დროს და სხვა-და-სხვა, ხომ იცი, შენი კარგი მეც მიამება და ავი მეწყინება.

შენი უგულითადესი მეგობარი. . .

ჩემო ძმაო და მეგობარო . . . . . !

პირველად ბოდიშს მოვითხოვ და თან დიდს მადლობასაც გიძღვნი შენი მეგობრულის სიყვარულისა და მოკითხვისათვის. მერწმუნე, მე ისე დამნაშავე არა ვარ, როგორც შენა გგონია. საქმე ის არის, რომ მე ამ ხანებში ერთს მეტად მძიმე რასმე შეეჭიდე და ველარ მოვიცალე შენთვის რამე მეცნობებინა.

ჩვენ იმის გარდა რომ მეგობრები ვართ, პატარაობიდანვე ერთადა ვართ ძმურად შეზრდილნი

და დიდი სირცხვილია ჩვენთვის, რომ ერთმანერთი დავივიწყოთ. მე კარგადა ვარ ეხლა და საქმეებიც კარგად მიმყავს. იმედი მაქვს, მალე ისევ ერთად შეეყრებით და მაშინ ბევრს რასმეს განვუზიარებთ ერთმანერთსა.

ეხლა კი იყავ მშვიდობით და ნუ დამივიწყებ.

დავშთები შენი ერთგული მეგობარი. . . . . .

მარად საამო და მუდამ ერთგულო

მეგობარო . . . . . !

მინდა ბევრი რამ გისაყვედურო და ვერ მოვიხერხებია. არ მეგონა, რომ ასე მალე დამივიწყებდი. მართალია, შენ ეხლა ბევრი საქმე გაქვს და ბევრსაცა შრომობ, მაგრამ დავიჯერო, რომ ერთი წერილის დროც არა გქონდეს. რაც უნდა იყოს, მე მუდამ მახსოვხარ და არა თუ მარტო მე, არამედ ყველა ჩვენებსაც. ჩემმა ცოლმა და შვილებმა მოგიკითხეს. დღე ისე არ გავა რომ არ მოგიგონოთ.

მართლა — რატომ შენ სურათს არ გვიგზავნი, ხომ არ დაგავიყწდა, რომ დაგვპირდი? ნუ ზარმაცობ, მაუწყე ხოლმე შენი ამბები.

მენი მეგობარი და ძმა. . . . . .

ჩემო კეთილო შეგობარო.....!

შენ ყოველთვის მჯობნებიხარ შენის გულკეთილობით და რათ გიკვირს, რომ ეხლაცა მჯობდე. ჭეშმარიტად დამნაშავე ვარ შენთან და შენ სახლობასთან, რომ თქვენს მეგობრულ მოკითხვაზე პასუხი ესრე ძალიან დავაგვიანე. მეც ვიცი და შენც კარგად უნდა იცოდე, რომ სახელი და ხსოვნა მეგობრობისა არას დროს არ წარიხოცება ჩემის გულიდამ, რაც უნდა დიდის ხნობით ვიყო მე შენგან დაშორებული. მე ეხლა კარგადა ვარ, ხოლო დრო გამოშვებით მცირე-რამ უქეიფობა შემოვიღე.

მშვიდობით; ვისურვებ შენს დღეგრძელობას შენის პატიოსანი ოჯახის სასარგებლოდ.

მომიკხე უმდაბლესის მოკითხვით შენი მეუღლე და შენი შვილები კი თვალებში დამიკოცნე.

მარად შენი ერთგული მეგობარი.....

მაუწყებელი გარათეგი

უწყება ქორწინებისა და ნაშნობისა

მისაგან მშობლებს

ყოგლად კეთილო და მგირფასო მშობლებო!

თქვენი სურვილი მუდამ ის იყო, რომ მე ცოლი შემერთო. დღეს ვგონებ ეგ თქვენი წადილი ასრულ-

და. მე შეეხდი ერთ იმისთანა ქალს, რომელსაც ნამდვილად შეუძლიან ულელი გამიწიოს. ქალი ახალგაზდა, მშვიდი, წყნარი, გონიერი და კარგის ოჯახისაა: თქვენ ხომ მოგეხსენებათ (სასიმამრო სახელი ბ გვარი) ეგ არს ჩემი სასიმამრო. ნუ იფიქრებთ, რომ მე აჩქარებული ვჩადიოდე რასმე,—კარგა მოფიქრების შემდეგ გადავსწყვიტე მისი შერთვა, ხოლო ჯერ-ჯერობით არ დავნიშნულვარ, რადგან თქვენი ლოცვა-კურთხევა არ მიმიღია. იმედია, საჩქაროდ შემატყობინებთ თქვენს აზრს. ძრიელ კარგი იქნებოდა, თუ თქვენ თვითონ ჩამოჰბრძანდებოდეთ. მაშინ ჩემი ბედნიერება გაორკეცდებოდა. მოუთმენლად მოველი პასუხს და მშობლიურ ლოცვა-კურთხევასა.

უმდაბლესი თქვენი შონა და მორჩილი შვილი . . . . .

მშობლისაგან შვილს

ძვირფასო და საყვარელო შვილო . . . . . !

შენ ძრიელ ჭკვიანად და პატიოსნად მოიქეცი, რომ შეგვატყობინე შენი სურვილი. ცოლის შერთვა ისეთი მძიმე რამ საგანია, რომ აჩქარება არ ვარგა. ამას გარდა ჩვენზე უკეთესს და გულწრფელს რჩევას და დარიგებას ვერ ვინ მოგცემს.

თუ მართლა შენი საცოლო ისე კარგია, როგორც შენ იწერები და შენც უყვარხარ კიდეცა,

ამაზე უკეთესი და სასურველი რაღა უნდა იყოს მხოლოდ ერთსა გთხოვ, კარგად ასწონ-დასწონე ყოველივე. ხომ იცი, ათჯერ გაზომე—ერთხელ გამოსჭერიო, ნათქვამია. შენც ნუ აჩქარდები და კარგად მოისაზრე ყოველივე, რაც მომავალში მოგელის. მაინც მე და დედა შენი სიხარულით გიცხადებთ ჩვენს თანხმობას და მასთან მშობლიურ ლოცვა-კურთხევას წარმოგივლენთ ახალი ცხოვრებისათვის.

რაც შეეხება ჩვენს ეხლა მანდ ჩამოსვლას, ყოველად მოუხერხებელია და ქორწილისათვის კი, უსათუოდ მოგველოდე. მოუსველელები არ დავდგებით.

შენი მზრუნველი მამა (ანუ დედა) . . . . . .

დისაგან ძმას

საყვარელო ძმაო და ბატონო. . . . . !

ყოველი ჩემი ბედნიერება შენც ბედნიერებად მიგაჩნია. მე ეხლა სრული ბედნიერი ვარ. ძლივს მივაღწიე ამდენი ხნის სურვილს; შენი ძველი მეგობარი (სახელი და გვარი საქმროსი) ორის კვირის შემდეგ შენი სიძე შეიქნება—გუშინწინ ნიშნობა გვქონდა.

მე ვიცი, რომ შენც გაგიხარდება ეს ამბავი, რადგან შენც გინდოდა, რომ ასე მომხდარიყო. თუ ძმა ხარ, ჩამოდი და ამით ჩემს ბედნიერებას შეჰმატე

კიდევ ერთი სხივი. ეხლა ბევრს ვერაფერს მოგწერ და არც შემიძლიან.

დავშთები შენი ბედნიერი და . . . . . .

ძმისაგან დას

ჩემო სანატრელო დაო . . . . . !

ჩემი წერილი გაგაკვირვებს კიდეც და გაგახარებს კიდეცა. წარმოიდგინე, მე დავინიშნე (სასულიერო და გვარი საცოლესი). ვიცი, გიამება, რადგან შენი კარგი ნაცნობია.

ჩემო კარგო, თუ არა ვცდები, ქალი ძრიელ პატიოსანი და შრომის მოყვარეა და ჩემს მდგომარეობაში მყოფს კაცსაც ხომ სწორედ ესრეთი ქალი ეჭირვება, და არა პრანჭი-გრეხია. იმედია, მე და (საცოლის სასულიერო) ბედნიერად ვიცხოვრებთ და ფეხზე წამოვაყენებთ ჩვენს ოჯახს. მალე გნახავ და მაშინ სულ დაწვრილებით მოგიყვები ყველაფერს.

ეხლა კი ნახვამდინ.

შენი ძმა . . . . . .

ძისაგან ძმობლებთ ადგილის მიღებაზე

მარად სანა ჯრელნო ძმობელნო . . . . . !

დიდად დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, რომ აქამდე წერილი ვერ მოგწერეთ, მაგრამ რადგან ჯერ

მე თვითონ არ ვიცოდი, როგორ წავიდოდა ჩემი საქმე, ამიტომ ვამჯობინე, დროამდე, სანამ საქმეს არ ვიშოვიდი, არაფერი შემეტყობინებინა.

ეხლა ღვთის წყალობით, როგორც იყო, სამსახურში შეველ (ან საქმე ვიშოვნე) და იმედი მაქვს ჩემი საქე კარგა წავა. ჯერ თუმცა შრომის ფასი ცოტა მეძლევა, მაგრამ სამემრისოდ, იმედია, მომიმატებენ. მე ზარმაცობა არას დროს არა მყვარებია, და ეხლა ხომ სულ გავაორკეცებ ჩემს ბეჯითობას.

სხვა თქვენ როგორა ბრძანდებით? ჩემზე ნუ-რა გეფიქრებათ-რა. მე ძრიელ კარგადა ვარ და შეძლების-და-გვარად ვცხოვრებ ჩემის ჯამაგირზე და იქნება თვე-და-თვე ცოტ-ცოტა თქვენთვისაც გადავდო ხოლმე.

დავშთები თქვენი ერთგული შგილი.....

მეგობრისაგან მეგობარს

ჩემო ძმაო და მეგობარო . . . . !

ჩვენ ერთმანერთისათვის არას დროს არა დაგვიმალავს-რა; პირიქით პირველსავე შემთხვევაში გვიღიარებია ერთმანეთისათვის ჩვენ ჩვენი საიდუმლო.

აბა რას წარმოიდგენ, რა ჩავიდინეთ! . . . . . წუხელ ღამ დავინიშნე (ამა და ამ კაცის ქალზე)

უნდა იცოდე, რა ბედნიერი ვარ! ასე მგონია, ხელ-ახლა დავიბადე-მეთქი; ყველაფერი მიცინის და

მეალერსება. ნეტა იცოდე რა ქალია! ახალგაზდა, თვრამეტი წლისაა, კოპწია, ლამაზი და მშვენიერი მომღერალი!

შენ რაც გინდა სთქვი, და მე-კი დაგარწმუნებ, რომ, როცა შესაფერს ქალს შეხვდები, ძნელია, თურმე, არ შესტოპო სიყვარულის მორევში. იმედი მაქვს, ქორწილში დაესწრები, როგორც ძვირფასი ამხანაგი.

ჩემს საკოლეს უკვე გავაცანი შენი თავი და მოუთმენლად ელის შენს ნახვას; იმის მაგივრად მოკითხვას გითვლი.

ნახვამდინ, საყვარლო მეგობარო!

შენი ძმა . . . .

ძისაგან მშობლებს ცოლის მელოგინობაზე

ძვირფასნო მშობელნო!

ვესწრაფი გაუწყოთ მეტად სასიხარულო ამბავი. წუხელ ღამ ჩემი ცოლი განთავისუფლდა მელოგინობიდგან და მაჩუქა ერთი მშვენიერი ვაჟი-შვილი.

გაუწყებთ რა ჩემს ბედნიერება, იმედი მექნება, ჩამოხვალთ და ნათლობაში დაესწრობით. ჩემს ვაჟს თქვენი სახელი უნდა დავარქვა, ძვირფასო მამავ! მშობიარე კარგად არის და დედის ნახვასა ნატრობს. ჩამოდით უსათუოდ. მე ამისთანა შემთხვევაში გამოუცდელი ვარ და თქვენი დარიგება ძვირფასი იქნება.

მოგელით მოუთმენლად.

დავშთები თქვენი კეთილის მსურველი შვილი . . .

ქმრისაგან ცოლს კეთილად სუფევისა

ჩემო საყვარელო და სასურველო . . . . !

ეს არის ეხლა უკნებლად ჩამოველ (ქალაქის ან სოფლის სახელი) და ჩვენს ნაცნობთან ჩამოვხტი. საქმეებს მალე მოვრჩები და ბევრი-ბევრი, ორი კვირის შემდეგ დავბრუნდები. ჯერ-ჯეროობით მეტს ვერასა გწერ. ნახვამდინ, ჩემო ძვირფასო, ეკოცნი ყმაწვილებს; აბა შენ იცი.

შენი ერთგული მეუღლე . . .

ძმისაგან ძმას

ჩემო საყვარელო ძმაო . . . . !

ეს არის ეხლა მივიღე შენი წერილი, რომლითაც იუწყები, რომ ამ თვის გასულს ჯვარის წერას ვაპირებო. ძრიელ კარგი და პატიოსანი, მაგრამ ერთს რასმე გირჩევ; როცა ცოტა დამშვიდდები, სიხარული და მღელვარება გაგივლის, მაშინ ერთი გულ-დინჯად ჩაუფიქრდი მაგ საქმეს. გულის თქმას ნუ აჰყვები. ეცადე, გული და გონება ცხოვრებას შეუფარდო და ისე გადაჭრა—ჰო თუ არა. შენს საცოლეს მე პირად ვერ ვიცნობ, მაგრამ რამდენიც მსმენია და გამიგონია, კარგი ქალი უნდა იყოს, რაიც მეტად სასიამოვნო და სასიხარულოდ დარჩება ჩემთვის. მე ყო-

ველთვის შენი ბედნიერების მსურველი ვყოფილვარ, ვიქნები კიდეცა და ამიტომა, გოხოვ, საწყენად ნუ დაგრჩება ეს ჩემა სიტყვები.

ჩემს მაგივრად მომიკითხე შენი საცოლე.

შენი ერთგული ძმა . . .

ძმისაგან დას პასუხად.

ჩემო პატარა და კარგო დაო . . . . !

დიდად გახარებული ვარ შენის ბედნიერებითა. მე უფრო ის მიხარის, რომ შენი გულით არჩეული შეიქმნა (სხელი და გვარი საქმროხი). ეს ყმაწვილი ყოველთვის პატიოსანი და ჭკვიანი კაცად იყო ცნობილი და ეგრეც არის.

მართალია, თქვენ ძრიელ მდიდრები არ იქნებით, მაგრამ მარტო სიმდიდრეში როდია კაცის ბედნიერება. პირველი საქმე სიყვარული და თანხმობაა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ორთავე ბედნიერად დაჰლევთ თქვენს ცხოვრებას.

ამ ცოტა ხანში იქნება ჩამოვიდე და დავესწრო შენს ქორწინებას. მაინც დარწმუნებული იყავი, რომ შენი ბედნიერება ჩემს სიცოცხლეზე ძვირად მიღირს. მომიკითხე შენი გულის არჩეული.

დავშთები შენი ბედნიერების მსურველი

შენი ძმა . . . . .

მაუწყებელი ბარათი ქორწინებისა მშობელთაგან

მოწყალეო ხელმწიფევ!

აზნაური (ანუ თავადი, ანუ სხვა წოდების ვინმე) თეოფილე ივანეს-ძე ფრიდონიშვილი და მეუღლე მისი ელისაბედ პეტრეს-ასული გაუწყებთ ამითი თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, რო მათი კანონიერი ძე (ანუ ასული) ჯვარს იწერს თავადი სვიმონ მიხეილის-ძე ჯიმბარაშვილის ასულზე (ან ძეზე) თებრონია სვიმონის ასულზე. ქორწინება მოხდება კვირას, 12 მკათათვეს 189 . . წ. წმ. სამების ეკლესიაში საღამოს 8 საათზე, და აქედანაც გთხოვთ პატივი გვცეთ და მობრძანდეთ მათს სახლში (ამა და ამ ადგილას.)

აზნაური თეოფილე ივანეს-ძე და ელისაბედ პეტრეს-ასული ფრიდონიშვილნი.

უწყება სიკვდილზე

შვილისაგან მამის მიცვალებაზე ბიძას

პატივცემულო და საყვარელო ბიძაგ . . . !

მწარე მოვალეობა მაიძულებს გაუწყოთ ჩვენიცა და თქვენი უბედურებაც. წუხელ ღამ ძვირფასი მამა ჩვენი მიიცვალა ამ სოფლით.

მისი ავადმყოფობის ამბავი თქვენც კარგად

მოგეხსენებოდათ და საშიშო თითქოს არა იყო-რა, მაგრამ, ალბად, მისი ძვირფასი სიცოცხლე ღმერთს ჩვენთვის აღარ ემეტებოდა და თავისთან მიუწოდა.

ჩვენ დიდით პატარამდე ამ მოუნელებელი სევდითა ვართ ყველანი შეპყრობილნი. ძნელია ჩვენი ობლობა, მეტად ბევრნი ვართ მცირე წლოვანები!

დასაფლავება დანიშნულია ხუთშაბათს. ამოდით ჩამოგვეშველენით და უკანასკნელი პატივსა სცემთ ჩვენს ძვირფას მშობელს და თქვენს ერთგულს ძმას.

დავშთები თქვენი ძმის წული . . .

მამიდას ან დედიდას ძმის ან დის გარდაცვალებაზე

კეთილო და სანატრელო მამიდა . . . . !

რაოდენად სასიამოვნო იყო ჩემთვის თქვენთან მიწერ-მოწერა ჩვენს კეთილ ცხოვრებაზე და ბედნიერებაზე, იმდენად მძიმე და შემმზარავია ამ ჩვენი უბედურების მოწევა.

თქვენი საყვარელი ძმის წული (ან დისწული) გუშინწინ დილით გარდაიცვალა. ვერ წარმოიდგენთ ჩვენს მწუხარებასა და დალონებასა ყველანი. თავზარ დაცემულები ვართ ამ მოულოდნელის უბედურობით.

დასაფლავებას კვირას ვაპირებთ და, იმედია, მობრძანდებით და ნუგეშსა გვცემთ ჩვენ, მისი სიკვდილით გულ-დაწყვეტილთა.

დავშთები თქვენი მორჩილი ძმის (ან დის) წული . . . .

მამისაგან ძეს ან ასულს დის ან ძმის გარდაცვალებასე

საყვარელო ჩემო ძეო (ან ასულო) . . . . !

დიდი ხანია შენთვის წერილი არ მომიწერია და ეხლა კი ამ პირველი ბარათით უნდა გული მოგიკლა შენი წასვლის დროს შენი და . . . (სახელი) ძრიელ კარგად იყო და ვინ იტყოდა, რომ რაიმე დაემართებოდა. ამ ორი კვირის წინეთ გაცივდა ფილტვების ანთება დაემართა და წარსულ კვირა დღეს სული განუტევა. შენი შეწუხება და საქმიდანაც მოცდენა არ გვინდოდა და ამიტომ გუშინწინვე უშენოდ მიეაბარეთ საფლავსა. ბევრს ნუ ინაღვლი, შვილო! ყოველივე ღვთის ნებაა. თავს გაუფრდხილდი და რო მოიცალო მალე ჩამოდი, ეგებ შენით მაინც მოვიბრუნოთ სული მე და საბრალო დედა შენმა. იყოს შენზედ კურთხევა ღვთისა.

დავშთები შენი მოსიყვარულე მამა . . . .

შვილის გარდაცვალებაზე მეგობარს

ჩემო ძვირფასო მეგობარო . . . . !

განგებამ ღვთისამან ინება ჩემი დასჯა. წარსულ ორშაბათს დილის 8 საათზე გარდაიცვალა ჩემი ძვირფასი, ჩემი საუნჯე შვილი. . . . . განქრა ყოველი ჩემი იმედი და სიხარულიცა ამ მოხუცებულობის ჟამს.

ჩემი სიცოცხლე შეიქმნა ეხლა უსაგნო და უმნიშვნელო. ნელია როცა ესეთ მოხუცებულობის დროს ვკარკავთ შვილებს. ძნელია და მასთან შეუნელებელიც, თუ ის შვილი ერთად ერთი ნუგეშია ჩვენი მოხუცებულობისა და არ ვიცით, ვინ-ღა უნდა დაგვიხუჭოს ჩვენ თვალები სიკვდილის დროს.

თუ დრო გქონდეს მნახე მცირეოდენი ხნით.

მე ეხლა ძვირად მიღირს ყოველი მანუგეშებელი და ნამეტნავ ხო შენისთანა მახლობელი და ერთგული მეგობარი

შენი ძმა და მეგობარი . . .

დედისაგან შვილს მამის ავადმყოფობაზე

ჩემო ნუგეშო და იმედო, შვილო . . . . !

ტანჯვით და შიშით შეპყრობილი გწერავ ამ ბარათს. შვილო, მამაშენი ავად არის: მგონია ანთება აქვს. ექიმებისგან სანუგეშო არა მესმის-რა. არ ვიცი რა ვქნა. შვილო, თუ მოახერხებ, უსათუოდ ჩამოდი. შენი ჩამოსვლა გაახარებს, იქმნება ფეხზედაც წამოაყენოს, მით უფრო რომ სულ შენს ხსენებაშია. მოგელი, შვილო.

დედა შენი. . . . .

დედისაგან შვილს მამის გარდაცვალებაზე

საამედო შვილო . . . . . !

სად მოვნახო სიტყვები ჩემის უბედურების და ტანჯვის ასაწერად. ეს არის, ეხლა დავკარგეთ მამა შენი. წვეთი დაეცა და ვერაფერი ვუშველეთ-რა. ეხლა მე მარტოდ-მარტო ვარ დარჩენილი, ოხერ-ტიალად, უპატრონოდ; აღარა მყავს ამხანაგი, აღარა მყავს თქვენი და ჩემი მფარველი.

შვილო, ჩამოდი და შენ მაინც მიჰხედე და იმედი მიეც უბედურსა და უპატრონოდ დარჩენილ დედაშენსა. იცოდე, მოგილოდინებ და უშენოდ არ დავასაფლავებ.

მწუხარე და დაობლებული დედა შენი. . . . . .

მამისაგან ძეს ან ასულს დედის გარდაცვალებაზე

საყვარელო შვილო. . . . . !

გამოუთქმელის ტანჯვით და გულის ტკივილით გწერ ამ რამდენიმე სტრიქონს. დედაშენი წუხელ ღამ გარდაიცვალა სახადისაგან. უკანასკნელი სულის ამოხდომამდე სრულს გონებაზე იყო და შენი სახელი ეკერა ენაზე.

ჩამოდი, ყოველ შემთხვევის გარეშე. შენი აქ ყოფნა საჭიროა, განსაკუთრებით ჩემთვის. უშენოთ ვერ გავძლებ.

მამა შეიი . , , . .

მეგობრისაგან მეგობარს

მამის ან დედის გარდაცვალებაზე

მკვირფასო მეგობარო . . . . !

ჩემდა საუბედუროთ მე მაქვს მონდობილი გაუწყო შენ მეტად და ფრიად სამწუხარო ამბავი. შენს ოჯახში უბედურობა დატრიალდა. მამა შენი (ან დედა შენი) უეცრივ გარდაიცვალა კვირას, საღამოს 3 საათზე. გაანებე თავი შენს საქმეებს და, იჯდე თუ იდგე, ჩამოუსვლელი არ დადგე. მეტის მწუხარებით დედა შენი სასოწარკვეთილებაშია და თითონაც არ ესმის რასას ჩადის. ჩამოდი, ჩქარა ჩამოეშველე.

მოგელით მოუთმენელად.

შენი მეგობარი , ...

ამხანაგისაგან ამხანაგს ძმის ავადმყოფობაზე ან გარდაცვალებაზე

ძმაო და მეგობარო . . . . . !

ისე არას დროს არ მზარებია ბარათის მოწერა, როგორც ეხლა. საქმე ის არის, რომ თქვენი ძმა . . . .

ძრიელ ავად არის. არა მგონია, მოუსწროთ. ყოველ საათს შეიძლება გათავდეს მისი პატიოსანი სიცოცხლე. თქვენი დედა და დები მეტად შეწუხებულნი არიან. ჩამოდით, ჩამოხედეთ; ოჯახს მოელა უნდა და პატრონობა.

თქვენი კეთილის მსურველი . . . . .

ამსანაგისაგან მამას შვილის ავადმყოფობაზე

პატივცემულო ბატონო . . . . !

გაუწყებთ საჩქაროდ, რომ საყვარელი შვილი . . . . . მძიმე ავადმყოფია. ექიმებს ამედი აღარა აქვთ. თქვენი გულკეთილობის ამბავი ბევრჯელ მსმენია და ამიტომ გწერთ, რო ჩამობრძანდეთ და უპატრონოთ თქვენს საყვარელ შვილს.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი . . . . .

მაუწყებელი ბარათი ჭირისუფალთაგან

გარდაცვალებაზე

მოწყალეო ხელმწიფევ . . . . !

აზნაური მიხეილ გოდერძის-ძე სარიდანიშვილი და დედა მისი ანნა ევნატეს ასული ამითი მწუხარებით იუ-

წყებიან, რომ ძვირფასი მამა პირველისა და საყვარელი მეუღლე მეორისა **გოდერძი თეგდორის-ძე სარიდანიშვილი** გარდაიცვალა პარასკევს, იანვრის **15** დღესა, ნაშუადღევის ხუთს საათზედ. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, დილის ათ საათზე წმ. იოანე ნათლისმცემელის ეკლესიაში, სადაც იქნება გადახდილი ავრეთვე პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლათ, — გატყობინებენ რა ამ უბედურებას, ჭირისუფალნი გთხოვენ პატივი სცეთ და მობრძანდეთ ხსენებულ ეკლესიაში მიცვალებულის დასაფლავებაზე.

აზნაური მიხეილ გოდორიძის-ძე და

ანნა ეგნატეს ასული სარიდანიშვილები.



გარათები უცხო პირებთან და ნაცნობებთან

სხვა და სხვა საქმის გამო

მთხოვნელებისაგან უცხო პირებს

მოწყალეო ხელმწიფევ,

ბატონო . . . . . !

თუმცა ბედნიერი არა ვარ თქვენის პირადის ცნობითა, მაგრამ მე მაინცა ვბედავ თქვენთან გაცნობას ამ წერილის საშუალებით და, იმედია, რომ ჩემი თქვენდამი მუდმივი ღრმა პატივცემა და სიყვარული მითავდებებენ თქვენ გულკეთილობასთან. საქმე ის არის რომ (აქ უნდა დაიწეროს საქმე, რაც უნდა მიგეწერათ და ბოლოს დაურთეთ)

იმედი მაქვს, რომ მაღირსებთ თქვენცა თქვენს მოწყალე პასუხს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩემს გულწრფელს პატივისცემასა და დიდს სიყვარულში.

დავშთები მარად თქვენი მსახური . . . . . .

მოწყალეო ხელმწიფეო,

ყოვლად პატივცემულო ბატონო . . . . !

თავხედობად და გაუზრდელობად არ ჩამომართვათ ეს ჩემი წერილი. ენდეთ ღმერთს, რომ თუ არ მართლა ესეთი გასაჭირი სიქმე, არ გავბედავდი თქვენს შეწუხებას. მე ბევრთაგანა მსმენია თქვენი გულკეთილობის ამბავი, თქვენი განსაკუთრებული ყურადღება ყოველ შეწუხებულ და შეიწროებულთადმი და მხოლოდ ამისათვის ებედავ მეც თქვენთან წირილის მიწერასა. (აქ საქმეზე იქნება).

კეალად და კიდევა გთხოვთ მაპატიოთ ის შეწუხება, რაც მე იქნება უნებლიედ მოგაყენეთ ამ ჩემის უადგილო დავალებით.

დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი მონა . . . . .

თქვენო აღმატებულებავ, (ან ბრწყინვალებავ ან კეთილშობილებავ და სხვა) ბატონო . . . . !

ეიცი და კარგადაც ვგრძნობ, რომ ეს ჩემი საქციელი მეტად თავხედითი და შეუფერებელია, მაგრამ, დავრწმუნდი რა თქვენს მართლა დიდს სულოვნობასა და გულკეთილობაში, ებედავ თქვენი აღმატებულების შეწუხებასა.—თქვენო აღმატებულებავ, გევედრებით გამიწვდინოთ ხელი მოწყალებისა და დამიხსნათ ამ უკიდურესის მდგომარეობიდმ (აქ აიწერება გარემოება ან მდგომარეობა და ბოლოს) ყველა ამ მძიმე

ტვირთის ატანა ყოველად შეუძლებელია ჩემგან და ამიტომ გევედრებით კვალად, ვით ღმერთს, დაეხმაროთ და ხელი შეუწყოთ ჩემს სახლობას.

მაქვს პატივი დავშთე თქვენი დღეგრძელობისა და ბედნიერების ღმერთთან მავედრებელი და მომლოდინე თქვენი საკეთილო გარდაწყვეტილებისა.

თქვენი მონა დი მოსამსახურე . . . . . .

თქვენო ბრწყინვალებავ,

მოწყალეო თავადო . . . . !

უპირველეს ყოველისა დიდის ბოდიშით გთხოვთ მაპატიოთ ის შეწუხება, რომელსაც ამ წერილით მივაყენებ თქვენს ბრწყინვალებას. დაიმედებული ვარ თქვენის მალალის და ბრწყინვალე კაცთმოყვარეობის გრძნობასა, რომ არ გამკიცხავთ და არ გამირისხდებით ამ წერილისათვის. ყოველად შემძლებელ უფალს გითავდებებთ, რომ თუ არ მართლა ჩემი ესეთი უკიდურესი მდგომარეობა, არ გავბედავდი თქვენს შეწუხებას.—დიდო ოავადო! (აქ გარემოებაზე დაიწერება მერე განგრძე) ამ ბვარ ყოველად აუტანელ მდგომარეობასა და გასაჭირში ჩავარდნილი კაცი საკურველი როდია, თუ, მიუხედავად ზრდილობისა, კადნიერობს და ჰბედავს თქვენისთანა დიდ გვამის შეწუხებას. იმედი მაქვს, რაკი თვალწინ გადაგიშალეთ ჩემი ესდენ დიდი გაჭირება, რომ თქვენ ყველასგნით

ცნობილი გულკეთილობა ნამდვილად შეიწყნარებს ჩემს ვედრებასა. უმორჩილესადა გთხოვთ, თქვენო ბრწყინ ვალებავ, კეთილ ინებოთ და (აქ იწერება თხოვნა რაშიაც მდგომარეობს).

ნუ ამარიდებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, თვალს თქვენის მოწყალებისასა, მექმენით მსხნელ და მფარველ და ნუ მიმცემთ სასოწარკვეთილებასა.

მაქვს პატივი დავშთე თქვენგნით სიკვდილამდე დავალებული და თქვენი კაცთ მოყვარეობის მოიმედე.

თქვენი მონა მორჩილი . . . . . .

უფროსებს—ხელქვეითებისაგან

თქვენო ბრწყინვალებავ (ან აღმატებულებავ)

მოწყალეო ხელმწიფეო . . . . !

აგერა ათი წელიწადია, რაც მე თქვენს ბრძანებლობისა ქვეშე ვმსახურებ პატიოსნადა და ბეჯითად, რაიცა თქვენც კარგა მოგეხსენებათ. ამიტომ გავბედავ და მოგმართავთ უმდაბლესის თხოვნით. (აქ თხოვნა იწერება) მე დარწმუნებული ვარ, თქვენ თქვენის ჩვეულებრივი გულის სიმართლით განსჯით ყოველივეს და ბედნიერ მყოფთ, უკეთუ დააკმაყოფილებთ ამ ჩემს უმორჩილეს თხოვნასა.

თქვენი მარადის პატივის მცემელი

უდაბლესი მონა . . . . . .

თქვენო ადმატებულებავ,

მოწყალეო ხელმწიფეო . . . .

ყველგან და ყველასაგან ცნობილია დღეს თქვენი სიკეთე და სათნოებანი, რომელთაც არა ერთ-გზის და ორ-გზის გაუწვდენიათ ხელი მსხნელი და მფარველი გაჭირვებულთა და შეწუხებულთათვის. ამისათვის ვბედავ მეც ამ წერილის მოწერას და დარწმუნებული ვარ, მკაცრად არ მოეპყრობით ამ ჩემ კადნიერებას და ლმობიერებით განიხილავთ ჩემს ჯავრსა და გულის ტკივილს (აქ თხოვნა ან საქმე)

მოწყალეო ხელმწიფევ! მრავალნი არიან თქვენის კეთილი მზრუნველებისა და კაცთ-მოყვარებით ფეხზე წამოყენებულნი და განსაცდელს განრინებულნი და მეც მათ შორის, იმედი მაქვს, არ დავრჩები თქვენ მიერ უყურადღებოდ და შეუბრალებელი.

დავშთები თქვენი კეთილ-დღეობისა და დღეგრძელობის უფალთან მავედრებელი

თქვენი უმდაბლესი მონა და მოსამსახურე . . . . . .

სასულიერო წოდების პირებს

მთავარ ეპისკოპოსთან ანუ (ეგზარხოსთან)

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო,

უმოწყალესო მწყემსთ-მთავარო!

ყოველ კეთილ მორწმუნეთათვის ცხადია კეთილი თვისებანი თქვენის სულისა, ამისათვის მეც

გავკადნიერდი და გავბედე თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის შეწუხება. (აქ საქმე ან თხოვნა).

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო! იმედი მაქვს, რომ თქვენი კეთილ მწადნობა, რომლითაც გაბედნიერებულან მრავალნი გაჭირვებულნი, არც ჩემს უმდაბლესს თხოვნას ჰყოფს უგულვებულსა, მოსცემს სრულ სასოებას და დაგამსგავსებთ იმას, რომელიც იტყოდა: „მოველ ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და მე განგისვენ თქვენ“.

უმოწყალესო მწყემსთ მთავარო! ნუ შემერაცხების მე კადნიერებად ყოველივე ესე, არამედ კეთილად გადასჭრით უმდაბლეს ვედრებასა ჩემსა.

ვაბარებ ცოდვილსა თავსა ჩემსა თქვენი მეუფეობის ლოცვა-კურთხევასა და თვით მე აღვავლენ უმაღლეს ღვთისადმი მხურვალე ლოცვას თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის დღეგრძელად სუფევასა.

თქვენი უდაბლესი მონა . . . . . .

ეპისკოპოსთან

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო,

უმოწყალესო მწყემსთ-მთავარო!

ვინაიდგან მსმენია მრავალთაგან კეთილ მომქმედებანი, რომელიც შეადგენს უძვიუფასეს თვისებას

და სამკაულს თქვენის მეუფეობისას, ამიტომ მეც ვიკადნიერე თავის შეწყენა თქვენი ჩემი ჭეშმარიტისა და უტყუარის საქმითა. (აქ საქმე ან თხოვნა)

ყოველად უსამღვდელოესო მეუფეო! თუმცა თვით მე კარგად ვუწყი, რომ ღირს არა ვარ წყალობის ანუ რასაცა ვითხოვ, მაგრამ იმედს მაძლევს ხმა იგი სანეტარო მეტყველი: „მოწყალე იგი არს, რომელმან არა ღირსი წყალობისა შეიწყალა“,—და ამიტომ იმედითა სრულითა შევავედრებ თავსა ჩემსა თქვენის მაღალ უსამღვდელოესობის გრძნობათა კაცთ-მოყვარეობისასა.

თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობის მონა . . . .

არხიმანდრიტთან ან წინამძღვართან

მაღალ ღირსო არხიმანდრიტო,

მოწყალეო მამაო . . . . . .

დაენერგა რა სიყვარული თქვენის მაღალ ღირსებებისა ამ ჩემს გულში თავიდან დღემდე, სულ იმასა ვცდილობდი, მომეწერა თქვენთვის ბარათი, მაგრამ დღემდე შემთხვევა არა მქონდა ამ ბედნიერებისა (აქ საქმეზე ან მიზეზზეც იწერება.

მაღალ ღირსო მამაო, თქვენი მსასოებელი კაცთ-მოყვარეებისაგან მოველი ჩემის სათხოვარი საქმის სამართლიანად გათავებასა და გთხოვთ ამასთანავე უმდაბლესის თხოვნით, არ დამტოვოთ მე უთქვენ ლოცვა-კურთხეულად .

თქვენი მაღალ ღირსების უმდაბლესი მონა . . .

დეკანოზთან

ღირსო და პატიოსანო დეკანოზო,

მოწყალეო მამაკ. . . . . !

ვინაიდგან დიდი-ხანია, რაც სულმან ჩემმან აღტ-
რჩია ღირსება თქვენი თვის მამად და მოძღვრად
და ამიტომ ჩემს საქმეს ვარწმუნებ და ვანდობ
მხოლოდ თქვენს ღირსებას (აქ საქმე ან სათხოვარი)

რადგან სიმძიმე საქმისა ჩემისა, თქვენს შეუწევნე-
ლად თითქმის შეუძლებელია, ამისათვის უმდაბლესად
გთხოვთ მიჩვენოთ გზა და საშველი, რათა მარად
თქვენის ულრმესს პატივისცემასა და ლოცვაში დაველიო
დღენი ჩემნი.

თქვენის ღირსების უმდაბლესი მონა . . . . .

მღვდელთან ან მღვდელ-მონაზონთან

ღირსო მამაო . . . . .

რადგან სრული რწმენა მაქვს თქვენის ღირსე-
ბისა, ამიტომ ამ საქმესაც მოგანდობთ თქვენ, რათა
კვალანდებურად შემეწიოთ და დაშეხმაროთ მის აღ-
სრულებაში. (აქ საქმეზე ან თხოვნაზე იწერება)

თუ შესაძლო და ადვილი არს ეს საქმე თქვე-
ნის ღირსებისათვის, უმორჩილესად გთხოვთ, არ მი-
სცეთ დავიწყებასა თხოვნა ესე ჩემი და რაოდენადაც

შესაძლებელი იყოს კეთილად დაამთავროთ, რითაც სიკვდილამდე დამავალებთ მეამბორესა წმინდისა მარჯვენისა თქვენისა და მარად პატივისმცემელისა

მონასა თქვენსა . . . .

წერილი რისამე თსოვნასა

უცნობ და ნაცნობ პირებთან

ყოველად პატივცემულო.

მოწყალეო ხელმწიფეო . . . .

პირველი სტრიქონიდანვე მოვალედა ვრაცხ ჩემს თავს ბოდიში მოვიხადო თქვენი შეწუხებისათვის და ამასთანავე უმორჩილესად განვაცხადო ჩემი თქვენდამი ულრმესი პატივისცემა.

შიშით და კრძალვით მოგაგონებთ ხელმეორედ ჩემს პირველ თხოვნას, რომლისა გამო აქამომდე არავითარი პასუხი არ მიმიღია. თქვენ ჩემის პირველი თხოვნიდამ მოგეხსენებათ, რა უბედურსა და ყოველად შეუძლებელ მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი, და ამიტომ ეხლა დიდს შეწევნად მივიჩნევ ყოველ ალაგს, რაც უნდა დაბალი იყოს და ჯერ-ჯერობით მცირე ჯამაგირთაც ბოლამდ წავალ.

მოწყალეო ბატონო . . . . ! იმედი მაქვს საწყენად არ დაგრჩებათ ეს ჩემი ბარათი, გეფიცებით პატიოსნებას, თუ არ მართლა ისეთი გასაჭირი მდგომარეობა, მე არ გავბედავდი თქვენს ხელმეორედ შეწუხებას.

დავშთები მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო პასუხისა, თქვენი დღეგრძელობის მოსურნე და მარად

უმდაბლესი მონა-მოსამსახურე . . . . !

მოწყალეო ბატონო . . . . !

ეს არის ეხლა მივიღე თქვენი პატივცემული ბარათი და ვესწრაფი პასუხი დროზე მოგაწოდოთ. ყოველივე, რაც დამავალეთ, მე დღესვე აღვასრულე; (აქ იწერება საქმის გარემოება) ეხლა თქვენ იცით, როგორც მოიქცევით. ამაზე კი დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მუდამ მზად ვიქმნები თქვენის სამსახურისათვის, რაც უნდა მოუცლელი ვიყო, თქვენთვის ყოველთვის მოვიცლიდი.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი . . . . !

მოწყალეო ხელმწიფევ . . . . !

დიდის სიყვარულით მოგიკითხავთ დი დიდის ბოდიშითა გთხოვთ, როგორმე დამეხმაროთ და გა-

მირიგოთ ერთი საქმე (აქ იწერება რაც გასარიგებელია ან რაც საქმეა); იმედი მაქვს, არ მიწყენთ და თუ რაშიმე დაგჭირდებათ ჩემი თავი, მიგულეთ მეც, თქვენი უმორჩილესი მონა და მოსამსახურე, მარად მზა თქვენის სამსახურისა

დავშთები თქვენი ერთგული . . . . .

მოწყალე ხელმწიფევ . . .

ერთი სანდო პირისაგან გავიგე, რომ თქვენ ამჟამად მუტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმ-ყოფებით. მიკვირს, რომ პატივი არ დამდვეთ და არ შემატყობინეთ; ეგები შემძლებიყო რითიმე სამსახურის გაწევა. ნუ თუ როდისმე მიზეზი რამ მო-მიცია მე თქვენთვის, და მუდამ მზად არა ვყოფილ-ვარ თქვენის დახმარებისათვის? მაშ ეხლა რაღად იბრუნეთ ჩემგან პირი და არ შემატყობინეთ თქვენი დარდი და ნაღველი?

დარწმუნებული იყავით, რო მე ბედნიერად ჩა-ვთვლი ჩემს თავს, თუ კი შემთხვევა რამ მომეცემა დაგიმტკიცოთ მეგობრობა. შემატყობინეთ თქვენი გასაჭირი და დარწმუნებული იყავით, რაც ჩემ ხელთ არის, სიამოვნებით აღგისრულებთ.

თქვენი ერთგული . . .

წერილები სხვა და სხვა სათხოვარზე

მოწყალეო ხელმწიფეო,

ბატონო . . . . . !

მეტად შეეიწროებული მდგომიარობა ჩემის ოჯახისა მაბედვინებს თქვენს შეწუხებას. თქვენ უკვე მოგეხსენებათ, რა უბედურება დატრიალდა ჩემს თავზე (აქ ითქმის რა მიზეზი). მოკლებული დღეს ყოველ საზსარს, მოგმართავთ თქვენ და, იმედი მაქვს, არ იწყენთ ამ ჩემ თხოვნას და მასესხებთ . . . . მანეთს, რითაც დიდად დამავალებთ და გამომიხსნით გაჭირვებიდგან.

თქვენი უმორჩილესი, მონა . . . .

მოწყალეო ბატონო . . . . !

ეს არის ეხლა მაუწყეს, რომ ჩემთვის სამხახურის ალაგი ქალაქ . . . . . დაუნიშნეთ. რაოდენადაც საამოა ეს ამბავი ერთის მხრივ, იმოდენადვე არა სასიამოვნოა მეორეს მხრივ. საქმე ის არის, რომ მე, აქამდე ასე უსამსახურად ყოფნამ, ჯიბეში ფულის ხსენება გამომილია; ეხლა კი განწესებულ სამსახურში წასასვლელად აღარც ფული მაქვს და აღარც სხვა რამ სახსარი და, მეტი ღონე არ არის, ისევ თქვენ უნდა მოგმართოთ, რომ სამის თვით მავალოთ . . .

მანათი, რომელსაც ნაწილ-ნაწილ გარდავიხდი ჩემის ხვედრი ჯამაგირიდამ. მე დარწმუნებული ვარ თქვენს გულკეთილობაში და, თუ თქვენთვის შესაძლებელი იქნება, დამეხმარებით ამ ჩემს გაჭირვებაში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ, რაც უნდა პასუხი მომიეიდეს, ჩემი თქვენდამი ულრმესი პატივისცემა და სიყვარული შეუცვლელივე დარჩება აწ და მარადის.

თქვენი მორჩილი . . . . .

მეორეს და კეთილო . . . . !

კეალად გთხოვთ მიშველოთ და მასესხოთ . . . მან. ივნისამდე. ღვთის გულისთვის უარს ნუ შემომითვლით, ძლიერ მეჭირვება, თუ ვერ მიშოვნეთ— დავიღუპები. დაწვრილებით ამბავს პირველსავე შეხვედრაზე მოგახსენებთ.

თქვენი ერთგული და მოყვარე . . . . .

მილოცვის წერილები

შვილებისგან მშობლებს ბედნიერ დღეობის გამო

ყოველად კეთილნო და მვარფვასო მშობელნო!

ვესწრაფი მოგილოცოთ მომავალი ბედნიერი დღე (აღდგომა ან შობა) და ვისურვებ თქვენთვის დაუბოლოვებელ ბედნიერებასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენდა საბედნიეროდ და სანუგეშებლად.

დავშთები თქვენი უმდაბლესი ძე (ან ასული) . . .

ძვირფასო მამაო . . . . !

მოგილოცავთ აღდგომას სიხარულისასა. ღმერთმა მრავალს ამ დროს დაგასწროთ, მრავალი აღდგომა დილა გაგითენოთ ბედნიერებითა და ყოველი სიკეთით სავსე.

მე არასოდეს არ დამავიწყდება თქვენი ესოდენი ზრუნვა და მამობრივი შრომა ჩვენს აღზრდაზე. დარწმუნებული იყავით, რომ, თუ ღმერთმა გვა-

ღირსა, ერთი ათად გადაგიხდით მაგ სამსახურს და უზომო სიყვარულსა. ბოლოს ვითხოვ თქვენს მამობრივ კურთხევასა და მოუთმენელად მოველი თქვენს წერილს.

დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი

და მოსიყვარულე ძე (ან ასული)

ქრისტე ადგდგა!

შვირფასო დედავ (ან მამავ) . . . . !

გულითადის გრძნობით მოგილოცავთ ამ ბედნიერ დღეს და თან ჩემს უზომო სიყვარულსა და ულრმესს პატივისცემას განგიცხადებთ. არ გეგონოთ, ჩემო ძვირფასო მშობელო, რომ ოდესმე თქვენი სიკეთე დამავიწყდეს. დღე ისე არ გავა, რო მხურვალე ლოცვით არ მივმართო უზენაესსა, რათა მან არ მოგაკლოთ თავისი მოწყალება და დღეგრძელი იყოს თქვენი ძვირფასი სიცოცხლე.

იმედი მაქვს, როგორც აქამდე, ეხლაც და მუდამაც თქვენს კეთილ ზრუნვას და ლოცვა-კურთხევას არ მომაკლებთ.

დავშთები თქვენი ერთგული ასული (ან ძე) . . . . .

შვილებისაგან მშობლებს მათი დღეობის გამო

მკვირფასო ბატონო მამავ . . . . !

უანგარო სიყვარული ჩემი და ფრიადი პატივისცემა თქვენდამი მაიძულებს ამ თქვენთვის შესანიშნავ დღეს გამოგიცხადოთ რასაც გული მაუწყებს.

ბევრი, ძლიერ ბევრი შრომა, მეცადინეობა და გაჭირვება გამოგიგლიათ თქვენ ჩემი და ჩემი და-ძმების აღზრდაში და ნუ იფიქრებთ, რომ, თუ არ ჩვენ, ღმერთმა მაინც არის არ დააფასოს ეგ თქვენი კეთილი საქმე და მისდა სამაგიეროდ ერთი ათად არ მოგიწყოთ სულის სიმშვიდე და ბედნიერება. მე რაც შემეხება, პირუთვნელად გაძლევთ პატიოსანს სიტყვას, რომ თუ სამსახურით ვერა, გაგონებითა და მორჩილებითა მაინც გაგახარეთ და დაგიტკბოთ დღენი მოხუცებისანი.

დავშთები თქვენი მოსიყვარულე ძე . . . . .

მარად სანატრელო და კეთილო დედავ . . . . !

ვერ წარმოიდგენთ, რა რიგად მწადის თქვენი ნახვა და პირის-პირ მილოცვა; თქვენი დაბადების დღე ჩემთვის ყოველ დღესასწაულზე უტკბესი და უძვირფასესია. ამ დღეს მთელი დღე ღმერთს ვაევედრებ თქვენს კარგად და მშვიდობით ყოფნას და იმედიცა მაქვს, რომ უფალი ყურადღებას მიაქცევს ჩემს მხურვა-

ლე ლოცვასა. ჩემდა საუბედურად მე დღეს მოკლებული ვარ თქვენი საყვარელი სახის ხილვასა, რომ ათასჯერ გადამეკოცნა თქვენი ძვირფასი თვალები.

თქვენი დღეგრძელობის მოსურნე ასული (ან ძე) . . . .

ნათლის მამას ან ნათლის დედას ნათლულისაგან

ძვირფასო ნათლიავ . . . . . !

დღევანდელი დღე ისეთი დღეა, რომ ყველანი ერთმანერთს ულოცავენ სიკეთესა და ბედნიერებას. მე უზრდელ და ხეპრედ ჩავთვლიდი ჩემს თავს, რომ ამ ბედნიერ დღეს ხმა არ ამომელო და არ მომელოცნა თქვენთვის. მართალია, ძრიელ შორსა ვარ თქვენგან, მაგრამ სიყვარულთან და გრძნობასთან სიშორეს ხელი არა აქვს. თქვენს მზეს ვფიცავ, ძვირფასო ნათლიავ, რომ დღე ისე არ გავა, თქვენ არ მოგიგონოთ. ჩემი მშობლებისა და თქვენს მეტი მთელს დედამიწის ზურგზე მე არავინ მაბადია ასეთი ძვირფასი და საიმედო. ღმერთმა მრავალი ბედნიერი დღე გაგითენოთ ჩემდა საამოდ და სანუგეშოდ.

დავშთები თქვენი ნათლული . . . . .

ჰასუხად მშობლებისაგან შვილებს

საყვარელო შვილო . . . . . !

მე და დედა შენი დიდად გმადლობთ, რო ამ მოხუცებულობის ჟამს კიდევ მოგვიგონე და ბედნიერ

დღეების (ანუ დაბადების დღე ან დღეობის) მილოცვა არ დაგვაკელ. ხოლო, უალრესი ჩვენი ბედნიერება მაშინ იქმნება, თუ შენ შენის მეცადინეობითა და კეთილი ცხოვრებით გაგვახარებ. შვილო, . . . იცოდე, სიჭაბუკე ისეთი დროა კაცის ცხოვრებაში, რომ ერთის მხრივ ყოველგვარი საფრთხე და განსაცდელი მაშინა სდევს ადამიანს და მეორეს მხრივ კი—თუ რასმე საბოლოოს შეიძენს კაცი, მხოლოდ მაშინ. რასაცა დასთეს სიჭაბუკეში, მასვე მომკი მოხუცებაში. ამიტომ, შვილო, იმეცადინე, იშრომე ეხლა, ამ სიჭაბუკის ჟამს, რომ სასარგებლო კაცი გამოხვიდე შენის ოჯახისა და შენის ქვეყნისათვის.

სხვაფრივ, დარწმუნებული ბყავ, რომ, რაც კი შესაძლებელია, არას დაგაკლებთ და ყველაფერს შენ განაცვალებთ, ოღონდ კი მუქთად ნუ ჩაატარებ ჩვენს შრომასა და სიყვარულს.

იყოს შენზედ კურთხევა უფლისა. დედაშენ მრავალ გზით გკოცნის.

შენი მზრუნველი მამა . . . .

ძმისაგან დასა

საყვარელო დაო . . . . !

ისე არაფერი გამახარებდა ამ ქვეყნად, როგორც შენი დაქორწინება. მოგილოცავ რა ამ ფრიად საესხარულო ბედნიერებას, გთხოვ გადასცე ჩემი უგული-

თადესი პატიისცემა და სიყვარული შენს ძვირფასს მეულლესა (სახელი და გვარი სიძისა).

ღმერთსა ვთხოვ, შეგაბეროთ სიტკბოთი და სიყვარულით.

შენი ერთგული ძმა . . . . .

დისაგან ძმას

ძვირფასო ბატონო ძმაო. . . . !

შენი მოლოცვის წერილი მივიღე, რითაც დიდად გამახარე და გამაბედნიერე. მე ყოველთვის დარწმუნებილი ვიყავ შენს გულ-კეთილობასა და სიყვარულში. ეხლა შენ თავისუფალი კაცი ხარ, დროა შენც ოჯახი გაიჩინო. იცოდე, ჩემი ბედნიერება სრული არ იქნება, თუ შენც დროზე არ დაბინავდები. მოგიკითხა ჩემმა მეულლემ დიდის სიყვარულით.

შენი მორჩილი და . . . . .

უფროსებთან, ნაცნობებს და მეგობრებს

ყოვლად კეთილო ბატონო . . . . !

ესარგებლობ შემთხვევით და გილოცავთ სიხარულით ამ ბედნიერებას (ან ბედნიერ დღეს, ან ცოლის შერთვას, ან სხვა რასმე). მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ თქვენისთანა კეთილი გულის პატრონს უსათუოდ ღირსეული ბედი მიეცემოდა და ისეც ახდა კი-

დეც. ღმერთმა ნუ მოგაკლოთ სიმშვიდე სულისა და სათნოება გულისა.

დავშთები თქვენი დღეგრძელობის მსურველი . . . . .

საყვარელო მეგობარო . . . . !

ხვალ შენი დღეობაა; ვწუხვარ, რო ვერ დავესწრები. რა ვქნა, ხომ იცი, ხელ-ფეხ შეკრულივარ, თორემ უსათუოდ ჩამოვიდოდი. მაინც ვისურვებ შენთვის ყოველ სიკეთეს და გილოცავ დღეობას.

შენი ერთგული . . . . .

თქვენო ადმატებულებავ,

ბატონო . . . . . !

თქვენი არა ერთხელი შემწეობა და მოწყალება ჩემდამი ყოველთვის სიყვარულითა და ულრმესის პატივისცემით აღავსებნდენ ხოლმე ჩემს გულს, მაგრამ გაუბედაობისა გამო ვერაფერს ვახერხებდი სათქმელად.

ხოლო დღევანდელი ბედნიერი დღე (აღდგომა, ახალი წელი ან შობა) მაბედვინებს მოლოცვის მოხსენებას. ყოვლად შემძლებელ უფალსა ვთხოვ თქვენს ბედმიერებას და მრავალ გვარ სიკეთეს და ვისურვებ კვალად მრავალ ამ დღეს დაგასწროთ ღმერთმა ბედნიერებით და სიტკბოებით.

ეს არს ჩემი მხურვალე სურვილი და, იმედი მაქვს, არ გამკიცხავთ კადნიერებისათვის.

დავშთები თქვენი აღმატებულების უმორჩილესი მონა . . . . .

ძვირფასო და საყვარელო მეგობარო!

დღეს შენგან მიღებულმა ბარათმა ძრიელ გამახარა. სულით და გულით გილოცავ მემკვიდრის შეძენასა და შენი მეუღლის მშვიდობით განთავისუფლებასა. რაც შეეხება შენს სურვილს, რო მე ვიყო შენი შვილის მიმრქმელი, ბატონი ბრძანდებით, მე დიდის სიხარულით ვაცხადებ ჩემს თანხმობას და იმედია, ამის შემდეგ ჩვენი მეგობრობა უფრო მტკიცე შეიქმნება. დანიშნულ დროზე უსათუოდ ჩამოვალ.

სხვებრ, ვისურვებ შენი სახლობის ბედნიერებას, შენს მეუღლეს მალე მორჩენას და შენი ახლად შეძენილი მემკვიდრის კარგად ყოფნასა.

დავშთები შენი ერთგული მეგობარი . . . . .

სანუგეშო წერილები

მეგობრისგან მეგობარს

ძვირფასო მეგობარო . . . . !

ჩემის მხრით დიდი უსამართლობა იქნებოდა, რომ ამ მძიმე და მწარე წუთებში (აქ შეიძლება შენობითაც დაიწეროს) თქვენთვის შეძლების და-გვარად ნუგეში არ მეცა. ვიცი, ძვირფასო მეგობარო, რომ თქვენი უბედურობა მეტად მძიმეა და მწვავე! ვიცი, რომ თქვენი შვილი დიდად ნიჭიერი და სასარგებლო ყმაწვილი იყო, მაგრამ რა გაეწყობა, რასა იქ! სენი და ავადმყოფობა ისეთი რამ არის, რომ ძნელად თუ როდისმე ემორჩილება კაცის ძალას. თქვენც არაფერი დაიშურეთ, ყოველი საშუალება იხმარეთ, რომ გადაგერჩინათ თქვენი საყვარელი ძე, თუმცა არ დაგიფასდათ და ყოველივემ ამაოდ ჩაგიარათ. ესხვებს ესეთი უბედურება მთლად გაანადგურებდა და ათასი მადლი უფალსა, რომ თქვენ თქვენის მაღალი გონებისა და მტკიცე ხასიათის წყალობით მედგრად აიტანეთ ეს უბედურობა! დიდება თქვენს მოთმინებას

და ხასიათსა! ეხლა იმის მეტი არა გრჩებათ-რა, რომ როგორმე შეურიგდეთ ამ უბედურებას. მართალია, დრო და ჟამი თავისთავადაცა ჰკურნავს ხოლმე ადამიანს, მაგრამ გონიერი კაცი თავის დღეში დრო და ჟამს არ მოუცდის, თუ მის ძალ-ღონეში მოიპოვება იმ წყლულის განკურნება.

იმედი მაქვს მიპასუხებთ და გამიზიარებთ თქვენს მწუხარებას.

თქვენი ერთგული მეგობარი . . . . .

ოგვლად პატივცემულო მეგობარო . . . . !

იკმარეთ, ძვირფასო მეგობარო, ეგოდენი მჭმუნვარება და ოდნავ მაინც დამშვიდდით. ყოველივე, რაც ხდება, სულ უფლისაგან არის და თქვენც მიიმჩნიეთ ეგ უბედურობა ისე, როგორც რომ მსხვერპლი უფლისათვის. შვილების (ან სხვა რამე) დაკარგვისთანა ძნელი რალა უნდა იყოს ქვეყანაზედ, მაგრამ, რასაც აღარა ეშველება-რა, იმაზე მეტის მეტი მწუხარებაც არ შეჰშვენის გონიერ კაცს.

მარტო ღმერთია შემძლებელი და მხოლოდ იმას უნდა მიჰმართოთ, რათა მშვიდობა გაკუთნოთ და ადვილად შეგაძლებინოსთ ატანა მაგ მძიმე მწუხარებისა.

მერწმუნეთ, თქვენმა უბედურებამ ყველა თქვენი მოკეთე შეზარა და დააღონა; გაუფრთხილდით თქვენც თქვენს თავს და ნუ ჰლუპავთ ბევრის დარდითა და

უზომო მწუხარებით. გთხოვთ, როგორც მწუხარებაში, ავრეთვე ყოველივე თქვენს გასაჭირში თქვენს უერთგულეს მეგობრად მიგულოთ.

თქვენი მეგობარი . . . . . .

მეგირფასო და კეთილო . . . . !

არ იფიქროთ, რომ სანუგეშებლად გწერდეთ ამ წერილს. განა არ ვიცი, რა ძნელია საყვარელი შვილის დაკარგვა. ამ შემთხვევაში ნუგეშისცემა ულონოა, მაგრამ მაინც ხშირად ერთმანეთისათვის უბედურების გაზიარება ცოტათი მაინც შეუმსუბუქებს კაცსა ყოველ დარდისა და მწუხარების ატანას, თუმცა ვიცი რომ თქვენი დარდი მწვავე და ძნელად ასატანია, რადგან საყვარელი თქვენი მეუღლე მეტად უდროო დროს იქმნა თქვენ მიერ დაკარგული.

ძნელია ეგ თქვენი უბედურება, მაგრამ მით მაინც ესე შმაგივით არ უნდა ეძლეოდეთ სასოწარკვეთილებასა და მწუხარებასა. დარწმუნებული იყავით, რომ ბევრნი თქვენი ნაცნობებთაგანნი მზად იქნებიან თქვენის სამსახურისათვის და პირველი მათ შორის ვიქმნები მე. ფიქრი ნუ გაქვთ, თუ რამე საჭირო იქნება, ყოველივეს შევიძლებ, რომ, ცოტათი მაინც არის, შეგიმსუბუქოთ ეგ თქვენი უზომო მწუხარებანი.

იმედი მაქვს, რომ, თუ დაგჭირდებათ რამე, მომმართავთ ყოველთვის მე, როგორც თქვენს ერთგულს მეგობარს.

დავშთები თქვენი უმდაბლესი მონა . . . . .

ჩემო კეთილო . . . . !

არ ვიცი, როგორ დავიწყო, რომ წყლული უფრო არ ავიშალო. ცხადია, რომ თქვენს ადგილს ყოველი კაცი სასოწარკვეთილებას ეძლევა და უზომო მწუხარებით არის ხოლმე მოცული ⁄ გამსჭვალულია მისი გული; ხოლო ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ მარტო თქვენი თავი არ გაბარიათ. თქვენს კისრად დარჩა კიდევ სამი სული, რომელთაც მოელა უნდათ, ამიტომ, რაც უნდა მწვავე იყოს ეგ თქვენი დარდი, მაინც უნდა თავი შეიკავოთ და გულის თქმა გაიჩუმოთ, თორე თქვენს შემაცქერელს თქვენ წვრილ შვილებს გული გაუტყდებათ და უფრო სასტიკად იგრძნობენ თავის დაობლებასა.

ჩვენ, მშობლებს, ნება არა გვაქვს მივცეთ თავი ჩვენს დარდსა და ვარამს, რაც მძიმე მოვალეობა გვაწევს კისრად. ხოლო ეს მოვალეობა მით უფრო საეალდებულოა თქვენთვის, რომ განსვენებული უკანასკნელად სულ შვილებზე გეეედრებოდათ. რაც უნდა იყოს, თქვენ, ავად თუ კარგად, უკვე გიცხოვრიათ,

სიტკბოებაცა და სიმწარეც გამოგივლიათ; ხოლო თქვენი შვილები ჯერ მარტო სიმწარის მნახველნი არიან და ეცადეთ, რითაც კი შეიძლება, დაუტკბოთ მწარე ობლობა და თქვენც იკმარეთ ეგოდენი დარდი, და გულ დამშვიდებით შეავედრეთ ღმერთს სული განსვენებულისა. მერწმუნეთ, მე ისე მიმაჩნია ეგ თქვენი საქმე, როგორც საკუთარი ჩემი უბედურობა.

დავშთები თქვენი ერთგული . . . . .

მგირეფასო ბატონ . . . . . !

შენი ქალის დაკარგვამ ისე დამადნო, რომ ბარათის დაწერაც ველარ მომიხერხებია. მინდოდა ნუგეში მეცა, მაგრამ არ ვიცი, ვერაფერი მომიგვარებია. მომაგონდება თუ არა თქვენი მშვენიერი . . . . . მაშინათვე ცრემლით თვალები მევსება, გული ყელში მებჯინება. მაინც, ჩემო კარგო, თავს ნუ იკლავ და ეცადე, ღვთის ვედრებას და ლოცვაში, მოინელო ეგ შენი მწუხარება. ღმერთი დიდია და ყოვლისა შემძლებელი, და მასში ჰპოებს ყოველი დაჩაგრული გულის სიმშვიდეს და ნუგეშისცემას უბედურობაში.

ნუ ინაღვლი, თავს გაუფრთხილდი.

დავშთები შენი მწუხარების მონაწილე ძმა . . . . .

მოწყალეო ბატონო . . . . !

თქვენმა უბედურებამ ჩვენც გაგვაუბედურა; ენა დუმდების და სიტყვანი მწუხარების გამოსათქმელნი გულშივე ტრიალდებიან. მაგრამ ამ ქვეყნად ყოველივეს ბოლო აქვს, ყოველივე წარმავალია. რაც მოხდა, ღვთით მოხდა და უნდა შეურიგდეთ უბედურებას. გამხნევდით, თქვენი დაძაბუნება ჩვენც დაგვაძაბუნებს.

იყავით მშვიდობით და უფლისაგან ნუგეშ-ცემულნი

დავშთები თქვენი მწუხარების თანამოზიარე . . . .

სამძიმრის წერილები

შვილისაგან დედისადმი მამის გარდაცვალებაზე

უსაყვარელესო დედავ!

მოულოდნელი უბედურება დაატყდა სახლსა ჩვენსა: განისვენა მფარველმა ჩვენმა მამამ და საყვარელმა მეუღლემ თქვენმა. ვიცი, ძნელი ალატანია თქვენთვის ეგოდენი უზომო მწუხარება, მაგრამ მოგვიგონე ისევ ჩვენ და მეტის მწუხარებითა ნუ-ღა განჰგმირავ შენი შვილების გულსა; ხომ იცი, შენი შეწუხება რა რიგ იმოქმენდებს ჩვენზე. მართალია, დაობლებული ხარ შენცა და ჩვენც, მაგრამ ჯერ კიდევ სასოწარკვეთილებას არ ვეძლევით, რადგან შენითა ეცოცხლ ვართ და მარტო შენ გვეგულები ჩვენი სიობლის ნუგეშად და ოჯახის ბურჯად.

ძვირფასო დედავ! იკმარე გარდამეტებული მწუხარება და იცოცხლე ჩვენთვის ჩვენდა საბედნიეროდ და სასიქადულოდ.

დავშთები სულით და გულით დაწყლულებული

ძე შენი (ან ასული) . . . . .

შვილისაგან მამას დედის გარდაცვალებასე.

უმოწყალესო ხელმწიფეო, მამავ!

არ ვიცი რას მივამსგავსო მწუხარება და ლმობა ჩემის გულისა! მდულარე ცრემლთაგან თვალთ მიბნელდება და გული ათას ნაკუწად მექქენჯნება. ჩვენმა საყვარელმა დედამ და აღმზრდელმა დაგვაობლა!

უძვირფასესო და გონებით მდიდარო მამავ! შენ მაინც ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას და დიდის მწუხარებით და დარდითა ნუ შეიმოკლებ ჩვენთვის ძვირფასს სიცოცხლეს. ბევრი უბედურებისათვის გაგიძლია და ბევრს უკულმართობას არ დაუძაბუნებიხარ და ნურც ეხლა დაუვარდები შეუბრალებელ სიკვდილს, რომელმაც მოგტაცა ამდენი ხნის ამხანაგი და საყვარელი შენის გულისა.

მიიღევი ეს მწარე ცრემლი ჩემს ვედრებად და შენის დამშვიდებით ჩვენც გვანუგეშე და დაგვამშვიდე.

დავშთები მტირალი შენი შვილი (ასული ან ძე) . . . . .

დედისაგან ასულს მისი ქმრის სიკვდილზე.

უსაყვარელესო ასულო ჩემო . . . . !

მესმა-რა მოულოდნელი უბედურება შენი, მყისვე მოეგზნა ცეცხლი გულსა ჩემსა და ვიწვი შენის საცოდაობითა.

მე უბედური რა რიგ შევხარ ოდი თქვენს ბედნიერებას! ასე მეგონა, შენა და შენი საყვარელი ქმარი დამმარხავდით მე საცოდავსა; ხოლო სიხარული მწუხარებად შემეცვალა და დავრჩი უნუგეშო და სასოწარკვეთილი.

შვილო და ერთად ერთო ნუგეშო! იგლოვე და იტირე შენი მშვენიერი და დაუვიწყარი ქმარი, ხოლო გარდამეტებულს მწუხარებას ნუ ეძლევი. ხომ იცი, შვილო, შენს მეტი არავინ გამაჩნია მთელს დედამიწის ზურგზე და გებრალებოდეს მოხუცებული დედა-შენი.

უბედური და მტირალე დედა შენი . . . . .

მისაგან მამას ძმასა ზედა

უსაყვარელესო მამაო . . . . !

ვიგლოვ და ვტირი, მწუხარებით გარემოცული, ძმასა, რომელიც იყო სვეტი სახლისა და ლამპარი

კვარისა ჩვენისა! ეტირი ძმასა ჩემის სულის და გულის ნუგეშსა!

სიკვდილი, შეუბრალებელი სიკვდილი ყოველთვის კარგს არჩევს ხოლმე, თორემ სამართალი რომ იყოს, განა ის მკვდარი უნდა იყვეს და მე ცოცხალი? წარმომიდგება-რა შენი მოხუცებულობა, შენი უზომო სიყვარული განსვენებულისადმი, ლამის ჭკუიდან შეეიშალო მწუხარებისაგან.

ყოვლად კეთილო მამა ჩემო! ნუ ეძლევი ეგოდენ მწუხარებასა და შეიბრალეთ შენი შვილები.

ვისურვებ შენს სიმშვიდეს და ნუგეშის გარდამოვლენას უფლისაგან, რათა ადვილად შეგეძლოთ ატანა ამ ჩვენი გამაუბედურებელი დანაკლისისა.

დავშთები თქვენი თვალ-ცრემლიანი და დაღონებული

მარად თქვენი მორჩილი შვილი . . . . . .

ასულისაგან დედას ძმასა ზედა.

უსაყვარლესო და სანატრელო დედავ!

შეუბრალებელმა და ულმობელმა სიკვდილმა წაგართვა თქვენი საუკეთესო ძე, თქვენი სიცოცხლის მანუგეშებელი და თქვენი იმედის მომცემი! ვიგლოვ და ვსტირი მწარე ცრემლისა ნაკადულებით

ჩვენს ძვირფას ძმასა, ჩვენი ოჯახის და გვარის სიქადულსა!

ოჰ, უნდო და მუსტალო სიკვდილო, მტერო კაცთა ნათესაობისავ! ის მერჩივნა ჩემთვის მოგველო ბოლო და მე გემსხვერპლნე ჩემი ძვირფასის ძმის მაგივრად!

დედაო, ნუგეშო სულისა და გულისა ჩემისა! ნუ დაიობლებთ შვილთა თქვენთა და გარდამეტებულის მწუხარებით ნუ-ღა დაიფრქვევთ ცრემლთა, რომლის ტვირთვა არა ძალუძს გულსა თქვენსა თქვენი მოხუცებულობისა გამო. იყავით მხნედ, რათა დანარჩენნი შვილნი თქვენნი არ მისცეთ უსასტიკესს უბედურებასა.

დავშთები თქვენი ერთგული და მწუხარებით აღსავსე

უმორჩილესი ასული. . . . . .

მოყვასისაგან მოყვარესადმი

ოჯღად პატიგცემულო . . . . !

რაოდენადაც სიყვარული თქვენი ენთების გულსა ჩემსა, ეგოდენად თქვენი უბედურების შემთხვევამ აღაგზნო ჩემს გულში ცეცხლი მწუხარებისა და ვარ თანამტკივნეული თქვენი ხვედრილი უბედურებისა, რომლის ნაცილ-კერძოობასა მეც მივიღებ და ცრემლთა თქვენთა შევუერთებ ჩემს ცრემლებსაც.

ჩემო ხელმწიფეე (ან ბატონო), თუმცა ნამდვილ ღირს არს ტირილისა და გლოვისა უსაყვარლესი და სახე მშვენიერი (აქ დაისახელება ძმა, და, დედა, მამა, ქალი, ვაჟი, სძალი, ბიძა, ერთის სიტყვით, ვინც იყოს მისი სახელი), მაგრამ, რადგან ყოველის შემძლებელი ღვთის ნებას ვერავინ წინ აღუდგების, ამიტომ თანაგვაძევს ჩვენ ყოველთა მოთმინება და მტკიცედ ატანა აუცილებელ უბედურობისა.

გთხოვთ მიიღოთ ეს ჩემი სიტყვები, ვითარცა თქვენი უბედურების თანამოზიარისა, გულ მტკივნეულისა და თქვენი კეთილ მოყვარისა. ნუ მისცემთ უზომო მწუხარებასა თავსა თქვენსა.

ღმერთი იყოს თქვენი ნუგეშის მცემელი და ყოველი განსაცდელის ამცილებელი, და აკმაროს მან სახლსა თქვენსა ეს უბედურება.

თქვენთანა მწუხარე, თქვენთანა გულ-მტკივნეული

მოყვარე და ერთგული თქვენი . . . . .

მეგობრისაგან მეგობრისა ზედა

უსაყვარელესო მეგობარო ჩემო . . . . !

გავიგე-რა საშინელი აღსასრული მეგობრისა ჩემისა, საშინელმა და უზომო მწუხარებამ შეიპყრო მთელი ჩემი არსება. ვიგლოვ და ვსტირი, ვითარცა

ჩემს ღვიძლს ძმასა და მეგობარსა. გარწმუნებთ, იმისმა სიკვდილმა მოაკლო ჩემს გულს მხიარულება და სულსა ჩემსა ნუგეში.

უსაყვარელესო მეგობარო, თქვენც კარგად უწყით, რომ ყოველს უბედურებას და მწუხარებას მამაცურად ატანა უნდა; მოუთმენლობა კი მავნებელია და არ სასარგებლო.

გთხოვთ, რომ თავს გაუფრთხილდეთ და ნუ მიეცემით უზომო დარდს და ნაღველსა, რაიც თქვენთვის ძრიელ მავნებელია.

ვთხოვ ყოვლად შემძლებელ ღმერთსა ყოველ განსაცდელის მოშორებას თქვენგან და სულის სიმშვიდის წარმოვლენას თქვენზე.

დავშთები მონაწილე თქვენის მწუხარებისა . . . . .

———oo———

საგანგებო წერილები

(სათავდებო ბარათები)

საყვარელო მეგობარო . . . . !

ამ ბარათის მომტანი (ესა და ეს სახელი და გვარი) მშვენიერი ყმაწვილი კაცია, კარგად გაზრდილი, პატიოსანი და ცნობის მოყვარე. ამ ჟამად თქვენკენ უნდა იცხოვროს და რამდენსამე ხანს დარჩება თქვენს ქალაქში. რადგან ნაცნობები არავინა ჰყავს იქეთკენ, ამიტომ გთხოვ, მიიღო შენს ოჯახში, გააცნო შენს ნათესავ-ნაცნობებს და, ერთის სიტყვით, შენი ახლო კაცად მიიჩნიო, რითაც დიდად დამავალებ და ვეცდები როგორმე მეც გადაგიხადო შენი გულ-კეთილობა.

დავშთები შენი ერთგული მეგობარი . - . . .

სარწმუნო მეგობარო

მოწყალეო ხელმწიფევ . . . . !

მე არა ვარ მიზეზი თქვენის თავის წყენისა, არამედ თქვენი კეთილი და სათნოებიანი გული და ხასი-

ათი. ამ სიტყვებს პირ-მოთნეობით ნუ ჩამომართმეეთ. გარწმუნებთ, რომ არა მარტო მე, არამედ მრავალნი სხვებიც იტყვიან თქვენი კეთილი გულის ამბავსა და კაცთ მოყვარულ ხასიათს.

(ამა და ამას) საჭიროება აქვს თქვენთან თავის საკუთარ საქმეზე, რომელსაც თვითონვე ბარათის მორთმევის დროს ყოველივეს დაწვრილებით აგიხსნისთ. მეც და მაგასაც სრული იმედი გვაქვს, რომ არაფერს რაც კი თქვენგან შესაძლებელი იქნება, არ დაიშურებთ და შეეწევით, რითაც დიდად დამავალებთ მე, და მაგას ნომ სამუდამოთ თქვენს ერთგულსა და მორჩილსა ჰყოფთ.

სხვებრ, ეითხოე თქვენი მეგობრული სიყვარულისაგან არ დამივიწყოთ და მარად მაუწყებდეთ თქვენი უვნებლად სუფევის ამბავსა, რაიც ფრიად სასიამოვნო იქნება ჩემთვის.

დავშთები თქვენი ულრმესი პატივისმცემელი,

უერთგულესი და უმორჩილესი მეგობარი . . . . ,

უსაყვარელესო და უგულითადესო მეგობარო. . . . . !

წერილი თქვენის ჩემდამო სიყვარულისა მივიღე, რის გამო დიდს მადლობას მოგახსენებთ

საყვარელო მეგობარო, თუმცა (კაცისა მის), რომლისათვისაც გეთხოვნათ თქვენ შემწეობა, საქმე

იგი ძნელი და მეტად დახლართული იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე ყოველივე მისი სურვილისამებრ აღსრულებაში მოვიყვანე, რითაც იგი დიდი მოხარული და მადლობელი დარჩა.

ძვირფასო მეგობარო! როგორც წინეთ, ეხლაც და მუდამ მზათა ვარ თქვენის სამსახურისათვის და, არა მგონია, ისეთი საქმე იყოს, რომლის აღსრულება თქვენი გულისათვის მე არ მეხერხებოდეს და გამიძნელდეს.

სხვებრ, ვითხოვ თქვენის მეგობრობისა და სიყვარულისგან არ მივიწყებას და ხშირ-ხშირად მოგონებას და თქვენი კეთილად სუფევის ამბის შეტყობასა.

დავშთები მარად თქვენის სამსახურის მოსურნე

ერთგული თქვენი მეგობარი. . . . . .

მოწყალეო ხელმწიფეგ, ... !

რადგან არც ერთი ჩვენთაგანი არ არის მკვიდრი წუთის სოფლისა და არცა რა დარჩების აქა, გარდა ჩვენის კეთილ-მოქმედებისა და კეთილის სახელისა, ამიტომ თქვენს კეთილ თვისების გულსა შეევაედრებ ამ წერილის მიმრთმევს (აქ სასელი და გვარი), რომელსაც ეჭირვება თქვენი დახმარება და შემწეობა.

მოწყალეო ბატონო, რაოდენსაც თქვენ გაისჯებით და ხელს შეუწყობთ ამ ყმაწვილ კაცს, ყო-

ველსავე ამას აღწერთ ჩემი გულის ფიცარზედ საუკუნოდ და წარუხოცველად და გამხდით მუდმივად თქვენი კედილ-დღეობის მსურველსა.

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი

მორჩილი და ერთგული. . . . . .

ყოვლად პატივცემულო და მოწყალე

ქალ-ბატონო, ... !

ეხლა საუცხოო შემთხვევა გეძლევათ დაამტკიცოთ თქვენი მართლა-და ყოველის სიკეთით სავსე გულის სათნოება და კაცთ-მოყვარეობა. ამ წერილის მომრთმევი ყმაწვილი-კაცი (გვარი და სახელი) ყოველ მხრივ ღირსი და პატიოსანია, და მხოლოდ ერთი ნაკლულევანება აქვს—ეს გახლავსთ მისი სიღარიბე. დიდს და დაუვიწყარს სამსახურს გაუწევდით მაგას, რომ თქვენს მფარველობის ქვეშ მიიღოთ და ადგილი უშოვნოთ თქვენი ძმის (ან ქმრის, ნათესავის თუ ნაცნობს) კანცელარიაში.

რაც შეეხება ყმაწვილ კაცს, მაგაზე დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ იმისთანა პატიოსანი, მუყაითი და მშრომელი იშვიათია ეხლანდელ დროში. მე წინადვე დარწმუნებული ვარ, თქვენ მოიწონებთ იმას და არ დაიშურებთ ორი-სამი სიტყვის დახარჯვას იმის გულისათვის.

ამ კეთილი საქმით თქვენ, იმის გარდა რომ ყმაწვილს კაცს გზაზედ დააყენებთ და სამუდამოდ თქვენს მლოცველად და მონად გახდით, მეც ისე დამავალებთ, თითქოს, იმისთვის კი არა, ჩემთვის გაგეწიოთ სამსახური და შემწეობა.

ხელ-ახლად მოგმართავთ ხვეწნით, რათა უმიზეზოდ უარ არ ჰყოთ ჩემი თხოვნა და შეეწიოთ გაჭირვებულ კაცსა.

მაქეს პატივი გამოგიცხადოთ ჩემი ულრმესი პატივისცემა.

დავშთები თქვენი უმორჩილესი მონა . . . .

მოწყალეო ხელმწიფეგ,

ბატონო . . . . . !

მივაპყრობ თქვენს ყურადღებას ამ ბარათის მომრთმეზე (აქ სახელი და გვარი), რომელიც აგერ ნახევარი წელიწადია, რაც საქმეს დაეძებს, მაგრამ ამაოდ. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რა ძნელია ამ ჟამად ცოტათი მაინც რიგიანი საქმის შოვნა ან სამსახურში შესვლა.

რაც შეეხება მის ხასიათს, ზნე-ჩვეულებას და განვითარებას, მაგის მხრივ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ: მეომაგას კარგა ხანია ვიცნობ და ყოველთვის პატიოსან და გამრჯელ კაცად მიცვნია. მისი უბე-

დურობა ეს არის, რომ არა ჰყავს საკმაო ნათესაობა და ცნობა საზოგადოებაში, რადგან მეტად მორცხვი და თავმდაბალი კაცია.

იმედი მაქვს თქვენი გულკეთილობისა, რომ თუ შესაძლებელი იქმნება პირველსავე შემთხვევაში ხელს შეუწყობთ და კეთილ გზაზე დააყენებთ, რითაც მეც დამავალებთ თქვენის საუკეთესო სამსახურისათვის.

დავშთები თქვენი მონა . . . . .

მოწყალეო ხელმწიფეო,

ბატონო . . . . . !

მე კერძოდ შევიტყე, რომ თქვენ ზოგიერთი თქვენი საქმეების საწარმოებლად დაგჭირებიათ ახალგაზდა ყმაწვილი (ან სხვა რამე დანიშნულებისათვის), თუ თქვენ ჯერ-ჯეროობით ვერავინ გიშოვიათ, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ამ ბარათის მომტანი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, როგორც ფრიად პატიოსანი და მაგ გვარ საქმეში უკვე გამოცდილი და დახელოვნებული. ამ ყმაწვილს კაცს მე კარგა ხანია ვიცნობ და გარწმუნებთ, რომ ძრიელ იშვიათად შეჰხვდება ადამიანი ჩვენს დროში ასეთს საქმის მოყვარულს, ერთგულსა და გამჭრიახ კაცს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს საქმეებს იგი რიგზე აწარმოებს და მით მალე დაიმსახურებს თქვენს ყურადღებას, რა თქმა უნდა, თქვენის ხელმძღვანელობითა და დარი-

გებით. ამ კეთილის საქმით თქვენ, ... (მოწყალე ხელმწიფევ) თქვენს საქმესაც წინ წასწევთ და ყმაწვილ კაცსაც ფეხზედ წამოაყენებთ, ხოლო პირად მე მაგითი დიდად დამავალებთ და ერთი ათად გააორკეცებთ იმ ჩემს თქვენდამი პატივისცემას, რომელსაც მუდამ ჟამ ვგრძნობდი თქვენის კაცთ-მოყვარული საქმეებით აღტაცებული.

დავშთები თქვენი უმორჩილესი . . . . . .

ყოველად პატივცემულო,

ბატონო . . . . . !

ეს არის ეხლა შევიტყე, რომ რწმუნებულს თქვენდამი დაწესებულებაში გახსნილა ადგილი. (ვაკანსია ამა-და-ამ ადგილისა) ამ ადგილზე თქვენ, უეჭველია, დაგჭირდებათ განვითარებული და შრომის მოყვარე კაცი. ამ გვარ კაცად მე მიმაჩნია (ესა და ეს ყმაწვილი), რომელსაც ეხლა მე თქვენს წინაშე წარმოვადგენ. ეგ ყმაწვილი ადგილის უქონლობისა გამო ამ ჟამად ცოტა შევიწროებულია და ძლივს-ძლიობითა შოულობს ლუკმა - პურს, ხოლო თუ საქმეზე დადგა, დარწმუნებული ვარ, საუცხოვო კაცი დადგება და ყველას საზოგადო სიყვარულსა და პატივის-ცემას დაიმსახურებს. ეგ ადგილი სწორედ ზედ გამოჭრილი იქმნება ამისთვის; მაგ ადგილის შესაფერი სწავლა და გამოცდილება ხო სულ საკმარისი აქვს.

ამასთანავე ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ეჯ თავისის შრომით არჩენს მთელს ოჯახს, მოხუც დედას და წვრილ და-ძმას, ამიტომა, გთხოვთ უმორჩილესისა და უმდაბლესის თხოვნით, პატივცემულო, ... დაუჯეროთ თქვენს კეთილსა და პატიოსანს გულს, რომელიც, უეჭველია, ხელს მიგამარჯვებინებთ მაგ ახალგაზდა ყმაწვილისადმი და მიანიჭებთ იმ ადგილს, რომელიც ამ ჟამად თავისუფალია და ღირსეულ მოადგილესა თხოულობს. დავშთები უწინარესვე დარწმუნებული თქვენის კეთილის გარდაწყვეტილებისა.

თქვენი ერთგული . . . . . .

დარიგების, წყრომის და განკიცხვის წერილები

მშობლებისაგან შვილებს

მგირფასო შვილო, ... !

ვისურვებ შენთვის ყოველ გვარ სიკეთეს და ამასთანავე გეტყვი, უკეთუ გსურს, რომ ჩვენ შორის კეთილი განწყობილება და მამაშვილური დამოკიდებულება ჰსუფევდეს, ნუ დაივიწყებ ღმერთსა და შიში უფლისა დასაბამ გქონდეს ხოლმე.

უკეთუ გნებავს, რომ დღეგრძელი იყო, უარს ნუ ჰყოფ პატივისცემას მშობლებისასა და უფროსებისას, რათა საყვარელ იქმნა ყოველთაგან.

იცოდე, შვილო, რომ სიყვარულითა და კეთილის ქცევითა მრავლის გულს მოინადირებ, ხოლო მძულვარებითა და ბიწიერებით არა თუ სხვებს ვერ აამებ, არამედ საკუთრივ შენ თავსაც ავნებ. ასე შვილო, გახსოვდეს ჩემი სიტყვა და დარიგება და ღმერთი დღეგრძელ სიცოცხლეს მოგანიჭებს ჩვენდა სასიქადულოდ და საბედნიეროდ.

მარად შენის დღეგრძელობის მოსურნე მამა

(ანუ დედა) შენი . . . . . .

ძვირფასო შვილო, ... !

არ ვიცი რას მივაწერო შენი ამდენი ხნის სიჩუმე? ნუ თუ, შვილო, იქამდე გაები სიტკბოებასა და სიამოვნებაში, რომ მოხუცი დედ-მამაც არ გაგონდება..... ეგ ვერაფერი საქციელია, თორემ შენ იცი და შენმა სინიდისმა!

მე მხოლოდ ერთსა გთხოვ და იცოდე, რომ ამ თხოვნისა მე საბუთიცა მაქვს და უფლებაცა. თუმცა შენ არაფერს იწერები შენზე, მაგრამ ნუ იფიქრებ, რომ ქვეყანას თვალი და ყური არა ჰქონდეს. ყველანი ჰხედამენ და ყველას ესმით ეგ შენი არა-მოსაწონი საქციელი და ფუჭი ცხოვრება.

ღმერთია მოწამე, რაც შემეძლო და რაც ერთი ღარიბი თავად-აზნაურიშვილს შეეფერებოდა, არაფერი დამიკლია-რა შენთვის არც სწავლასა და არც ცხოვრებაში, ასე რომ ამ მხრივ ვერ მისაყვედურებ... მაშ რაღად უნდა იყო შენი მშობლების მოძულე და სევდა-დარდის მომგვრელი. განა შენ თვითონ არ იცი, რომ ამ ჩვენს დროში ცხოვრება გაძნელდა, თვითო ლუკმა პური მამასისხლად გახდა და თუ ამ თავითვე არ შეუდექი შენი ბედ-ილბლის მოწყობას, რაღას და როდის-ღა მოესწრები... ნუ გავიწყდება, შვილო, რომ შენც შვილები გეყოლება და შენც ისე გულნატკენი იქმნები, როგორც ეხლა შენგნით შენი მოხუცებული მშობლები... მაინც და მაინც იყოს

შენზე კურთხევა ღვთისა და მან გაქციოს კეთილ-
საიმედო გზაზედ სანუგეშოდ შენის დედ-მამისა და
შენი სამშობლო ქვეყნისა.

დავშთები შენი მოქცევის მოწადინე

მამა . . . . . .

მარად სანატრელო ასულო ჩემო, (ან ძეო) . . .

ეს არის ეხლა მივიღე შენი წერილი და გეტყვი
მართალს, რაოდენი სიხარული ვიგრძენი, ეგოდენიცა
მწუხარება მოეფინა გულსა ჩემსასა. შენ, უეჭველია,
მიხვედრილი ხარ ამის მიზეზს.

შვილო, ... ! რად არ მაუწყე მაშინვე შე-
ნი ამბავი. საქმე ისე რად მოაგვარე, რომ შენ საქ-
ციელს სხვები, უცხონი მეუბნებიან. განა. შვილო,
ადამიანი უცოდველი არ არის, მაგრამ ყოველს ჩვენს
საქციელს ცუდსა თუ კარგს უსათუოდ რაიმე მიზეზი,
საწყაო რამ უნდა ჰქონდეს. ხოლო შენი საქციელი
არას გზით შესაწყნარებელი არ არის. (აქ შეიძლება
დაისახელოს რა საქმეზეა ლაპარაკი).

მე როგორც დედა, როგორც შენი მშობელი,
რომელსაც უთვალავი ღამეები გამითენებია შენს აკ-
ვანზე, იქნება ძრიელ მკაცრიც ვიყო შენ შესახებ,
მაგრამ ამ სიმკაცრესთან სიყვარულიც დიდი მიდგულს
გულში და თუ ჩემი სიტყვა გეწყინება, ეს მხოლოდ
შენს ავგულობას დაამტკიცებს. ნუ იწყენ, შვილო,
მშობლიურ დარიგებას და მაშინ ხომ ამას მაფიქრე-

ბინებ: სიშორეს ისე გამოუცვლია, რომ დედის სიტ-ყვებსაც აღარ იჯერებს-მეთქი.

ბოლოს ვისურვებ შენთვის ყოველ სიკეთეს და კეთილ გზაზე მოქცევას. მომიკითხე შენი შვილები და ძვირფასი მეუღლე შენი.

დავშთები შენი მლოცველი დედა შენი . . . . .

უსაყვარელესო შვილო ჩემო, ... !

მესმის რა ცუდი ყოფაქცევის ამბავი შენი და არა მოსაწონნი საქმენი შენ მიერ ჩადენილნი, ვეძლევი გა-ნუზომელ მწუხარებასა და სიცოცხლის მომშხამველელ დარდსა და სევდას. ამდენის ხნის კაცსა, რომელსაც ფეხი უკვე სამარის კიდეს უდგია, ის-ღა მაკლდა, რომ შენც, ჩემმა მანუგეშებელმა და სულის ჩამდგმელმა, ისე გამიმწარა სიცოცხლე და მომისწრაფა ის რამდენიმე დათვლილი დღეები, რომლებიც მე დამშთენიაღა ამ ქვეყნად.

საყვარელო შვილო! ყველასათვის ცხადი და ნა-თელია, თუ რამდენი ღონე ვიღონე შენის კეთილი აღზრდისათვის, შენის ხელის შესაწყობად. რამდენი ჯაფა, შრომა და მეცადინეობა გამიწევია, რომ შენ ყველასათვის საყვარელი გამოჰსულიყავ და ჩვენი ოჯახისა ხომ ნამდვილი მასახელებელი და მანუგეშე-ბელი; და ერთხანად დიდი იმედებიცა გვქონდა შე-ნი, ხოლო ამ ჟამად, ჩემდა საუბედუროდ და სავა-

ლალოდ, ნათლადა ვხედავ, რომ ყოველივე იმედები ჩემი ყოფილა ამარ და სიხარული იგი ადრეული ფუჭ.

შვილო ჩემო, უკეთუ გნებავს, რომე ცოცხლივ საფლავში ჩაიყვანო და ბოლო მოუღო სასოწარკვეთილებით წელში გატეხილსა და შენის ავი ქცევით უდროოდ მოხუცებულს მამაშენს, მაშინ განაგრძე კვალად ეგე არა საკადრისი და ყოველი პატიოსანი ადამიანის დამამცირებელი ცხოვრება, რომელსაც ასე თავდავიწყებით გაუტაცნიხარ.

ხოლო, თუ მართლა, ეგ შეცდომით და სიყმაწვილით მოგდის, რაშიაც მე დარწმუნებული ვარ, მაშინ მეც გაპატიებ და ღმერთიც შეგინდობს, რადგან უნაკლო და შეუცდომელი სიჭაბუკე არავის გამოუვლია.

ასე შვილო, ... ! იმედი მაქვს, რომ ყოველივე წყენას, რომელიც შენ იქნება უნებლიედაც მოგიყენებია ჩემთვის, მალე მოჰსპობ და დარდს და ნაღველს სიხარულადა და ბედნიერებად შემიცვლი...

დავშთები მარად შენი მოსიყვარულე და
შენი მოქცევის მოსურნე მამა შენი . . . . . .

მისაგან მამას ვასუსად

უსაყვარელესო მშობელო, მოწყალეო მამავ!

წერილმა თქვენის წყრომისამან უზომოდ დამანაღვლიანა და მიმცა საშინელსა სინანულსა. ვგრძნობ

ყოველსავე ჩემს დანაშაულს და დიდად მრცხვენის და სირცხვილი ესე ერთი ათად უფრო მწვავდების, რა მომაგონდება, რომ თქვენ, ჩემს ყოვლად კეთილსა და ძვირფას მშობელს, გული მოგიკალით და ამ მოხუცებისა ჟამსა გაგამწარეევით.

ძვირფასო მამავ, თუმცა ღირსი არა ვარ თქვენის შვილობისა, რადგან ჩემის ავი ყოფაქცევითა და უგუნურობით გული გაგიტეხეთ და დაგინაღვლიანეთ, მაგრამ, ენდეთ ღმერთსა, რომ გულითა წრფელით ვინანიებ ყოველივე ჩემს შეცოდებასა და, როგორც ზეციერი მამისაგან, ველი აგრეთვე თქვენ მიერ შენდობასა და მოტევებას. ვიცი, თავის გამართლება ცოტაოდნად მაინც არის შემიმსუბუქებდა ჩემს დანაშაულს, მაგრამ უარ ვყავ; ან კი როგორ-ღა შემიძლიან, ვიმართლო თავი თქვენს წინაშე, როდესაც სირეგვნითა და უვიცობითა ჩემითა დავთრგუნე პატივი ჩემი და შევლახე უანგარო იმედები სათაყვანო მშობლისა ჩემისანი, მაგრამ ვფიცავ ყოვლისა შემოქმედსა, რომ დღეიდან მოვიდე გონებასა და ვცნა თავი ჩემი.

მერწმუნეთ, ძვირფასო მამავ, რომ სიკვდილამდე სასინანულოდ შემრჩება ეგ თქვენი გამწარება, თუმცა თქვენი მშობლიური ჯიგარი შემინდობს ყოველივე დანაშაულსა.

დავშთები ყოვლად უღირსი
და შთანთქმული სინანულითა თქვენი შვილი . . . . . .

მადლობის გარათები

მოწყალეო ხელმწიფეო,

ბატონო . . . . . !

ვესწრაფი ჩემი უგულითადესი პატივისცემა მოგახსენოთ, თუმცა ვეჭვ, რომ როდისმე ღირსეულად მადლობის გადახდა შემეძლოს იმ თქვენის გულკეთილობისა და იმ სიკეთისათვის, რომელიც დაუვიწყარი მექმნების ჩემს სიცოცხლეში. ამასთანავე ესეც ვიცი, რომ თქვენ მადლობას სრულებით არ ჰსაჭიროებთ, რადგან ყველა თქვენი კეთილი საქმე შედეგია თქვენივე ყოვლად კეთილის და მგრძნობიარე გულისა. მით მაინც მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გულწრფელ გაგიცხადოთ ჩემი ულრმესი მადლობა და იმედი მექმნება, რო მე ეს პირმოთნეობაში არ ჩამოთვერთმევა.

დავშთები თქვენგნით მრავალჯერ დავალებული, თქვენი
მორჩილი და ერთგული. . . . . .

ყოგლად პატივცემულო,

ბატონო . . . . . !

სირცხვილით ვიწვი, რომ დღემდე ვერ შევძელ თქვენმიერ ნავალების დაბრუნება, მაგრამ იმედი მაქვს თქვენის გულკეთილობისა, რომ არ გამკიცხავთ ამ დაგვიანებისათვის. გიგზავნით ამასთანავე . . . . მანეთს და თანაც ჩემს თქვენდამი გულწრფელ მადლობას . . მე არასოდეს არ დამავიწყდება, რომ მხოლოდ თქვენის შემწეობით გავიმართე ხელი იმ გაჭირებაში. ამასთანავე არ შემიძლიან უყურადღებოდ დავსტოვო ისიც, რომ ღირს მყავით და მარტო პატიოსან სიტყვაზე მანდეთ მაგდენი ფული. მე ამით ვამაყობ და, სწორე მოგახსენოთ, მიძნელდება სიტყვიერად გამოვსთქვა ის მადლობის გრძნობა, რომელიც თქვენ აღძარით თქვენის პატიოსნურის ქცევით ჩემს გულში. იმედი მაქვს, შემდეგშიაც არ მომაკლებთ თქვენს ყურადღებას . . . .

დავშთები საუკუნოდ თქვენი მადლობელი . . . . . .

საყვარელო და ძვირფასო, ... !

არ ძალმიძს გამოგიცხადო ყოველივე ის გრძნობა, რაც გულში მიტრიალებს შენი მეგობრულის და ძმურის დახმარებისათვის. ამ ჟამად მარტო უღრმესის მადლობით-ღა შემიძლიან გამოვხატო ეს ჩემი

გრძნობა და გარწმუნებ, რომ შენისთანა ჭეშმარიტად ერთგული, საყვარელი და სანდო მეგობარი მე არცა მყოლია და არც თუ მეყოლება. მე ამით ვამაყობ და თავი მომაქვს. ნამდვილი მეგობრობა და ამხანაგობა ძრიელ იშვიათია ეხლანდელს დროში.

გამარჯვებულ გყოს ღმერთმა ყოველ საქმეში, რომ მით გულს უხარებდე და ასიამოვნებდე ყველა შენს მშობელ-ნათესავებსა და მოკეთე-მოყვრებს.

შენი ერთგული უმორჩილესი ძმა და მეგობარი . . . .

მგირფასო და კეთილო . . . . . !

ეს არის ეხლა მიეიღე თქვენი ბარათი, რომელშიაც თქვენს მეგობრულსა და მამობრულს ნუგეშსა მცემთ ამ ჩემს უბედურებაში... დიდად გმადლობთ, რომ უნუგეშოდ არ დამტოვეთ ამისთანა მწარე დღეებში. მე თქვენ ყოველთვის ჩემი გულის მოპასუხედ მეგულებოდით და დარწმუნებულიც ვიყავ, რომ პირველსავე შემთხვევაში გამიმართლებდით ამ იმედებს. დღეს ნათლად დავინახე თქვენი იშვიათი გულის სიმდიდრე... კვალად კიდევა გმადლობთ ნუგეშისათვის. იმედი მაქვს, შემდეგშიაც არ დამივიწყებთ და ძალას და ღონეს შემმატებთ ხოლმე თქვენის ძმურის სიტყვით და ნუგეშის ცემით...

დავშთები მარად თქვენი მადლობელი და მლოცველი . . . .

ძმაო და მეგობარო, ... !

ათასჯერ გმადლობ შენი ხელის გამოწვდისათვის. შენც კარგად იცი, შენის მეტი მე აქ მახლობელი და ნაცნობი არავინ მეგულებოდა და ამიტომაც მოგმართე თხოვნით და თუმცა, ვიცოდი, შენც ხელ მოკლედ იყავი, მე მაინც იმედს არა ვკარგავდი. და აკი არც გამიმტყუვნდა იმედები... ამ ჟამად შენის წყალობით მე ცოტა წელში გავიმართე და იმედია, რომ ახლოს მომავალში სრულებითაც გაეჩარხო ჩემი დახლართული საქმეები. ეხლა მადლობის მეტი არა შემიძლიან-რა, ხოლო მერწმუნე, რომ პირველსავე შემთხვევაში დაგიმტკიცებ, რომ ძმას და მეგობარს მეც გაუწევ ძმობასა და მეგობრობას.

დავშთები შენი ერთგული . . . . . .

საბოლოო წერილები

მოწყალე ხელმწიფეს,

ბატონო. . . . . !

ეს არის ეხლა დავბრუნდი შინა და მოვიგონე, რაც ჩვენ შორის მოხდა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ვამტყუნებ მხოლოდ ჩემს თავს იმ სიტყვებისათვის (ან ქცევისათვის) რაც აღელვებულ გულზედ მე თქვენ შემოგკადრეთ... იმედია, თქვენც დამეთანხმებით, რომ ის სიტყვები სრულებით ჩემდა უნებურად წამომცდა, თორემ ჩემი თქვენდამი პატივისცემა და სიყვარული თქვენც კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ. ამიტომ უმორჩილესადა გთხოვთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ იმ ჩემ სიტყვებს და გულიდან ამოიღეთ ის წყენა, რომელიც მე უნებლიეთ მოგაყენევით.

იმედი მაქვს, ამ ბოდიშის შემდეგ ისევე იმათ მიგულებთ, რათაც დღემდე ვყოფილვარ თქვენთვის — ესე იგი უმორჩილესი თქვენი მონა და პატივისმცემელი. . . .

ყოვლად პატივცემულო ბატონო, ... !

გთხოვეთ უზრდელობაში არ ჩამომართოთ, რომ დღეს, ჩემდა საუბედუროდ, იძულებული ვარ უარი განვაცხადო თქვენს დაპატიჟებაზე. (ან სხვარამე ქორწილი თუ ნათლობა) მერწმუნეთ, რომ სრულებით ჩემდა უნებურათ დატრიალდა ესე საქმე (აქ უნდა რამე მიზეზი იყოს მოხსენებული) მე თვით საშინლად ვწუხ, რომ ვერ ვესწრები თქვენს წვეულებას, მით უფრო, რომ თვალ წინ მიდგა მხიარული დროს გატარება თქვენს პატიოსან ოჯახში თქვენს ნაცნობთა და მოკეთეთა შორის. გთხოვეთ მაპატიოთ და ბოდიში მოვხადოთ თქვენს პატივცემულ მეუღლესთან

დავშთები თქვენი ერთგული და პატივისმცემელი . . . . .

მეგობართა შორის

საყვარელი მეგობარო, ... !

სწორეთ დიდი სისულელეა ჩვენის მხრივ სრულებით უბრალო და უმნიშვნელო საქმისა გამო ერთმანერთს ვაწყენინოთ და გულიდამ ამოვშალოთ ის მეგობრობა, რომელიც ამოდენა ხანს გვაკავშირებდა ჩვენ ერთმანერთში. მე ჩემის მხრივ გამოგიტყდები, იქნება შენზედ დიდი დანაშაული მიმიძღოდეს, მაგრამ გარწმუნებ, რომ არც შენ იყავი თავდაჭერილი

და მარტო მე როდი ვარ გასამტყუნარი; ასეა თუ ისე, მე მაინცა პირველი ვიხრი თავს და ვითხოვ შერიგებას. მე ძრიელ კარგად ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი და იმედი მაქვს, რომ ჩემი გულწრფელი ბოდიშის შემდეგ, ისევ ის მეგობარი და ამხანაგი იქმნები იმ კაცისა, რომელსაც შენ ასე მტკიცედ უყვარხარ. ნიშნად ჩვენის წინანდელის განწყობილებისა შორიდან მოგესალმები და ძმურად გადაგხვევ კისერზედ ხელსა.

დავშთები შენი ერთგული მეგობარი . . . . . .

ჩემო ხელმწიფეგ,

ბატონო . . . . . !

სირცხვილით აღარ ვიცი როგორ მოვიბოდიშო ჩემი დანაშაული. დაპირებისა მებრ, მე დღესვე უნდა ამესრულებინა ჩემი ნაკისრები საქმე (ან ფულის, ფულის და სხ.) მაგრამ ჩემდა საუბედუროდ ზოგიერთმა გარემოებამ ისე ამირია-დამირია ჩემის აზრით უკვე მოწყობილი და გათავებული საქმე, რომ დღეს კი არა, ღმერთმა ჰქმნას, დღეისწორსაც არის მაინც მოვასწრო დანაპირები. მერწმუნეთ, ჩემო ხელმწიფეე, რომ თუ არ ესეთი უკიდურესი მდგომარეობა, თქვენს კანონიერ სურვილს წინ არა დაუდგებოდა-რა. გაუწყებთ-რა ამას, მოწიწებით ვითხოვ ბოდიშსა და იმედი მაქვს, კვლავაც თქვენს ერთგულად მიგულებთ.

თქვენი მორჩილი . . . .

სამიჯნურო და საარშიყო წერილები

ვაჟთაგან ქალებისადმი და ქალთაგან ვაჟებისადმი

უმგარფასესო და უსაყვარელესო, ... !

პირველისავე შეხვედრით და თქვენის დანახვისა თანავე მე ვიგრძენ, რომ ჩემი ბედიღბლის საქმე ერთხელ და სამარადისოდ უკვე გარდასწყდა, გარდასწყდა ჩემდა უნებურად! არ დაგიმალავთ, დღემდე ბევრი ქალი შემხვედრია ლამაზიც, ჭკვიანიც, კეთილიცა და სათნოიანიც, მაგრამ თქვენსაებ ყოველისფრით შემკული და მშვენიერი მე ჯერ არ მინახავს და ნურცა-ღა შემახვედროს მე ღმერთმან! .

ამ წერილს რო ვიწყობდი, ასე მეგონა, მთელი ქვეყნის გრძნობას შიგ გამოეხატავ-მეთქი, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ ვხედავ, რომ როგორღაც არ მეხერხება, კალამი არ მიჯერებს და ან კი შესაძლებელია განა, რომ უბრალო ქაღალდზედ გამოითქვას ყოველივე ის, რაც მე გულში მიღვივის და მიძრიალდება!...

რავდენჯერ განვიზრახე, რავდენჯერ სიტყვა მივეცი ჩემს თავს, პირად მოგლაპარაკებოდით, პირადად თქვენთვის გამემხილა ჩემი მწვავი საიდუმლო, მაგრამ ბაგენი ჩემნი ურჩობდენ, არცა-ღა გონება მემორჩილებოდა და ვიყავ ასე დატანჯულ-დადაგული... მე მეგონა სიყვარულმა შიში არ იცის-მეთქი, მაგრამ როცა თქვენთან მარტოდა ვარ, ვკრთი და ვთრთი, როგორც ყმაწვილი. ეხლა მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან და მისთვის გავბედე და გკადრეთ ეს ჩემი წერილი. მე თვითონ არვიცი რა მინდა, რა უნდა გთხოვოთ; მხოლოდ ის ვიცი, რომ უზომოდ და გაგიჟებით მიყვარხართ... პასუხს ჯერ ნუ მომწერთ, მეშინიან: ვაითუ სასტიკი იყოს.

თქვენი მონა და მორჩილი . . . . .

პასუხი

ძალუკადენ ხელმწიფეს

და ბატონო. . . . . !

ეს არის ეხლა შეივიღე თქვენი წერილი და თუმცა მავალებთ, რომ ჯერ ნურას მომწერთო, მაგრამ არა სჯობს, რაც სათქმელია ბარემ ერთხელვე ითქვას! . . რაოდენადაც მე თქვენ გიყვარვართ, ორჯელ იმოდენად ჩემი გულია თქვენთან შემოკვეთილი. მეც, როგორც თქვენ, პირველ შეხვედრაზედვე

გარდავწყვიტე გულში ჩემი ბედისწერა. მე აშკარად ვხედავ, რომ გულს არ მოვუტყუებივარ და ეს მით უფრო მიხარის, რომ თქვენ ყოველის მხრივ კეთილსა და პატიოსან კაცად გიცნობთ მეც და ჩემი მშობლებიც.

თქვენი . . . . . .

ჩემო საყვარელო ანგელოზო, ... !

მე მგონია დღეის იქით დროა შენობით ვილაპარაკოთ. პირველი მე შემოვიღებ ამ ახალ სიტყვას ჩვენ შორის სახმარებლად.

მე ვერ დავიჯერებ, რომ იწყინო ის, რაც მე მესიამოვნება და ან მე მეწყინოს ის, რაც შენ გესიამოვნება,—წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ურთიერთობა სიყვარულით აღარ ექმნებოდა გამთბარი და გაცხოველებული. ასე ჩემო . . . . ! პირდაპირ მიპასუხე: შემიძლიან თუ არა, იმედი ვიქონიო, რომ შენ ჩემი ცხოვრების თანამოგზაური შეიქმნები; შემიძლიან გიგულო ჩემის ცხოვრების ვარსკვლავად, ჩემის გზის მანათობლად? თუ გული არ გერჩის, თუ გონება უარს გეუბნება, ნურას მეტყვი გარდაწყვეტილს. ოღონდ იმედს ნუ გამოიმილევ, თორემ უიმედო სიცოცხლე სწრაფად მოულებს ბოლოს იმ კაცს, ვინც შენთვის სიცოცხლესაც არა ჰზოგავს.

მოუთმენლად მომლოდინე შენის მაცოცხლებელის პასუხისა. .

პასუხი

ძვირფასო და ერთად ერთო სუგეშო, ... !

შენი წერილის პასუხი ისრე ძნელი არ არის ჩემთვის, როგორც შენ წარმოგიდგენია. მე დიდი ხანია გულში გადაწყვეტილი მქონდა, თუ ოდესმე ქმარს შევირთავდი, შენს გარდა არავისათვის მიმენდო ჩემი სიცოცხლე. მაგრამ შენც კარგა გეცოდინება, რომ ჩვენ, ქალები როდი ვართ ჩვენის ნებისანი... ჩემი მშობლების დაუკითხავად, ხომ იცი, ყოვლად შეუძლებელია გადაწყვეტილი სიტყვა მოგცე. ამიტომ გთხოვ ცოტა მადროვო, სანამ მოხერხებულ დროს მოვიმარჯვებ და ყველაფერს აეუხსნი ჩემს მშობლებს და იმედი მაქვს, არც ისინი გახდებიან ჩემი ბედის წინააღმდეგნი. ასე ჩემო ძვირფასო . . . . . ! ცოტა კიდევ მომითმინე და ღმერთი იქმნება ჩვენი შემწე და დამხმარებელი.

დავშთები შენი ერთგული . . . . . .

ვაჟისაგან ქალს.

მარად გულგეთილო, ... !

მაპატიეთ ესეთი თავხედობა და ნუ შემრისხავთ ამ წერილისათვის. თქვენ რომ ცოტათი მაინც იცოდეთ რა ყოფაში ვარ ამ უკანასკნელ ხანებში, სწორედ შემიბრალებდით.

მე მეტი ძალა არ მიძს ვეწინააღმდეგო იმ გრძნობას, რომელმაც სულერთიანად შემიპყრო და მთლად დამიმორჩილა, დამატყვევა!... რამდენს უფრო მეტს ვცდილობ თქვენს დავიწყებას, თქვენგან განშორებას,—იმოდენად უფრო და უფრო მეტის ძალით მიცხოველდება ეგ თქვენი ღვთაებრივი სახე, იმდენათ უფრო მაჯადოებს ვარსკვლავის მსგავსი თქვენი თვალები. მე ასე მგონია, ეს არის განვიკურნე და სრულებით საღსალამათი ვარ-მეთქი; თურმე, სწორედ იმ დროს უფრო მეტად ატაცებული ვარ თქვენი სიყვარულით და გიჟ-გადარეულს ვემსგავსები... იმქნება ჩემი სიყვარული მართლაც სიგიჟე იყოს, რადგან მე ისე არ მიყვარს, როგორც სხვებსა. დრო იყო, როდესაც მე სხვებს დავცინოდი, როცა მიამბობდენ, რომ სიყვარული კაცს თავს მოაკვლევინებსო... ეხლა ეგ ჭკუაში მომდის... განა მე ვიფიქრებდი როდისმე, რომ სიყვარული ასეთ მტანჯველად და სულის მტრად გადამექცეოდა!...

გთხოვთ და გვედრით ხმა გამეცით, უპასუხოთ ნუ მომკლავთ, რომ ვიცოდე მაინც ჩემი სიკვდილის მიზეზი!...

დავშთები თქვენი გულკეთილობის მლოცველი. . . . .

ქალთა და ვაჟთა შორის

მვირფასო ჩემო სიცოცხლევ . . . . . !

შე ულმერთო, რად გიამება ხოლმე ჩემი ტანჯვა, ჩემი ჯვარცმა? იცი, რომ ვგიჟდები, შენით სულს

ვიბრუნებ და მიტომაც მწვავ ნელ ცეცხლში! მერე შენ რა, მე რომ ვიტანჯო? განა შენ შეგემატება რამე, განა გულზე მოგეშვება ხოლმე? ნეტავ ასე იყოს! მე იმით მაინც ვიქმნებოდი ბედნიერი, რომ შენდა საამოდ სულის დალევაც შემეძლოს!.. ერთსა გთხოვ, ყური მიაპყარ ჩემს სიყვარულს, რომელმაც არც ზომა იცის და არც თავის დაჭერა... მეუბნები: სიყვარული დამიმტკიცეო... ღმერთო ჩემო, განა არის ისეთი რამ შეუძლებელი ქვეყანაზე, რომ ჩემმა სიყვარულმა ვერ შემაძლებინოს!.. აბა მითხარ, დამისახელე რაც გინდა, რაც უნდა განსაცდელში ჩამაგდო, თუ მე, ერთი წუთიც არის, შევდრკე, დავყონდე და შეუპოვრად არ შევება ვისაც ან რასაც გინდა საბრძოლველად... აბა თუ ჩემი სიყვარული არა გჯერა-ერთი მითხარ, შენი ვარდის ფერი ბაგით გამაგონე, რომ აქვე შენის ცეცხლის მფრქვევ თვალთა წინ მოვკვდე ალერსით და-პირზე ღიმილით! ეხლაც არ გჯერა?

შენგნით მოჯადოებული . . . . . .

ჩემო ორგულო და ვრა საიმედოვ, ... !

ეს წერილი განზრახ დავიწყე ორგულის სახელით, რადგან შენი უკანასკნელი ქცევა, ცოტა არ იყოს, მაოცებს... მე ვერასფრით ვერ ამიხსნია შენი ასეთი გამოცვლა! განა ეგეთი იყავ წინად, როცა სიყვარულსა და ერთგულებას მეფიცებოდი?... რა არის

მიზეზი? იქნება შეგძულდი, სხვა შეგიყვარდა? მაშ თუ ასე იყო, რად მეუბნებოდი, რად მიკიდებდი დაუშრეტელ ცეცხლსა? სიყვარული ხომ ცეცხლია და ვინც ცეცხლს ეხუმრება, ის არა მგონია ჭკვიანად სჩადიოდეს! . . ან იქნება სხვამ გადაგიბირა, სხვა შეიყვარე და შენის გრძნობით სავსე სიტყვებს სხვას ასმენ და სხვას ატკბობ? . . . . იქნება ეგრეც იყოს, ხოლო ტყუილად ჰფიქრობს ის ვიღაც არის, ჩემი სულის მტერი, რომ მე ასრე ადვილად დავუთმობ ვისმე ჩემს ბედნიერებას ! . . . .

გთხოვ ამ საღამოს მოხვიდე და მნახო. მე მსურს გულდინჯად მოგელაპარაკო ზოგიერთა ჩვენ შესახებ საქმეზე . . . . მოდი, უეჭველად მოდი. ნუღარ მტანჯავ, ხომ იცი უშენოთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია.

შენი . . . . . .

ქვრივისაგან ახალგაზდა ქალს

ღრმად პატივცემულო და კეთილო . . . . . !

აგერ მესამე წელიწადი გადის, რაც მე დავქვრივდი და დავკარგე ის, რომლის უზომო სიყვარული სრულს სამს წელიწადს მაბედნიერებდა. იმ უბედურების შემდეგ მე გადაწყვეტილი მქონდა, ქვრივად დავრჩენილიყავ, რადგან მისებრ გულკეთილი ქალის შეხვედრას აღარ მოველოდდი, მაგრამ ნათქვამია, კა-

ცი ბჭობდა—ღმერთი იცინოდაო, თქვენ გნახეთ თუ არა, სულ სხვა რიგად შევხედე ჩემს ბედს. თქვენ სრულად და სავსებით მოგეპოებათ ყველა ის თვისებანი, რომელიც მე ისე ძვირად მიმაჩნდა, ამიტომ ვბედავ და გთხოვთ ღირს მყოთ თქვენის ქმრობისა და ამასთანავე მეორე დედათ ექმნეთ ჩემს პატარა ობლებს.

მე იმედი მაქვს, რომ ჩემს ხელში ბედნიერი იქმნებით; მე თქვენ საკმაოდ კარგა გიცნობთ და თუ წლოვანების განსხვავებამ შეგაფიქრიანოთ,—გარწმუნებთ, რომ ჩემისთანა მხურვალე და ერთგულს ქმარსა იშვიათად იპოვნით. გთხოვთ, უპასუხოდ არ დამტოვოთ.

თქვენი მოკეთე და მოსიყვარულე . . . . . .

პასუხი

მოწყალეო ხელმწიფეო და ბატონო . . . . . !

მე დიდათ ვწუხვარ, რომ თანხმობას ვერ გიცხადებთ თქვენს წინადადებაზედ. მე დიდ ბედნიერებად ჩავთვლიდი თქვენს ცოლობას, მაგრამ, სამწუხაროდ, მე უკვე სხვისთვისა მიცემული მაქვს სიტყვა და ფიცი და ეგ გარემოება მაიძულებს უარი შემოგითვალოთ. იმედი მაქვს, რომ ჩვენ კვლავანდებურად ერთმანერთის მეგობრებად დავრჩებით.

თქვენი პატივისმცემელი . . . . . .

საყვარელო, ... !

არა გრცხვენიან, ისრე როგორ გამებუტე, რომ აგერ სამი დღეა და არც ჩვენსა მოსდიხარ და ვეღარც სხვაგან სადმე გხედავ! მე კარგად ვიცი, რომ შენ. . . . ეარშიყები, მაგრამ ესეც კარგად ვიცი, რომ შენ ის სრულებით არ გიყვარს და არც იმას უყვარხარ; ამ შემთხვევაში ჩემი მოტყუება ძნელია; შენ ასე ბგონია, რომ რაკი ვებუტები ამითი გავაჯავრებო; ტყუილი იმედი გაქვს; მე ყველაფერი ვიცი და ან ეგ ბუტიაობა რაღა საკადრისია. პატარა ხომ არა ხარ?.. ეს ბუტიაობა ხომ არც შენა გრგებს და არც მე: შენც გული გეწვის და მეც სული მიშფოთავს. თუ ჭკვა გაქვს, ამოდი, თორემ მეც შენსავით სხვებს დავუწყებ არშიყობას და მაშინა ჰნახავ შენს სეირსა!.. მოდი უსათუოდ საღამოზედ, მარტო ვიქმნები. თუ კვლავ გაგიბედნია ბუტიაობა, იკოდე, ბავშვსავით ყურებს დაგისრესავ ან, არა-და. „ალუ“-ს გეტყვი და კაკას მოგცემ.

შენი ერთგული . . . . . .

ვაჟისაგან საცოლეს მშობლებს

მოწყალეო ხელმწიფეგ,

ბატონო . . . . . !

მას აქეთ რაც მე მეღირსა თქვენი პატივცემული სახლობის გაცნობა, მე არა ერთხელ დავკვირვე-

ბიეარ თქვენს მშვენიერს ქალს და დაერწმუნდი, რომ მას საკმაოდ მოეპოება ყველა ის კეთილ საინოსიანი ქალის თვისება, რომლითაც უხვად გააბედნიერებს ყოველ ქმარს, ამიტომ მე ვბედავ და უმორჩილესად ვითხოვ თქვენს ქალს.

ჩემი მდგმოიარება, ცხოვრება და ვინაობა თქვენ საკმაოდ მოგეხსენებათ და ამიტომ, იმედი მაქვს, უარს არ განმიცხადებთ, რა თქმა უნდა, თუ თქვენი ქალიც დათანხმდება ჩემს ცოლობას.

თქვენი კეთილი პასუხის მომლოდინე და თქვენი მორჩილი . .

პასუხი

მოწყალეო ბატონო. . . . . !

თუმცა ძრიელ სასიამოვნოთ და სასურველად შიგვაჩნია როგორც თქვენთან, აგრეთვე თქვენს ღირსეულ ოჯახობასთან დამოყვრება და დაკავშირება, მაგრამ სამწუხაროდ იძულებულნი ვართ უარ ვყოთ თქვენი გულწრფელი თხოვნა.

საქმე ის არის, რომ ჩვენი ქალი ჯერ ჯეროობით სრულებით ნორჩი ყმაწვილია, ჯერ კიდევ მას მშობლიური ზრუნვა და ზედ გავლენა ეჭირვება და სრულიად არ შეეძლება ცოლის და დიასახლისის მოვალეობის ატანა. ეს ჩვენი პასუხი, იმედია, საწყენად არ დაგრჩებათ, რადგან თქვენსავე სასარგებლოდ და ჩვე-

ნი ქალის სიყვარულით არის გამოწვეული. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შემდეგშიაც კვლავანდებურად თქვენს მოკეთედ და კეთილის მსურველად გვიგულებთ.

თქვენი პატივისმცემელი და ერთგული . . . . . .

მოწყალეო ხელმწიფეე, ... !

თქვენცა და მთელი თქვენი პატივცემული სახლობაც დიდი ხანია კარგა მიცნობთ, ჩემი ავიც და კარგიც კარგად მოგეხსენებათ. თუ, თქვენის აზრით, მე შეეძლებ, თქვენს ქალს ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრება მივანიჭო, იმედი მაქვს უარს არ მეტყვით და დაგვლოცავთ საურთიერთო ცხოვრებისათვის, რადგანაც ჩვენ დიდი ხანია ერთმანერთი გვიყვარს.

თქვენი კეთილი გარდაწყვეტილების მომლოდინე
და უმორჩილესი . . . . . .

პასუხი

მოწყალეო ბატონო, ... !

ჩვენთვის ძრიელ სასიამოვნოა თქვენი სიძეობა, მით უფრო, რომ ჩვენს საყვარელს ქალს უყვარხართ. იმედია, რომ კარგ ქმრადა და მეგობრად ეყოლებით

თქვენს ცოლს. ბოლოს განგიცხადებთ ჩემს პატივისცემას და გთხოვთ პირად მოსალაპარაკებლად გვეწვიოთ.

მაქვს პატივი დავშთე თქვენი მოყვარე . . . . . .

მოწვევისა, თანხმობისა, უარისა, მოგონებისა, მოპატიჟებისა, დაცდისა და სხვა გვარი წერილები

მოწყალეო ბატონო, ... !

ამ უკანასკნელ ხანში ბევრი ცვლილება რამ მოხდა ჩემს ყოფა-ცხოვრებაში, რის გამო სრულებით ჩემდა მოულოდნელად ხარჯმაცა და გასავალმაც ერთი ორად იმატა.

იმედი მაქვს, არ გეწყინებათ, თუ ამ ჟამად შეიწროებულ მდგომარეობაში მყოფმა, თხოვნით და ხვეწნით მოგმართოთ—დამიბრუნოთ ის რამდენიმე თქვენზე დარჩენილი ფული, რომელიც შარშან (ან სხვა დროს) გავალეთ.

მე დარწმუნებული ვარ, რო ამ ჩემ თხოვნას თქვენი ჩვეულებრივის გულკეთილობით მიიღებთ და საწყენად არ დაგრჩებათ, მით უმეტეს, რომ შემდეგშიაც მზად ვიქმნები თქვენი სამსახურისათვის.

თქვენი უმორჩილესი და პატივისმცემელი . . . . . .

ჩემო ძმაო და მეგობარო, ... !

ძრიელ ვწუხვარ, რო ამ ჟამად არ შემიძლიან და თქვენს თხოვნას ვერ ვასრულებ!.. თვითონ მე,

ენდეთ ღმერთსა, იმდენი-და მაქვს, რომ ძლივ-ძლიობით თვის დამლევამდე გამყვება. იმედი მაქვს, პირველივე შემთხვევაში მოუგონებლივაც მოგართვათ, რაც ასე გულწრფელად და დროზედ მინდოდა თქვენთვის დამებრუნებინა

თქვენი ერთგული და მორჩილი . . . . . .

საყვარელო . . . . . !

თუ დროს მოიმარჯვებ, გულითა გთხოვ დღეს გვეწვიო, ჩვენსა ბევრი არაევინ იქმნება. ვინც იქმნება, სულ თქვენი კარგი ნაცნობები არიან. (შეიძლება დასახელდეს იმათი გვარი და სახელი) იცოდეთ რომ ძრიელ გვასიამოვნებთ თქვენის აქ ყოფნით. გარდაეცით თქვენს მეუღლეს ჩემი უგულითადესი პატივისცემა და მოკითხვა.

დავშთები თქვერი მეგობარი . . . .

მოწყალეო ხელმწიფეო, ... !

კეთილ-ინებეთ და დამინიშნეთ დრო და ადგილი თქვენ სახილველად, რათა მოგელაპარაკოთ ფრიად საჭირო საქმეზედ, რომელიც როგორც ჩემთვის, აგრეთვე თქვენთვისაც მეტად საყურადღებოა.

თქვენი უმორჩილესი . . . . .

ძმაო და მეგობარო . . . . . !

მე მგონია ისე ცუდი არა არის-რა, როგორც მარტოობა, და პირიქით ისე სასიამოვნო არა არის-რა, როგორც მეგობრებთან და ახლო ნაცნობებთან დროს გატარება. თუ შენ ეს ჭეშმარიტება გჯერა, იმედია, ამ სალამოს ჩვენსა მოხვალ, სადაც სიამოვნებით მიგიღებთ მეც და ჩემი სახლობაც.

შენი მეგობარი . . . . . .

საყვარელო, ... !

მეტის-მეტად შეწუხებული ვარ, რომ იმდენი ლონე არ შემწევს, რომ, როცა ჩემი სამსახური გჭირდება, მე არ შემიძლიან მოგეშველო. ენდე ძმობას, რომ ოდნავ მაინც სახსარი მქონოდა, მე არასდროს არ დაგიჭერდი ესდენ მცირე ფულს. სესხადაც ავიღებდი ვისმესგან, მაგრამ, არ ვიცი, ვის მივმართო, ყველა ჩემი ნაცნობნი ჩემსავით ჯიბე გამოფხეკილები არიან.

შენი ძმა . . . . . .

მოწყალეო ხელმჩიფეე, ... !

თქვენი ჩემდამი ყურადღება და კეთილ განწყობილება ამ გაჭირვებულ დროს მე გამბედაობას მაძლევს თხოვნით მოგმართოთ თქვენ, მოწყალეო ხელ-

მწიფევ! მე უცაბედად დამჭირდა . . . . . მანეთი, რათა თავი დავიღწიო იმ უკიდურესი მდგომარეობიდან, რომელშიც სხვების წყალობით ჩავვარდი. ამ ფულის შოვნა მე შემეძლო დალალებისა და სხვა მაგგვარ პირებისაგან, მაგრამ რადგან, ჩემდა საუბედურად, იმდენი გირაო აღარ მომეპოება, ამიტომ მარტო ერთს მოკეთეს-ღა შეუძლიან ჩემი შველა, რომელიც მიცნობს და დარწმუნებულია ჩემს პატიოსნებაში. ამიტომ ვბედავ და მოწიწებითა გთხოვთ, თუკი თქვენთვის შესაძლებელი იქმნება და არ გემძიმებათ, მაკალოთ ცოტას ხნით ზემორე ხსენებული ფული, რომელსაც დიდის მადლობით დაგიბრუნებთ დანიშნულს ვადაზე.

ამასთანავე უმორჩილესადა გთხოვთ თავხედობაში არ ჩამომართვათ ეს ჩემი თხოვნა. ენდეთ ღმერთს, რომ, თუ არ ასეთი უკიდურესი მდგომარეობა, არასოდეს არ გავბედავდი უქვენს შეწუხებას. მაინც და მაინც გთხოვთ, რაც უნდა პასუხი მიგიღო თქვენგან, ისევ იმად მიგულოთ, რაც დღემდე ვიყავი თქვენთვის.

თქვენი უმდაბლესი მონა და მოსამსახურე . . . . .

მოწყალეო ბატონო, ... !

გულითადის მწუხარებით უნდა გამოგიტყდეთ, რო ამ ჟამად ჩემთვის ყოვლად შეუძლე-

ბელია თქვენის თხოვნის დაკმაყოფილება... მე საშინლად მეწყინა თქვენი ასეთს მდგომარეობაში ჩავარდნა და გარწმუნებთ, რომ, ცოტათი მაინც შეძლება რომ მქონოდა, ერთს წუთს არ დავაყოვნებდი და ხელს შეგიწყობდით. ახლა კი იქნება ჩვენმა საერთო ნაცნობმა . . . . . გაგიმართოთ ხელი; იმას ხშირად აქვს ხოლმე თავისუფალი ფული და არცა მგონია, რომ დაგიჭიროსთ.

რაც უნდა იყოს, ჩემო ბატონო, თუ ოდესმე შემთხვევა მომეცა, რომ თქვენს სასარგებლოდ გამოიყენოთ ჩემი თქვენდამი პატივი და ერთგულობა, უმორჩილესადა გთხოვთ უყურადღებოდ არ დამტოვოთ და ისევ ამ კეთილ განწყობილებაში ვიყვნეთ მუდამ.

თქვენი ერთგული . . . . .

საკომერციო ბარათები **)

(აღებ-მიცემობის წერილები)

ბატონს . . . . . (სახელი და გვარი)

ქალაქ . . . . რიცხვსა . . . წელსა

მოწყალეო ხელწიფეე . . . . !

უმორჩილესად გთხოვთ ჩემს ბარათის ყურადღება მიაპყრათ. დიდის შრომის და მეცადინეობის შემდეგ

** აღებ-მიცემობაში ხშირად მოვაჭრენი ერთი მეორესთან შორს არიან და ამიტომ იძულებული ხდებიან ურთიერთ შორის დამოკიდებულება წერილით იქონიონ. აღებ-მიცემაში ყოველი საქმე წმინდად ესე იგი, ნაღდ ფულზე ხდება ანუ ნისიათ, ესე იგი, სხვა-და-სხვა სავალდებულო ხელშეკრულობით, მიწერ-მოწერას ამისთანა შემთხვევაში ჰქვიან „საკომერციო კორესპონდენცია“. ამ კორესპოდენციით ვაჭრები არიგებენ თავიანთ საქმეებს, თუნდა ერთი მათგანი დედამიწის ერთსკუთხეში იყოს და მეორე მეორეში. აღებ-მიცემაში ერთგვარ ვაჭრებს ეძახიან შემკვეთებლებს, მეორეთ—კომისიონერებს ანუ ამსრულებლებს. შემკვეთებელი კარგად უნდა იცნობდეს კომისიონერს, მის ხასიათს და ზნეს, მის გამრჯელობას; ხოლო კომისიონერი თავის მხრივ შემკვეთებელს უნდა დროზედ და სწორედ აუწყებდეს საქმის ყოველ გარემოებას, საბუთებს, თავის განზრახვის

მე ძლივ-ძლიობით მოვახერხე საკუთარი (მაღაღზია, სარდაფი, წიგნის თუ სხვა საგნების სავაჭრო) გაღება და ღვთის წყალობით აგერ ერთი წელიწადია, რაც ჩემი საქმე კარგად მიდის. გაუწყებთ რა ამასა, გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ ჩემი ახლად დაწყებული საქმე. ჩემის საქმეების ავ-კარგიანობაზე შეიძლება დაეკითხოთ აქაურ . . . . . (დაასახელე ვის).

დავშთები თქვენი უმორჩილესი მონა . . . . . .

ბატონს . . . . . (სახელი და გვარი)

ქალაქი . . . რიცხვი . . . წელიწადი

ბატონო, ... !

ეს არის ეხლა მივიღე თქვენი პატივცემული წერილი, რომელშიაც თანხმობას მაუწყებთ შესახებ ჩემის თამასუქებისა. თუ კეთილ ინებებთ და აიღებთ ჩემს თამასუქებს, რითაც დიდად დამავალებთ, სამაგიეროდ უსასყიდლოდ არ დაესტოვებ თქვენს შრო-

---

და სურვილის შიზეზს და სხვა. კომერციულ ბარათებში პირველი საქმეა მკაფიო და მარტივი კილო, ადვილად გასაგები წინადადებანი და სხვა და ყოველ შემთხვევაში საკომერციო ბარათი უსათუოდ საკუთარი ხელ მოწერილი უნდა იყოს, რათა ბარათის მიმღები ეჭვში არ შევიდეს: მოწერილი ბარათი ყალბიაო და სხვა. საკომერციო ბარათები ოთხ რიგად განიყოფება 1, საგანგებო (циркулярныя) 2, მაუწყებელნი მე-3 სანისიო და მე-4 გასაცნობი (рекомендательныя).

მას. ამ ქამად ამასთანავე გიგზავნით სამ თამასუქს 70 თუმნისას. სამივე თამასუქით ფული უნდა გამოართვათ . . . . . (აქ იწერება ვის ან რომელ ვაჭარს) ეს თამასუქები გთხოვეთ ჩემს ანგარიშში მიიღოთ, ხოლო თქვენს ხვედრ დასაჩუქრებას არ დავაყოვნებ და პირველისავე ფოსტით მოგართმევთ.

დავშთები თქვენი მოსამსახურე. . . . .

მოწყალეო ხელმწიფეგ, ბატონო . . . . !

ამ ბარათის მომტანი . . . . (სახელი და გვარი) აგერ სამი წელიწადია რაც აღებ-მიცემობის საქმეში ტრიალებს და ძრიელ კარგადაც შეისწავლა ეგ ხელობა; ამ ქამად ცოტაოდენი ფულები მოუგროვებია და საკუთარ საქმის დაწყებას აპირებს, რისთვისაც თქვენკენ მოდის ბედის საცდელად. რა თქმა უნდა, უთქვენოდ ფეხსაც ვერ გადასდგავს და, თუ შეგეძლებათ, უხელმძღვანელეთ, რითაც ძრიელ დამავალებთ მე და საუკუნო მოკეთეთ გაიხდიდ თვით იმასაც.

დავშთები თქვენი ერთგული. . . . .

მოწყალეო ხელმწიფეგ, . . . !

თანხმად თქვენის პატივცემულის წერილისა, რომელშიაც სრული თანხმობა გამოგვიცხადეთ ჩვენს წინადადებაზედ, ულმორჩილესად გთხოვეთ გაუსწორდეთ

და მისცეთ ჩვენს ანგარიშში ხუთასი მანეთი (500 მ.) ამის მოქტანს . . . (სახელი და გვარი) რაშიაც გთხოვთ გამოართვათ ორი ხელწერილი: ერთი თქვენთვის და მეორე ჩვენთვის.

დავშთებით თქვენი უმორჩილესნი . . . . . .

პასუხი

ამასთანავე გიგზავნით ხელწერილს . . . . . საიდანაც აშკარად ნახავთ, რომ თქვენი დავალება სისრულით და დაუყოვნებლივ აღსრულებულ იქმნა, ესე იგი . . . . გარდავეცით თქვენ მიერ ნაბრძანები (500) ხუთასი მან., რომელსაც უმორჩილესად გთხოვთ გამოგვიგზავნოთ 12 დღის განმავლობაში.

დავშთები მუდამ მზა თქვენი სამსახურისათვის. . . . . .

ჩემო ხელმწიფეგ, ბატონო. . . . . !

თუმცა წარსულ თვეს გწერდით, რო ამ კვირის გასულ თქვენკენ ვაპირებ ჩამოსვლას-მეთქი, მაგრამ, სრულებით მოულოდნელი გარემოებისა გამო, იძულებულ ვიქმენ აქვე დავრჩენილიყავ, რის გამო ვერ ვასრულებ ჩემს თქვენს წინაშე მოვალეობას. მაგრამ იმედი გქონდეთ, რო ამ რამდენსამე დღეში სრულებით

დაგაკმაყობილებთ და მით ვეცდები თქვენს კეთილ-განწყობილებას არავითარი უსიამოვნება არ მივაყენო.

დავშთები თქვენი ერთგული . . . . . .

მოწყალეო ხელმწიფეო, ... !

ეს მესამე წერილს გიგზავნით და ჯერ თქვენი პასუხი არ მღირსებია. კიდევ უმორჩილესად გთხოვთ უპასუხოთ არ დამტოვოთ.

საქმე ის არის რომ . . . . . (სახელი და გვარი) მთხოვს სესხად (ამა და ამდენს ფულს) და მპირდება ორის თვის შემდეგ სარგებლით მოგართმევო. მე იმას ისე დაახლოვებით არ ვიცნობ და არც იმის შეძლების რაოდენობა ვიცი. ხოლო თქვენ კი კარგათ იცნობთ და იმედი მაქვს გულწრფელ და უტყუარ პასუხს შემოგმითვლით: სანდო კაცია იგი თუ არა? იცოდეთ, რომ თქვენი წერილი მექმნება საბუთად, ვასესხო იმას ფული თუ არა.

დავშთები თქვენი ერთგული . . . . . .

მოწყალეო ბატონო . . . . . !

წარსულ კვირას მე გამოგიგზავნეთ . . . მან. ჩემი თამასუქების გასაბათილებლად. მე ვფიქრობდი, რომ სრულად გაგისწორდებოდით, მაგრამ სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, იძულებულ ვარ, ჯერ ჯერობით

მარტო ეს ღა გამყოფოთ; ხოლო დანარჩენს ამ მცირე ხანში მოგვართმევთ თავისის სარგებლით. იმედი მაქვს, რომ ამით თქვენს კეთილ განწყობილებას არ დავკარგავ.

დავშთები თქვენი მოსამსახურე . . . . . .

საქმის გარათეები

ანდერძის წერილი ანუ სიგელი

სახელითა, მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, მე (სახელი, მამის სახელი, გვარი და წოდება) სრულს ჭკუაზე მყოფი და გულის ხმიერობას არ მოკლებული, ვაძლევ საკუთრებად ჩემი სიკვდილის შემდეგ იმ უფლებით, რომელიც მონიჭებული მაქვს (დამატება 118 მუხლისა, ტ. X. ნაწ. 1. 1863 წლის განგრძობისა მებრ) ამასა და ამას (სახელი, მამის სახელი და გვარი) საკუთრად ჩემს კუთვნილს მამაპაპეულს მამულს, რომელიც იმყოფება (ამა და ამ) გუბერნიაში, (ამა და ამ) მაზრაში, (ამა და ამ) სოფელში და რომელიც დამრჩა მემკვიდრეობითა ჩემის მშობლებისაგან (სახელი და გვარი მშობლებისა), ვაძლევ სრულად, ყოველის შენობითა და საოჯახო მოწყობილობით, ყოველის მოძრავის ქონებითურთ, რაიცა იმ მამულს ეკუთვნის, ყოველის საქონელითა და საციქველით, ყოველის უფლებითა და მოვალებითურთ, რაიცა მოსდევს მამულის მფლობელობასა. კეთილ შეძენილსა ქონებასა ჩემსა (ამასა და ამას), საზოგადოდ ყოველს სიკე-

თეს და დოვლათს, რაც ჩემს სიკვდილს შემდეგ აღ-
მოჩნდება, ვაძლევ (ამათა და ამათ) (ამდენსა და ამდენსა).
ანდერძის წერილი ესე ძალასა და მოქმედებაში უნ-
და შევიდეს ჩემი სიკვდილს შემდეგ. ამინ. (ხელის მო-
წერა).

თუ ანდერძის წერილი დაწერილია თვით იმის ხელით, ვინც ანდერძსა სტოვებს, მის ხელ-მოწერილობის სინამდვილე და აგრეთვე სრულ ჭკუაზედ ყოფა და გულის-ხმიერობა მისი უნდა შემოწმებულ იქმნას ორის მოწამის მიერ; ხოლო თუ ანდერძი სხვის ხელით არის დაწერილი, მაშინ მოწამე სამი უნდა იყოს.

საჩუქრისა ან საბოძვრის წერილი ანუ სიგელი

ათას რვაას ოთხმოცდა თორმეტსა წელსა . . . . (თვესა . . . . დღესა) მე ქვემორე ამისა ხელის მომწერელმან (წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი) საუკუნოდ და საშვილიშვილოდ სამფლობელად (ამა და ამას სახელი, მამის სახელი და გვარი) და მემკვიდრეთა მისთა კეთილად შეძინებული უძრავი (ან მოძრავი) მამული ჩემი, მდებარე . . . . . (დაწვრილებით აიწეროს რომელ გუბერნიაში, მაზრაში, სოფელში ანუ თუ ქალაქშია: ნაწილი ჭუჩა და საზოგადოთ ზომა, რაოდენობა, სამზღვრები და მომიჯნავენი) რომელიც მივიღე მე ნასყიდობითა (ამა და ამ დროსა და ამ №-ით) ზემოდ აღნიშნულ მამულსა სინიდისის ქვეშ ვაფასებ (ამა და ამდენად) ხოლო უწინარეს

ამა საჩუქარის სიგელისა მამული იგი ჩემგან არავისადმი არცა მისყიდულ, არცა დაგირავებულ, არცა ვისადმი რაისამე შინა შეკრულ და არცა რომელსამე ზედა აღწერილს არს. და შემდგომ ამისა ვითარცა მე, აგრეთვე მემკვიდრეთა ჩემთა მამულსა მასზედ ან არავითარი საქმე არ გვქონდეს და არცა რაიდსამე გედავნეთ.* (ხელის მოწერა)

მზითვის წერილი ანუ სიგელი

ათას რვაას ოთხმოც და თორმეტსა წელსა. . . . (თვესა . . . . . დღესა) მე ქვემორე ამისა ხელის მომწერელმა (წოდება, სახელი და გვარი) მივეცი მზითვად ასულსა (თუ დასა) ჩემსა (ამა და ამასა) და დანიშნულსა (ამა და ამ კაცზე) კუთვნილი ჩემი და კეთილ-შეძინულსა (აიწერება დაწვრილებით ყველაფერი უძრავი თუ მოძრავი) ხოლო (მამული თუ ქონება) ჩემგან არცავისადმი მიყიდულ და არცა აწერილ არს რომელსამე ზედა; თუ ვინიცობაა შემდგომ ამისა ვინმე დაავას დაუწყებს ხსენებულს მამულზე პასუხი უნდა აგოს ქალმან ჩემმან (ან დამმან) მამულსა მას სინიდისის ქვეშ ვაფასებ (ამდენად და ამდენად, ხელის მოწერა)

---

* შეიძლება საჩუქრის სიგელი რაიმე პირობითაც იყოს შეკრული, ხოლო მაშინ ამას შიგ მოიხსენიებენ და სხვა ისევ ის დარჩება.

გაყრილობის წერილი ანუ სიგელი

ათას რვაას ოთხმოცდა თორმეტსა წელსა. . . . (თვესა) . . (დღესა) მე ქვემორე ამისა ხელის მომწერელმა (წოდება, სახელი და გვარი) მივეცი ესე წერილი ღვიძლსა ძესა ჩემსა (ან ძმას, ამა და ამასა) მას შინა, რომ ჩემის კუთვნილის მამულიდგან, რომელიც მერგო (ან ნასყიდობით ან მემკვიდეობით ამა და ამისაგან) მდებარე (ამა და ამ ალაგს) ამის შემდგომ ძესა ჩემსა არა აქვს უფლება ჩემის სიკვდილის შემდეგ წაედავოს (ძმებსა თუ დებსა თვისსა ჯერ მცირე წლოვანთა) ხოლო ზემო აღნიშნული მამული ჩემგან არავისადმი არც მიყიდულა და არც დაგირავებულა და თუ ვინიცობაა ვინმე წაედავების მას, მაშინ ძემან ჩემმან უნდა აგოს პასუხი ჩემდა გაურეველად. მამულსა ამასა სინიდისის ქვეშ ვაფასებ (ამდენ და ამდენად. ხელის მოწერა)

ნასყიდობის წერილი ანუ სიგელი

მოწყალეო ხელმწიფეო,

(სახელი და მამის სახელი)

ამა რწმუნების ქალალდით მოგანდობთ იშუამდგომლოთ ყველა ჩემის საქმეების გამო, რომელიც ეხლა სწარმოებს, ან შემდეგში გამოჩნდება საწარმოებლად; იშუამდგომლოთ, როგორც სამოსამართ-

ლო დაწესებულებათა, ისე ყოველ თანამდებობის კაცთა-წინაშე. ამისათვის გაძლევთ ნებას მიართვათ ყველგან თხოვნა, არზები, შეიტანოთ განცხადებანი, მისცეთ პასუხი დაუსწრებლად დადებულის განაჩენის გამო, ასტეხოთ დავა, თუ მოხერხებით ყალბობა გასწია ვინმემ ჩემდა საზარალოდ, დაუგირაოთ ბანკში და სხვა კერძო პირთა, მიიღოთ ჩემი საბუთები, ფული, ჩემდა გადმოსაცემად, იჩივლოთ კერძო საჩივრით, აპელაციისა და კასაციის წესით, მოსპოთ სადავო საქმეები მორიგებით და სხვასაც მიანდოთ ყოველი ეს საქმე ამ ქაღალდის ძალით. რასაცა თქვენ ამ რწმუნების საბუთით კანონიერად მოიქმედებთ, იმაში არავითარს დავასა და წინააღმდეგობას არ გაგიწევთ. რწმუნებისა ქაღალდი ესე ეკუთვნის (ვისაც ეკუთვნის, აქ უნდა დაიწეროს მისი სახელი, მამის სახელი, გვარი და ისიც, რა წოდებისაც არის.)

რწმუნების ქაღალდი მორიგებელ სასამართლოებში სასიარულოდ.

მოწყალეო ხელმწიფეო,

(სახელი და მამის სახელი)

მოგანდობთ იშუამდგომლოთ ყოველი ჩემის საქმეების გამო, რომელიც კი სწარმოებს მორიგებელ სასამართლოებში, გამოაცხადოთ დავა ჩემს სახე-

ლით და დამიფაროთ, თუ სხვა ვინმემ ამიტეხა დავა; იჩივლოთ კერძო, სააპელაციო და საკასაციო საჩივრით მომრიგებელ მოსამართლეთა კრების წინაშე, იდავეთ, თუ განგებ მოხერხებული ყალბობა შეამჩნიეთ ვისმე ჩემდა საზარალოდ, ან თუ სინამდვილე არა აქვთ ჩემს საწინააღმდეგოთ წარმოდგენილს საბუთებს, გამოიტანეთ პირი ქალალდებისა, შეჰკრიბეთ საჭირო ცნობანი, უკანვე დააბრუნეთ საბუთები, იღეთ აღსრულებაში მოსაყვანი ქალალდები და ფული, ჩემდა გადმოსაცემად, თუ გენებოთ, მიანდეთ ეს საქმეები სხვას და საზოგადოდ დაიცეთ და დაიფარეთ უფლებანი და სიკეთე ჩემი; ყოველსავე ამაში მე თქვენ გენდობით, დავასა და წინააღმდეგობას არ გაგიწევთ. რწმუნებისა ქალალდი ესე ეკუთვნის (სახელი, მამის სახელი, გვარი და წოდება).

გირავნობის წერილი

ათას რვაას ოთხმოცდა თორმეტსა წელსა . . . . . (თვესა) . . . . (დღესა) მე ამისა ქვემორე ხელის მომწერელმა (წოდება, სახელი და გვარი) ვისესხე (ამა და ამისაგან) ფული (ამა და ამდენი) ბძანებულითა სარგებელითა, ხოლო ვადით, ესე იგი, მომავალსა (ამა და ამ წლამდე და თვის რიცხვამდე) და ამ ფულში ვადამდინ დაუგირავე მე (ამა და ამან ამა და ამას) უძრავი ქონება (თუ მამული) ჩემი, და შთომირჩი ჩემდა სამკვიდრებ-

ლად (ანუ ამა და ამ ნასყიდობით) მდებარე (ამა და ამ ალაგას სოფელსა ანუ ქალაქსა, თუ ქონება მოძრავი, უნდა დაწვრილებით იყოს ყველაფერი აღწერილი და ორპირად) უკეთუ მე სესხად მოცემული ფული იგი დანიშნულ ვადაზედ (ამასა და ამას) არ ჩავაბარე, მაშინ მას ნება აქვს ეს გირავნობის წერილი, სადაც ჯერ არს განაცხადოს, და წარუდგინოს და დაკმაყოფილებულ იქმნას, ვითარცა კანონი გადასწყვეტს და მიანიჭებს. ხოლო უწინარეს ამისა გირაო უძრავი (ან მოძრავი) საცხოვრებელი (ანუ ქონება) ჩემი არ იქმნას არავისადმი მიყიდულ, ან დაგირავებულ და არცა რომელთამე შეკრულობით შეკრული (ხელის მოწერა)

პირობის გარდასვლის (неустойчная) წერილი თამასუქით

ათას რვაას ოთხმოცდა თერთმეტსა წელსა...(თვესა.. დღეს...) ჩვენ ამის ხელის მომწერელთა (ამადამათ წოდება, სახელი და გვარი) შეეკარით, ურთი ერთ შორის პირობა ესე შემდეგი: 1) მე (ამან და ამან) დღევანდელის რიცხვიდამ ვესესხე (ამა და ამას) . . . მანეთი (ამა და ამდენის ხნის) ვადით, რაშიაც მიეცი თამასუქი (თვე და რიცხვი) ვადით. 2) თუ მე (ეს და ეს) ჩემგან ნასესხებს ფულს დანიშნულ ვადაზე არ გადავიხდი და თუ მით იძულებულს ვყოფ (ამას და ამას) ზედ მოხსენებულის თამასუქის ვადის გამოსაცხადებლად

წარადგინოს სადაც ჯერ არს, მაშინ მე ამასთან ჩემი დაუდევრობისა გამო მოვალე ვარ გარდაუხადო (ამას და ამას) პირობის გადასვლისთვის . . . . მანეთი; 3) ეს პირობის გარდასვლის წერილი მოვალე ვართ ჩვენ და ჩვენი მემკვიდრენიც მტკიცედ და დაურღვეველი შევინახოთ (მოწერა ხელისა)

შესანახავი წერილი

ქ. თბილისი 1892 წელსა . . . თვესა...დღესა... მე ქვემორე ამის ხელის მომწერელი ვაძლევ ამა ხელწერილს (ამან და ამას) იმაში, რომ მივიღე მისმიერ შესანახად (ფული ამდენი და ამდენი, ანუ ნივთები ეს და ესა, -ორსავე შემთხვევაში დაწვრილებით აღწერილობა მათი) რომელიც მოვალე ვარ დავუბრუნო (ამა და ამას) პირველსავე თხოვნით და შემდგომ მისი სიკვდილისა იმისვე კანონიერ მემკვიდრეებს. (ხელის მოწერა)

დაქირავების პირობის წერილი

1892 წელსა . . . თვესა . . . დღესა მე ქვემორე ამის ხელის მომწერმა (ამა და ამან) პირობით შეველკარი (ამას და ამას) მასში, რომ 1) მე (ესა და ესა) დავექირავე (ამა და ამას) და მოვალე ვარ დღევანდელის რიცხვიდან ვემსახურო მას (ამა და ამ ხნის განმავლობაში) შემდეგის პირობაზე: (აქ უნდა დასახელებულ და

ჩამოთვლილ იქმნას თვითეულად ის მოვალეობა, რაც სამსახურის დროს უნდა აკეთოს, თუ ნოქარია—ნოქარის მოვალეობა და საქმე, თუ მსახურია ან მზარეული—შესაფერი საქმე და სხვა)... 3) დანიშნულ ვადამდე (ამა და ამას) ნება არ ჰქონდეს ადგილიდგან დამითხოვოს, ხოლო, თუ ვინიცობაა, რაიმე დანაშაული ჩავიდინე, მაშინ დამითხოვოს და რაც დამედება მისი ფული (ან გაფუჭებული რამე ნივთი და სხვა) უკანვე დაუყოვნებლივ დაუბრუნო. 4) ამ სამსახურისათვის (ესა და ესა) მოვალეა (ყოველ თვე და თვე თუ წლიდან წლამდე) მაძლიოს ჯამაგირი (ამდენი და ამდენი). პირობა ეს ორთავე პირშეკრულ მხარეთათვის წმინდა და დაურღვეველ უნდა იყოს. ერთი ნამდვილი დედანი ამ პირობისა ორივეს ხელ-მოწერილი უნდა ჰქონდეს (ამას და ამას), ხოლო მეორე პირი, რიგისამებრ შემოწმებული, უნდა მქონდეს მე. რაშიაც ხელს ვაწერ (ხელის მოწერა)

პირობა (контрактъ) სახლის დაქირავებისა

1892 წელს . . . თვესა . . . დღესა... ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერთა (ამანა და ამან) შევკარით ესე პირობა მასზედ, რომ მე (ამა და ამან) დავიქირავე (ამა და ამის) შენობაში სახლი (ან მაღაზია ან სხვა რამე სადგომი), მდებარე (აქა და აქა), რომელიც შესდგება (ამდენი და ამდენი ოთახისგან, თუ თვლებისაგან ამა და ამ სართულში) . . . . . (ამდენი და ამდენი ხნის) ვადით, ესე-

იგი, მომავალი წლის . . . . თვემდე . . . (ამდენ და ამდენათ წელიწადში თუ თვეში) 1) ქირა უნდა ვაძლიო (ამას და ამას) ყოველ თვე და თვე (თუ სამ თვეში ერთხელ და სხვა) წინ და წინ და თუ ფული დროზედ ვერ გადავიხადე, (ამას და ამას) უფლება აქვს სახლიდან დამითხოვოს და, რაც ფული დამედება, კანონით გამომართვას, 2) ვკისრულობ ყოველგვარი ნაგავის ვატანას და სიწმინდისა და სისუფთავის დაცვას ჩემს ხარჯზე 3) თუ ვინიცობაა, მე რამე შეკეთება მოვინდომე ხსენებულ სადგომში, შემიძლიან შევაკეთო იგი ჩემს ხარჯზე, ხოლო ჯერ უნდა დავეკითხო სახლის პატრონს (ამა და ამას; შეიძლება ეს სხვანაირითაც დაიწეროს, ე. ი., სახლის პატრონმა თავის ხარჯზე) 4) ცეცხლს მოვერიდო და სიფრთხილით მოვეკიდო. 5) თუ მოვინდომე მე (ამა და ამან) ვადის გასვლამდე ამ სადგომის სხვის სახელზედ გადაცემა, შემიძლიან გადავცე იგი მას შემდეგ, როცა სახლის პატრონიც თანახმა იქნება 6) დაცლის დროს სახლი უნდა ჩავაბარო პატრონს პირვანდელის სისუფთავით და სიწმინდით და რაც გაფუჭებული და დაზიანებულ აღმოჩნდეს უნდა შევაკეთო და შევასწორო. 7) ამ პირობის დასამტკიცებელი ხარჯი უნდა გადიხადოს (ამა და ამან) და 8) ეს პირობა ორთავე მხარესათვის წმინდა და დაურღვეველი ბნდა იქმნეს, (ამას და ამას) უნდა ჰქონდეს დედანი ამ პირობისა და მე (ამას და ამას) ნამდვილთა ნ შემოწმებული პირი. (ხელის მომოწერა).

თამასუქები

უბრალო თამასუქები (ფულად და საქონლად მიღებული)

ქ. თბილისი. 1892 წელსა . . . თვესა . . . დღესა თამასუქი . . . . მანეთისა

მე ქვემორე ამის ხელის მომწერელი, (ესა და ესა) მოვალე ვარ გადეუხადო მომთხოვს თუ არა (ამა და ამ ხნის განმავლობაში ამას და ამას ამდენი და ამდენი), რომელიც ნაღდათ ფულად (ან საქოლნად) და სრულად მივიღე. (ხელის მოწერა)

ზოგიერთი საქმის ბარათების ნიმუშები რუსულად

1. Образецъ простого векселя.

Тифлисъ. 12-го іюля 1892 года. Вексель на 2,500 р. сер. Отъ сего двѣнадцатаго іюля тысяча восемьсотъ девяносто второго года, черезъ шесть мѣсяцевъ, по сему моему векселю повиненъ я заплатить Тифлисскому 2-й гильдіи купцу Макарову, или кому онъ прикажетъ, двѣ тысячи пятьсотъ рублей серебромъ, которые я получилъ отъ него наличными деньгами сполна. Иванъ Казаровъ, Тифлисскій 2-й гильдіи купецъ.

2. Образецъ внутренняго переводнаго векселя съ платежомъ по предъявленіи.

Кутаисъ. 2-го сентября 1892 года. Вексель на 3,000 р. сер. По предъявленіи извольте заплатить по сему моему первому векселю дворянину Семену Караеву, или кому онъ прикажетъ, три тысячи рублей серебромъ, которые получены мною отъ Батумскаго 1-й гильдіи купца Николая Окроева, по увѣдомительному письму, Андрею Пугиняну, Эриванскому 2-й гильдіи купцу. Первый. Петръ Ерицовъ, Тифлисскій 1-й гильдіи купецъ.

3. Образецъ полной или передаточной надписи. Вмѣсто меня заплатите Ивану Смирнову, Тифлисскому купцу, или кому онъ прикажетъ. Платежъ отъ него полученъ сполна. Кутаисъ, 8-го ноября. Подпись Семенъ Ивановъ.

Или: Безъ оборота на меня, заплатите Кутаисскому 2-й гильдій купцу Ѳеодору Караеву, или кому онъ прикажетъ. Платежъ отъ него полученъ сполна. Батумъ, 1-го января 1888 г. Петръ Курдгеловъ.

Образцы формъ нѣкоторыхъ актовъ, совершаемыхъ домашнимъ порядкомъ.

Форма довѣренности общей на ходатайство.

Милостивый государь!

(Имя и отчество).

Настоящею довѣреностью уполномочиваю васъ ходатайствовать по всѣмъ моимъ дѣламъ, какъ нынѣ производящимся, такъ и впредь возникнуть могущимъ, во всѣхъ судеб. учрежд. и у должностн. лицъ, для чего вы можете подавать прошенія, объявленія, отзывы на заочныя рѣшенія и друг. бумаги, заявлять споры о подлогахъ и давать отвѣты по таковымъ спорамъ; получать документы и деньги, для передачи мнѣ, подавать частныя, апелляціон. и кассаціон. жалобы, прекращать дѣла миромъ и передовѣрять это полномочіе другимъ лицамъ. Во всемъ же, что вы по этой довѣренности законно сдѣлаете—спорить и прекословить не буду. Довѣренность эта принадлежитъ (званіе, имя, отчество и фамилія).

Довѣренность на хожденіе по дѣламъ у мировыхъ судей.

Милостивый государь!

(Имя и отчество).

Уполномочиваю васъ ходатайствовать по всѣмъ моимъ дѣламъ, производящимся въ мировыхъ судебныхъ установленіяхъ, предъявлять отъ моего имени иски и отвѣчать на предъявленные ко мнѣ, приносить частныя апелляціон. и кассаціон. въ мировые съѣзды жалобы, заявлять споръ о подлогѣ и подлинности актовъ, получать копіи, справки, документы, исполнительн. листы и деньги, для передачи мнѣ, передовѣрять полномочіе друг. лицамъ и вообще защищать права и интересы мои, въ чемъ вамъ вѣрю, спорить и прекословить не буду. Довѣренность эта принадлежитъ (званіе, имя, отчество и фамилія).

Запродажная запись.

Тысяча восемьсотъ восемьдесятъ шестаго года, августа десятато дня, я, нижеподписав-

шійся (званіе, имя, отчество и фамилія), запродалъ, принадлежащіе мнѣ, (такому-то: имя, отчество и фамилія), домъ и участокъ земли (указать всѣ подробности, сосѣднихъ владѣльцевъ при продажѣ земли); запродалъ я, (такой-то) эту землю (такому-то), цѣною (столько-то), въ счетъ котор. при совершеніи этой запродажн. записи получилъ отъ покупщика, (такого-то) денегъ въ задатокъ (столько-то). Купчую крѣпость обязуюсь совершить не позже (мѣсяцъ, число, годъ), а въ случаѣ несовершенія къ этому сроку, возвращаю (такому-то) задатокъ и сверхъ того плачу неустойку пятьсотъ руб. Я, (такой-то) всѣ расходы по совершенію купчей крѣпости принимаю на себя и обязуюсь внести (такому-то) остальныя (столько-то) въ день утвержденія купчей стар. нотаріусомъ. Въ случаѣ, если я, (такой-то) откажусь отъ покупки упомянутаго дома и земли, то задатокъ остается въ пользу продавца (такого-то).

Долговая росписка.

Я, нижеподписавшійся обязуюсь уплатить (такому-то), по первому его требованію (столько-то), которые я отъ него получилъ налич-

ными деньгами сполна. Тифлисъ (число, мѣсяцъ и годъ).

Духовное завѣщаніе.

Во имя Отца, и Сына и Святаго Духа, я (званіе, имя, отчество и фамилія), находясь въ здравомъ умѣ и твердой памяти, по праву данному мнѣ закономъ (прил. къ ст 118, т. X. ч. 1, по прод. 1863 г.), собственное мое недвижимое родовое имѣніе, состоящее—ской губерніи,—уѣзда, въ деревнѣ—,доставшееся мнѣ по наслѣдству послѣ родителя моего (такого-то), послѣ моей смерти предоставляю въ пожизненное владѣніе (имя, отчество и фамилія), въ полномъ составѣ того имѣнія, со всѣми строеніями и хозяйственными заведеніями, со всею, принадлежащею къ тому имѣнію, движимостью, скотомъ и хлѣбомъ, со всѣми правами и обязанностями. Благопріобрѣтенный капиталъ мой, заключающійся (въ томъ-то) и вообще весь капиталъ, какой послѣ моей смерти окажется, предоставляю въ собственность (такимъ-то) по (столько-то). Завѣщаніе это въ силу и дѣйствіе должно воспріять послѣ моей смерти. Цѣну, завѣщаемому послѣ меня, имѣнію предоставляю

опредѣлить послѣ моей смерти моимъ наслѣдникамъ. Аминь.*)

ღერბის ხარჯი (Гербовый сборъ).

ღერბის ხარჯში დაწესებულია ორნაირი: 1) ჩვეულებრივი 80 კაპ., 60 კაპ., 15 კაპ., 10 კაპ. და 5 კაპეიკიანი, და 2) თანაბრად აქტის ჯამისა (ე. ი. ნასყიდობის, სესხის და სხვა მაგვარი მორიგებისა.

80 კაპეიკიან მარკებს ხმარობენ ყოველგვარ თხოვნაზე და არზებზე, პასუხებზე, კოპიოებზე, ოტზივებზე, ოფიციალურ მოწმობებზე, რწმუნების ბარათებზე, დოკუმენტებზე, რომლების ღირეულობა 50 მან. არ აღემატება, კუპჩებზე და სხვა; 60 კაპეიკიან მარკებს ხმარობენ პასპორტებისათვის, ბილეთებისათვის, ოტსტროჩკებისათვის; 15 კაპ.—იმ დოკუმენტებისათვის, რომელთა ღირეულობა არ აღემატება 5 მან. თანაბარი ან პროპორციონალური ღერბის ქაღალდი სხვა და სხვა ღირეულობისანი არიან შესაფერად აქტის ღირეულობისა.

---

*) Если все завѣщаніе написано рукою завѣщателя, тогда подпись его и нахожденіе въ здравомъ умѣ и твердой памяти должны быть удостовѣрены двумя свидѣтелями. Если же завѣщаніе писано другимъ, то свидѣтеля должно быть три.

აღკრძალულია ერთი ღერბის ქაღალდზე ორის ან მეტის სააკტო ქაღალდის მოთავსება. იმ საქმის ქაღალდებზე, რომელზედაც ღერბის ხარჯი გადახდილი არ არის, ჯარიმა გადაეხდეევინების ათჯერ მეტი, ვიდრე იგი ღირს

ღირებულება თამასუქის (სავექსილო) ქაღალდებისა.

1	მანეთიდამ.	50	მან.	—	მან.	10	კაპ.
50	„	100	„	—	„	15	„
100	„	200	„	—	„	30	„
200	„	300	„	—	„	40	„
300	„	400	„	—	„	55	„
400	„	500	„	—	„	70	„
500	„	600	„	—	„	80	„
600	„	700	„	—	„	90	„
700	„	800	„	1	„	—	„
800	„	900	„	1	„	15	„
900	„	1,000	„	1	„	20	„
1000	„	1,500	„	1	„	90	„
1,500	„	2,000	„	2	„	50	„
2,000	„	3,200	„	3	„	70	„
3,200	„	4,000	„	5	„	15	„
4,000	„	6,400	„	6	„	80	„

6,400	„	8,000	„	9	„	—	„
8,000	„	10,000	„	11	„	30	„
10,000	„	12,000	„	13	„	80	„
12,000	„	15,000	„	15	„	60	„
15,000	„	20,000	„	21	„	—	„
20,000	„	25,000	„	27	„	60	„
25,000	„	30,000	„	33	„	60	„
30,000	„	40,000	„	42	„	—	„
40,000	„	50,000	„	54	„	—	„

ღირეულობა ნასყიდობის (საექტო) ქაღალდებისა.

50	მანეთიდამ.	300	მან.	1	მან.	25	კაპ.
300	„	900	„	3	„	10	„
900	„	1,500	„	5	„	40	„
1,500	„	2,000	„	7	„	10	„
2,000	„	3,000	„	11	„	—	„
3,000	„	4,500	„	15	„	65	„
4,500	„	6,000	„	20	„	30	„
6,000	„	7,500	„	28	„	—	„
7,500	„	9,000	„	31	„	—	„
9,000	„	10,000	„	36	„	—	„
10,000	„	12,000	„	41	„	—	„
12,000	„	13,000	„	48	„	—	„

13,000	„	15,000	„	53	„	—	„
15,000	„	18,000	„	63	„	—	„
18,000	„	21,000	„	71	„	—	„
21,000	„	30,000	„	103	„	—	„
30,000	„	45,000	„	156	„	—	„
45,000	„	60,000	„	211	„	—	„
60,000	„	90,000	„	312	„	—	„
90,000	„	120,000	„	415	„	—	„
120,000	„	150,000	„	519	„	—	„
150,000	„	225,000	„	781	„	—	„
225,000	„	300,000	„	1031	„	—	„

ნოტარიუსების კანონიერი სასყიდელი.

აქტების შედგენისათვის, რომლების ფასი 500 მ. არ აღემატება—2 მან. ეძლევათ. 501 მანეთიდამ 1000 მანეთამდე—3 მ., 1000 მან. 4 მან.; რომელსაც არაფერი ღირეულობა არა აქვს—3 მან. თამასუქებისა, გირავნობის და პროტესტების შემოწმებისათვის, რომელთაც ღირეულობა 500 მანეთამდე—50 კაპ. როცა 500 მანეთზე მეტია—1 მან. პიროობების შემოწმებისათვის 500 მანეთამდე—1 მან. 501 მანეთიდამ 1000 მანეთამდე—1 მან. 50 კაპ. რაც 2000 მანეთზე მეტია—2 მან., ხოლო რომელზედაც

არ არის არაფერი ჯამი აღნიშნული—2 მან., კოპიოების შემოწმებისათვის პირველი თაბახიდამ 25 კაპ., დანარჩენიდამ 10 კაპ., ხელის მოწერის შემოწმებისათვის 10 კაპ. რწმუნების ბარათის, თხოვნის და სხვა ქალალდების დამტკიცებისათვის პირველი თაბახიდამ 1 მან., დანარჩენებზე 50 კაპ., სააქტო წიგნში შეტანისათვის ქალალდისა თითო სტრიქონი 2 კაპ.

სამოსამართლო პრისტავის დასაჩუქრება.

უწყების გაგზავნისათვის, როდესაც დავა 2000 მანეთს არ აღემატება, ეძლევათ 25 კაპ., როცა 5000 მან.—50 კაპ. როცა 5000 მან. აღემატება—1 მან., მოძრავი ქონების აღწერისათვის თითო მანეთიდამ თითო კაპეიკი ეძლევა, ვიდრე 500 მანეთამდე,—ხოლო როცა ქონება ღირს 500 მანეთიდამ—5000 მ. მაშინ, ყოველ ათს თუმანში ეძლევათ ნახევარი მანეთი, ანუ მანეთზე ნახევარი კაპეიკი. როცა მოძრავი ქონება თვითეულად აიწერება, მაშინ ყოველ საგნის კერძოდ აღწერისათვის ეძლევათ თითო შაური; ბეჭედის დასმის ანუ ახსნისათვის თითო საგანზე სამ-სამი კაპეიკი ეძლევათ; უძრავ ქონების აღწერისათვის ვიდრე 500 მან. ეძლევათ 2 მ. 50 კაპ., 1000 მანეთამდე—5 მან., 2000 მან.—6 მან., 3000 მან.—7 მან., 4000 მან.—8 მან., მფლობელობაში შეყვანისათვის ეძლევათ 2 მანეთი.

ვექილების კანონიერი დასაჩუქრება

როცა საქმე ღირს 500 მან.—2000 მანეთამდე. ათი პროცენტი ანუ მანეთზე ორი შაური,—5000 მანეთამდე 200 მ., 5000 მ:—25000 მან, 400 მან., 25,000 მან.—50,000 მანეთამდე 1240 მანეთი და სხვა.

ვადები სასამართლოში.

სიხლის სამართლის საქმეში. 1 დღე უკმაყოფილების გამოცხადებისათვის მომრიგებელ მოსამართლის განაჩენზე; 3 დღე კოპიოების მიღებისათვის მომრიგებელი მოსამართლის განაჩენზე; 7 დღე კერძო საჩივარის მიცემისათვის მომრიგ. მოსამართლეზე, ორი კვირა სააპელაციო საჩივარის მიცემისათვის მომრიგებელი მოსამართლის განაჩენზე, აგრეთვე საოლქო სასამართლოებზე და პალატებზე.

სამოქალაქო საქმეებში. 1 დღე უკმაყოფილების გამოცხადებისათვის მომრიგებელი მოსამართლის განაჩენზე, 3 დღე კოპიოების მიღებისათვის მომრიგებელი მოსამართლის განაჩენზე; 7 დღე კერძო საჩივრის მიცემისათვის მომრიგებელ მოსამართლეებზე; ორი კვირა ოტზივის (პასუხის) მიცემისათვის ზაოჩნოე რეშენიაზე (უპირო განჩინებაზე) აგრეთვე საოლქო სასამართლოებზე; ერთი თვე სა-

კასაციო და სააპელაციო საჩივრის მიცემისათვის მომრიგებელ მოსამართლის განჩინებაზე, აგრეთვე საოლქო სასამართლოებზე, ზაოჩნოე რეშენიებზე, ოთხი თვე საჩივრის მიცემისათვის პალატის განჩინებაზე.

ფოსტა

ყველა სახელმწიფოში დაწესებულია ბარათებისა, წიგნებისა, გაზეთ-ჟურნალებისა და სხვა მრავალგვარ ქაღალდებისა, ფულისა, საქონლისა და ნივთების გასაგზავნ - გამოსაგზავნათ ეგრედ წოდებული **ფოსტა.**

ფოსტაში იღებენ ყოველგვარ ბარათებს, ფულს და სხვა საგნებს გასაგზავნად ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 2 საათამდე და საღამოობით 5 საათიდამ 7-მდე, ხოლო მირქმას უფლისას, პირველს, მეორესა და მესამე დღეს აღდგომისას, ზარებას, ამაღლებას, ახალწელიწადს, ნათლისღებას, ფერისცვალობას, ღვთისმშობლის შობას, ჯვართ-ამაღლებას, შობას, მარიამობის და შობის პირველსა და მეორე დღეს და აგრეთვე ყველა კვირა დღეებსა და უქმეებში არ იღებენ ფოსტაში კორრესპონდენციებს და არც მარკებს ჰყიდიან. ამ დღეებში ფოსტა დაკეტილია.

ფოსტაში იყიდება: მარკები, საფოსტო ბლანკები, შტემპელიანი კონვერტები და ეგრედ-წოდებულ აშკარა ბარათების ბლანკები. (открытое письмо)

ფოსტაში იღებენ ყოველ გვარს წიგნებს, ბარათებს, ამანათებს, ნივთებს, ფულს და სხვა საგნებსა, რომელიც ფოსტით გაიგზავნება.

ფოსტის მარკები არის ერთი კაპეკიანიდამ დაწყებული ვიდრე შვიდ შაურიან მარკებამდე; არის აგრეთვე საფოსტო კონვერტები და საფოსტო ბლანკებიც ბარათებისათვის.

წონა კორესპონდენციისა. წონა ყოველ გვარ კორესპონდენციისა წინადვე განსაზღვრულია. დაბეჭდილი და საგანგებო წერილები (заказное письмо) არ უნდა აღემატებოდეს 5 გირვანქას, ბანდეროლიანი კორესპონდენცია არ უნდა აღემატებოდეს 4 გირვანქას; ფასიანი ამანათი (პასილკა) არ უნდა აღემატებოდეს 10 გირვანქას; ფულიანი პაკეტი არ უნდა აღემატებოდეს 10 გირვანქას, ხოლო ტილოში ან ტყავში შეხვეული ფულის ამანათი არ უნდა აღემატებოდეს 60 გირვანქას.

გარდახდა და ხარჯი წონის დაგვარად. საფოსტო მმართველობაში შემოღებულია: ყოველ სამის მისხლის წონა ბარათისთვის უნდა გარდახდილ იქმნას 7 კაპეიკი, ანუ 7 კაპეიკიანი მარკა უნდა დაეკრას ქიმზე; აშკარა წერილს უნდა ეკრას სამ კაპ. მარკა. საგანგებო წერილებს ხსენებულ ხარჯის გარდა უნდა მიემატოს კიდევ 7 კაპეიკიანი მარკა, რადგან საგანგებოდ იგზავნება. თუ ვინიცობაა საგანგებო წერილი დაიკარგა, ფოსტის მმართველობა იხდის ჯარიმას ერთს თუმანს.

ბანდეროლიანი ამანათები. ყოველს 12 მისხალზე იღებენ 2 კაპეიკს; ეს 2 კაპეიკი წონის დაგვარად თანდათან მატულობს, ხოლო როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ბანდეროლიანი ამანათი არ უნდა აღემატებოდეს 4 გირვანქას და მაშასადამე ბანდეროლიანი ამანათის სულ დიდი გარდასახადი იქნება 4 გირვანქაზე 65 კაპეიკი, ხოლო თუ ბანდეროლიანის ამანათით იგზავნება ან დაწერილი ქაღალდი, ან დაბეჭდილი, მაშინ გარდასახადი უფრო ნაკლებია. ყოველს თაბახზე იღებენ თითო კაპეიკს, ქალაქ გარეთ 2 კაპეიკს; საგანგებო ბანდეროლიანი ამანათს უნდა დაეკრას წონის დაგვარად მარკის გარდა ეიდევ 7 კაპ. მარკა საგანგებოდ გაგზავნისათვის.

ფასიანი და უფასო ამანათი. ხარჯი ამ გვარ ამანათებისა შემდეგია: ყოველ გირვანქა ამგვარ ამანათისათვის ყოველსაევ 300 ვერსტის მანძილზე დაწესებულია 3 კაპ. 300—400-მდე ვერსტზე—4 კაპ. გირვანქაზე, ასე რომ ყოველს 100 ვერსტზე ხარჯი გირვანქა ამანათზე მატულობს თითო კაპეიკობით, ხოლო რაც 2500-დამ 2700 ვერსტს გადასცილდება, იმ ამანათებზე ყოველს გირვანქაზე უნდა გარდახდილ იქმნას 26 კაპ. რაც 2700—3000-მდე ვერ გადასცილდება—27 კაპეიკი, რაც 3000—3250-მდე—28 კაპეიკი, რაც 3250—3500-მდე —29 კაპ., ერთის სიტყვით, რაც 2500 ვერსტს გადასცილდება, იმ შემთხვევაში ყოველ 250 ვერსტზე ყოველი გირვანქა ამანათი თითო კაპეიკი ჯდება: უმცირესი სარჯი მაინც ორ შაურზე ნაკლები არ არის.

დაბეჭდილ წიგნების ამანათების ხარჯი უფრო მცირეა, მაგრამ მაინც უმცირესი ხარჯი გამოკლეული არ არის, ხოლო რაც 1500-იდამ 2500 ვერსტს გადასცილდება, წიგნების ამანათის ყოველი გირვანქა ჯდება 16 კაპ., რაც 2500—5000-ს—ღირს 18 კაპეიკი, რაც 5000-ს გადასცილდება ის ღირს 20 კაპეიკი. ხოლო წიგნების ამანათი იეფად რომ დაჯდეს, საჭიროა ფოსტაში გამოაშკარებით წარადგინოთ, რათა დარწმუნდნენ, რომ მართლა წიგნები იგზავნება და სხვა არაფერი, და ამანათზე ამ შემთხვევაში უნდა დაეწეროს ამანათი წიგნებისა (посылка съ книгами).

ფულიანი პაკეტები ანუ ამანათები. ყოველ სამ მისხლის წონაზე იღებენ 7 კაპ., საგანგებოდ გაგზავნისათვის 7 კაპ. და ამას გარდა გასაგზავნის ფულის უზრუნველ-საყოფელად კიდევ სხვა ხარჯია. თუ ამანათით იგზავნება ოქროსი, ვერცხლისა, ან შავი ფული, მაშინ ისე აიღება ხარჯიც, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი ჩვეულებრივ ფასიან და უფასო ამანათების შესახებ, ესე იგი, იმ შემთხვევაში გადასახადი ხარჯი წონასა და მანძილზე იქნება დამოკიდებული.

ფასიანის პაკეტების ან ამანათების ხარჯი. აქაც როგორც ფულიან პაკეტებზე, იღებენ ყოველს 3 მისხალზე 7 კაპ., საგანგებოდ გაგზავნისათვის 7 კ. და უზრუნველ-ყოფის ხარჯს ფულის რაოდენობის დაგვარად.

საზოგადოდ, როცა პაკეტები ფასიანია ან ფუ-

ლიანია, მაშინ უეჭველად პაკეტები დაუბეჭდელი უნდა წარედგინოს ფოსტის მმართველობას; თუ შიგ რამე საქმის ქაღალდები ან სხვა ძვირფასი ნივთებია, ამ შემთხვევაში შიგ ნივთების ანუ ქაღალდების სიაც უნდა იყოს მოქცეული.

ხოლო თუ ფასიანი და ფულიანი ამანათი ერთს გირვანქას არ აღემატება, შეიძლება უბრალო კანვერტში იყოს გახვეული, და თუ 5 გირვანქას აღემატა, მაშინ ჯერ ტილოში და მერე ქაღალდში უნდა გაიხვეს, თუ აღემატა 5 გირვანქას, მაშინ უეჭველად ტილოში ან კლეონკაში და მერე ტყავში უნდა იყოს გახვეული.

თუ პაკეტი იგზავნება გაუხსნელად, ესე იგი, თუ ფოსტის მმართველობა არ დარწმუნდა თავის თვალით, პაკეტში რა ფასის ნივთებია, ამგვარ პაკეტებით 500 მანეთის მეტი არ შეიძლება გაგზავნილ იქმნას, ხოლო თუ პაკეტი გახსნილია, ესე იგი თუ ფოსტის მმართველობა დარწმუნდება პაკეტში მოქცეული ნივთები რა ღირებულობისაა, მაშინ მაგვარ პაკეტებით შეიძლება გაგზავნილ იქმნას 15,000 მანეთამდე.

თუ ვინიცობაა პაკეტს რამე შეატყო, ან ეჭვი აიღო პაკეტის მიმღებმა, რომ პაკეტი ნაწვალებია, მიმღებს შეუძლიან არ მიიღოს პაკეტი და ზედ პაკეტზე დააწეროს თავის ხელით მიუღებლობის მიზეზი. ასევე უნდა მოიქცეს გამგზავნიც, თუ ვინიცობაა პაკეტი უკან დაუბრუნდა. რაც შეეხება იმ დაბეჭდილ

ამანათებს, რომელიც ბანდეროლით უნდა გაიგზავნოს, ფოსტა იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაბეჭდილებზე არაფერი შენიშვნა და წარწერა არ არის, რომელსაც რაიმე კერძო მნიშვნელობა აქვს. შეიძლება გაიგზავნოს ფოსტით ძველი გაზეთები, კორრექტურის ფურცლები, ძვირფასი ხელთნაწერები, ბლანკები და სხვა. ერთის სიტყვით, ყოველგვარი დაბეჭდილი ან სტამბაში ან ლიტოგრაფიაში წიგნები, ბარათები და ბლანკები.

უზრუნველ-ყოფის ხარჯი. დაწესებულია რომ ყოველ 1-დამ 600 მანეთამდე, ან ამ ფასის ნივთებზე, ილონ უზრუნველ-ყოფის ხარჯად ნახევარ კაპეიკი თითო მანეთიდამ, 600-იდამ 1000 მანეთამდე— ერთი მეოთხედი კაპეიკი ყოველ მანეთიდამ და კიდევ ამას გარდა 1 მანეთი 50 კაპ.; რაც 1600 მანეთს გადასცილდება, იმაში უზრუნველ-ყოფის ხარჯად იღებენ ყოველ მანეთზე ათი მანეთის ღირებულობამდე ერთს მერვედს კაპეიკს და კიდევ 3 მან. 50 კაპეიკს.

ვადაზე საბეჭდავ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გზავნისათვის. შემოღებულია ხარჯი, რომელიც დამოკიდებულია ჟურნალ-გაზეთის ფასსა და ჟურნალ-გაზეთების №№ რაოდენობაზე. მაგალითად: საყოველ დღეო გაზეთზე იღებენ 18% წლიურ ხელის მოსაწერ ფულიდამ, ე. ი. გამოცემის წლიურ ფასიდამ, რაც ქალაქ გარეშე ხელის მომწერთ უჯდებათ. გამოცემაზე, რომელიც ორჯელ გამოდის,

იღებენ 16% ხელის მოსაწერ ფასიდამ; რომელიც ერთხელ გამოდის კვირაში—14%; რომელიც თვეში ორჯელ გამოდის—12% და რომელიც თვეში ერთხელ გამოდის—10%. სულ უკანასკნელი და უმცირესი ფასი არ უნდა იყოს ნაკლები: საყოველ-დღეო გამოცემისათვის 1 მან. 20 კაპ., კვირაში ორჯელ გამოსასვლელისათვის არა ნაკლებ 1 მან., საყოველ-კვირაოსათვის—80 კაპეიკი, თთვეში ორჯელ გამოსასვლელისათვის 60 კაპ, და საყოველ-თვეოსათვის 40 კაპ. წელიწადში.

უცხოეთის კორრესპოდენცია. უცხო ქვეყნებში მიწერ-მოწერისათვის დაწესებულია ეგრედ წოდებული „საფოსტო კავშირი ყველა ქვეყნებ შორის“, ხოლო რუსეთის სახელმწიფო არ არის ჩაწერილი ამ კავშირში და ამიტომ წერილები რუსეთიდამ უცხო სახელმწიფოებში ისეთსავე კანონებს ემორჩილება, რო გორც თვითონ რუსეთის საფოსტო დაწესებულებაშია მიღებული. კორესპოდენცია, უცხოეთში გაგზავნილი, წერილი იქნება თუ ამანათი, ფასიანი თუ უფასო, ან ბანდეროლიანი, შეიძლება გაიგზავნოს **ფრანკა**, ესე იგი, ხარჯ-გარდახდილი, და **პორტო**—ხარჯ-გარდაუხდელი, ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხარჯი ერთი ორად გამოერთმევა მიმღებს. წონა უცხო ქვეყნებში გასაგზავნის კორრესპონდენციებისა თითქმის ნახევარზე ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე რუსეთშია. შეიძლება კორრესპონდენცია საგანგებო იყოს; შეიძლება აგრეთვე კორრესპონდენციის დაზღვევა და უზრუნველ-ყოფა.

ფას-დარქმეულნი კონტრესპონდენტიები (съ наложеннымъ платежомъ). ეს ისეთი ამანათებია, რომელიც იგზავნება სხვა-და-სხვა ადგილებში და რომლისათვისაც ამანათის მიმღებს გამოერთმევა მიღებისათანავე რაც ფული ამანათზეა აღნიშნული, მაგალითად: თუ ვინმემ ვისისამე თხოვნისამებრ გაგზავნა თავისი საქონელი ან სხვა რამე ნივთი და საიმედო კაცად არ მიაჩნია ის კაცი, რომელსაც უგზავნის ამანათს, ფოსტას ატყობინებს, რომ ჩემი ამანათი **ფას-დარქმეულია**, რისთვისაც ფოხტა ართმევს დაწესებულს ხარჯს. ხოლო მიმღებს ატყობინებს, ამანათი მოგვივიდა და, როცა იმ ფულს გადიხდი, რაც ზედ აღნიშნულია, მაშინ შეგიძლიან იმისი მიღებაო.

ყოველ წერილის კონვერტზედ უეჭველად უნდა იყოს ადრესი მიმღებისა და აგრეთვე გამგზავნისა, რადგან ხშირად ასე მოხდება, რომ ადრესატს ვერ პოულობენ და წერილი ისევ უკან უბრუნდება გამგზავნს. წონა ჩვეულებრივის წერილისა არ უნდა აღემატებოდეს 3 მისხალს; თუ მეტი იქნება, მაშინ მეტი ფულიც უნდა მიეცეს, თორემ, რაც მეტია, ის წერილის მიმღებს გამოერთმევა. სამ მისხლის წონას შეადგენს ერთი თაბახი ფოსტის ქაღალდი და ერთი იმ გვარივე კონვერტი. **ყოველ ჩვეულებრივი წერილის** კონვერტს უთუოდ უნდა ეკრას 7 **კაპეიკიანი მარკა**. ეს ფასი დაწესებულია ყოველ სამ მისხლის წონაზე. ხოლო **ქალაქშივე გასაგზავნ წერილებს**, ესე იგი, ისეთს წერილებს, რომელიც ქალაქ გარეთ არ

იგზავნება, უნდა ეკრას 3 **კაპეიკიანი მარკა**. არის კიდევ **აშკარა** წერილები, ანუ ბლანკები, რომელიც ფოსტაში იყიდება 3 კაპეიკად; თვით ამ წერილებითაც შეიძლება მიწერ-მოწერა სხვა-და-სხვა ქალაქებშიაც. თუ ვინიცობაა ჩვეულებრივს წერილში ფული ჩადებული და ფოსტის მოხელეებისაგან შემჩნეულ იქმნა, ფულს სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ აიღებენ. აი მაგალითად, როგორ უნდა დაიწეროს ადრესი ჩვეულებრივ წერილის კონვერტზე:

7 კაპ. მარკ.	*Въ г. Тифлисъ.* *Елисаветинская ул., домъ № 999* *Петру Петровичу ПЕТРИДЗЕ.* **Изъ Кутаиса отъ Ив. Ив. Иванидзе.**

საგანგებო წერილი არ უნდა აღემატებოდეს 3 მისხალს და, თუ მეტი იქნება 3 მისხალზე, მაშინ წონის დაგვარად დაეკვრის მარკები და ამას გარდა დაეკვრის კიდევ **7 კაპეიკიანი** მარკა საგანგებოდ გაგზავნისათვის. საგანგებო წერილის მიღების ნაცვლად აძლევენ ხელ-წერილს (ბარათს) და, თუ ვინიცობაა საგანგებო წერილი დაიკარგა, ფოსტის მმართველობა მოვალეა გადიხადოს ერთი **თუმანი** იმის სასარგებლოდ, ვისაც წერილი დაუკარგა.

ნიმუში საგანგებო წერილისა.

14 კვ. მარგ.	*Заказное.*

Въ г. Тифлисъ.
Елисаветинская ул., домъ № 999
Петру Петровичу ПЕТРИДЗЕ.
Изъ Кутаиса отъ Ив. Ив. Иванидзе.

ნიმუში ფულიანის ბაკეტისა

Денежное.
Въ г. Тифлисъ.
Никалаевская улица, домъ № 888
Петру Петровичу ПЕТРИДЗЕ.
Со вложеніемъ ста рублей
Изъ Кутаиса отъ Ив. Ив. Иванидзе.

ნიმუში ფასიანის ამანათისა

Цѣнное.
Въ г. Тифлисъ.
Куки, Николаевская улица, домъ № 888
Петру Петровичу ПЕТРИДЗЕ.
Посылка на 40 руб.
Изъ Кутаиса отъ Ив. Ив. Иванидзе.

ბანდეროლიანი ამანათი. ბანდეროლით იგზავნება ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთები, დაბეჭდილი წიგნები და სხვა ამ გვარი ნივთები, საქმის ქაღალდები, დოკუმენტები და სხვა. ყოველ 12 მისხალ წონაზე უნდა დაეკრას 2 კაპეიკიანი მარკა, ხოლო ასეთი ამა-

ნათები 5 გირვანქას არ უნდა აღემატებოდეს, ბანდეროლიანი ამანათის გაგზავნა შეიძლება აგრეთვე საგანგებოდ, ხოლო ამ შემთხვევაში უნდა დაეკრას, წონის შესაფერი მარკების გარდა, კიდევ 7 კაპ. მარკაც საგანგებოდ გაგზავნისათვის. ბანდეროლზედ უნდა იყვეს აღნიშნული სრული ადრესი იმისი, ვისაც ეგზავნება, აგრეთვე ადგილი, საიდამაც იგზავნება ამანათი, თთვე, რიცხვი, წელიწადი და გვარი გამგზავნისა და, თუ გაზეთი ან ჟურნალია, მისი ნომერიცა.

ამანათები ორ გვარია: ფასიანი და უფასონი. ყოველი ამანათი უსათუოდ გახვეული უნდა იყვეს ან ტილოში, ან კლეონკაში, ან სხვა რამეში, ან უნდა იდოს ყუთში; ყოველი ამანათი წვრილის თოკით შეკრული უნდა იყვეს; საზოგადოდ ყოველის ამანათის წონა 3 ფუთს არ უნდა აღემატებოდეს.— თუ ამანათს აწერია „съ доставкою“ და ამანათს შინ მიუტანენ ფოსტის მსახურნი, მაშინ მიმღებს გამოერთმევა ყოველ გირვანქაზე სამი შაური, თუ ეს სიტყვა არ აწერია, მაშინ თვითონ მიმღებმა უნდა წაიღოს თავისი ამანათი; ამანათის მიღებას ფოსტა აცნობებს მიმღებს კერძო უწყებით.

ყოველ ამანათის ფასი დამოკიდებულია იმ მანძილზე, რა მანძილსედაც იგზავნება. რაც უნდა მცირე იყვეს წონით ამანათი, მაინც ორ შაურზე ნაკლებს არ აიღებს ფოსტა. ყოველ 300 ვერსტის მანძილზე ფოსტა იღებს თვითო გირვანქაზე 3 კაპეიკს და ამის შემდეგ ყოველ 100 ვერსტის სიშორეზე

ემატება თვითო კაპეიკი ყოველ გირვანქაზე—ვიდრე 2500 ვერსტამდე. შემდეგ ყოველ 250 ვერსტის მანძილზე ემატება ყოველს გირვანქაზე თვითო კაპეიკი.

მაგალითად 5 გირვანქიანი ამანათი, გაგზავნილი 300 ვერსტის სიშორეზე, ეღირება 15 კაპეიკი, 800 ვერსტის სიშორეზე—20 კაპეიკი.

წიგნების ამანათს სხვა ფასი აქვს. 1500 ვერსტის სიშორეზე წიგნების ამანათს ისეთივე ფასი აქვს, როგორც ზემო მოყვანილ ამანათებს, ხოლო რაც 1500 ვერსტს გადასცილდება, ვიდრე 2500 ვერსტამდე, ყოველი გირვანქა წიგნების ამანათისა ღირს 16 კაპ., ხოლო 2500 – 5000-მდე—18 კაპ. 5000 ვერსტის შემდეგ ყოველ გირვანქაზე 20 კაპ. ამგვარი ამანათებს უნდა ეწეროს: „წიგნებია“ (съ книгами) და ფოსტაში ამანათი გახსნილი უნდა წარდგენილ იქმნას. თუ საზოგადოდ ამანათი უფასურია, მაშინ ფოსტა, თუ ესეთი ამანათი დაიკარგა, პასუხს არ აგებს, ხოლო თუ ამანათი ფასიანია, მაშინ ზედ უნდა დაეწეროს იმისი ღირეულობაც; თუ ამანათით იგზავნება საქმის ქაღალდები, მაშინ უსათუოდ ქაღალდების სიაც უნდა იყვეს ზედ აღნიშნული რუსულად. გამგზავნს ეძლევა ბარათი, რომლისათვისაც გამოერთმევა 5 კაპეიკი.

ფულიანის ამანათებით იგზავნება ფული, როგორც კრედიტის ბილეთები (ქაღალდის ფული), აგრეთვე ოქროსა და ვერცხლის ფულიცა, სახელმწიფო სარგებლიანი ფურცლები, აქციები, ობლიგაციები,

კუპონები, ვექსილისა და ღერბის ქაღალდები და სხვა. თუ ამანათი არ აღემატება ერთს გირვანქას, შეიძლება ქაღალდის კონვერტში იყვეს ჩადებული, ხოლო რაც ერთს გირვანქას გადასცილდება, ის უსათუოდ უნდა გახვეულ იქმნეს ტილოში და მერე პაკეტში ჩაიდოს; ფულიანი პაკეტების გადასახადი ფასი ასეთია: ა) წონის დაგვარად: ყოველ 3 მისხალზე 7 კაპეიკი, ბ) უზრუნველ ყოფის გადასახადი და კვიტანციისათვის 5 კაპეიკი. უზრუნველ ყოფის გადასახადი ასე შესდგება: ერთი მანეთიდამ 600 მანეთამდე ფოსტა იღებს ნახევარ კაპეიკს თითო მანეთზე. ხოლო 1000 მანეთიდამ 1600 მანეთამდე ერთს მეოთხედს კაპეიკს ყოველ მანეთზე და ამასთანავე 1 მან. 50 კაპეიკს; რაც 1600 მან. აღემატება, ყოველ მანეთზე ერთს მერვედს კაპეიკს და ამასთანავე კიდევ 3 მან. და 50 კაპეიკს; მაგალითად ქუთაისში გაიგზავნა 150 მან. ეს დაჯდება: წონის ფასი 18 კაპეიკი, უზრუნველ ყოფის ხარჯი 75 კაპ. და კვიტანციისა 5 კაპეიკი, სულ 98 კაპ. ან იქნება მეტიც აიღონ, რადგან ხარჯი დამოკიდებულია თვითონ ფულის წონაზე, ესე იგი, თუ მანეთიანები იქნება, მაშინ მეტი წონა ექმნება და, თუ ერთი ათ თუმნიანია და ორი 25 მანეთიანი, მაშინ ცოტა წონა ექმნება და ნაკლებად დაჯდება.

ფასიანი პაკეტებით იგზავნება ყოველ გვარი ფასიანი ნივთები, ქაღალდები და ფულიც. ხოლო ფასი ნივთისა 1500 მ. არ უნდა აღემატებოდეს. კონ-

ვერტზე იწერება სრული ადრესი და კიდევ „ფასიანი“ (цѣнный), გვარი და სახელი და საცხოვრებელი ადგილი გამგზავნისა. პაკეტში უსათუოდ უნდა ჩაიდოს ნივთების სია. ამ პაკეტებში ფულით 1000 მანეთზე მეტი არ შეიძლება ჩადებულ-იქმნას. გასაგზავნი ფასი აქაც ისეთია, როგორც ფულიანი ამანათებში.

ჟურნალ-გაზეთების ამანათებს სულ სხვა ფასი აქვს და დამოკიდებულია ჟურნალ-გაზეთის №№-ის რაოდენობაზე. ამაზე ზემოდ იყო თქმული; ვადაზე საბეჭდი, რომელიც თთვეში ორჯელ გამოდის—12%, რომელიც ყოველ დღე—18%; უკანასკნელი ფასი, რის ნაკლებადაც არ შეიძლება ფოსტაში მიიღონ, არის საყოველთოვეო გამოცემისათვის წილიწადში 40 კაპ. საყოველ-კვირაოსათვის 60 კაპ. საყოველ დღეოსათვის 1 მან. 50 კაპ.

უცხოეთის კორრესპონდენცია, როგორც ზემოდ იყო თქმული, ისეთსავე წესებს ემორჩილება, რა წესებსაც ზემოდ ხსენებული კორესპონდენციები; ხოლო იმ განსხვავებით, რომ წერილები შეიძლება გაგზავნილ იქმნას უცხოეთში **ფრანკო**, ესე იგი მარკა დაკრული და **ბორტო**—მარკა დაუკრავი; ამ უკანასკნელისათვის მიმღებს ბარათის ჩაბარების დროს გამოერთმევა ორჯელ მეტი ფასი მარკისა. ადრესები საუცხოეთო წერილებისათვის უსათუოდ ფრანგულ ენაზე უნდა იყვეს დაწერილი.

საზოგადოდ, როდესაც ფოსტა უწყებით შეატყობინებს ამანათის მიმღებსა, რომ ამ გვარი ამა-

ნათი მოვიდა თქვენს სახელზეო და დროზე არ მოვიდა მიმღები, ხელ-მეორედ გაუგზავნიან უწყებას, შეიძლება მესამედაც გაუგზავნონ, ხოლო თუ მესამედაც არ გამოცხადდა ამანათის მიმღები, მაშინ ამანათს უკან დაუბრუნებენ იმას, ვისი გაგზავნილიც არის.

ყოველ ამანათის მიღების უწყებას დამოწმება უნდა ან პოლიციაში ან სხვა რომელსამე სახელმწიფო დაწესებულებაში ან კიდევ იმ დაწესებულებაში, სადაც მსახურობს ამანათის მიმღები. დაუმოწმებელ უწყებით ფოსტა ამანათს არ მისცემს.

არის აგრეთვე ამანათის მიღებისათვის შემოღებული რწმუნების ბარათები, რომლითაც შეიძლება დაუმოწმებლად გამოტანილ იქმნას ფოსტიდამ ამანათი, ხოლო უკანასკნელის განკარგულებით, ერთსა და იმავე კაცს არ შეუძლიან მინდობილი ჰქონდეს ათის კაცის რწმუნების ბარათის მეტი. ამანათის მიღების დროს ყოველს კაცს შეუძლიან მოსთხოვოს ფოსტის მოხელეს, რომ იმანვე გახსნას პაკეტი, რათა დარწმუნდეს, რომ ამანათს არაფერი აკლია, თორემ, თუ ამანათი შინ ან გზაში გახსნა და მაშინ შეამჩნია მიმღებმა, რომ ამანათს აკლია რამე, ფოსტა პასუხს აღარ აგებს.

საზოგადო დაწესებულებანი კორრესპონდენციის გამგზავნისა და მიმღებლებისათვის. აღკრძალულია ფოსტით გაიგზავნოს ყოველ-გვარი ადვილად ასანთებელი ან ასაფეთქებელი ნივთი და აგრეთვე

უბანდეროლო თამბაქო. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი ხაზინის სასარგებლოდ შეირიცხება. ამას გარდა გამგზავნს ან მიმღებს ჯარიმა გამოერთმევა. აღკრძალულია აგრეთვე უბრალო ან ჩვეულებრივ პაკეტებით ფულის გაგზავნა. როდესაც ფასიანი პაკეტი იგზავნება, უსათუოდ გამგზავნის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი უნდა იყვეს აღნიშნული კონვერტზე. თუ ვინიცობაა ფოსტაში დაიკარგა ან საგანგებო ან ფასიანი ამანათი, გამგზავნს შეუძლიან თხოვნით მიჰმართოს საფოსტო მმართველობას, სადაც მიცემული იყო ხსენებული ფასიანი პაკეტი. თხოვნის მიცემა მაშინ იქნება კანონიერი, როდესაც თხოვნასთან ერთად წარედგინება კვიტანცია ან ნოტარიუსისაგან დამტკიცებული მისი კოპიო. ხოლო თუ დაკარგვის შემდეგ ორი წელიწადი გავა, მაშინ მთხოვნელს ეკარიება უფლება ჩივილის დაწყებისა...

სამართალი

და

სამოსამართლო დწესებულებანი.

სამართალი. სამართალის თვისება და ვითარება მრავალნაირია, ამიტომაც სამართალი სხვა-და-სხვა გვარად განიყოფება: არის სამართალი სამხედრო, საეკლესიო, სავაჭრო და სხ. ყოველ გვარ სამართალზედ ბაასი შორს წაგვიყვანს. უფრო საჭიროა და გამოსადეგი ისეთის სამართალის ცოდნა, რომელსაც საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, ყველა მოქალაქისა და მცხოვრებისათვის საავალდებულოა. ასეთს სამართალს, როგორც მაგ., სამხედრო, ან საეკლესიოა, კერძო მნიშვნელობა აქვს, ერთისა და საზოგადოების რომლისამე ჯგუფისათვის არის საავალდებულო. მაგრამ კაცი მარტო რომლისამე წოდებისა და ხელობის წარმომადგენელი როდია, არა,—კაცი წევრია სახელმწიფოსი, მოქალაქეა და ამიტომაც საზოგადო, საერთო უფლება და მოვალეობა აქვს. აი ეს საზოგადო უფლება და მოვალეობა შეადგენს უმთავრესს საგანს იმ სამართალისას, რომელიც ორ

დიდ ნაწილად განიყოფება: **სამოქალაქო სამართალი** და **სისხლის სამართალი.**

როცა კაცის მოქმედებაში, საზოგადოებრივს ურთიერთობაში რაიმე დანაშაული და პირდაპირ კანონისაგან აკრძალული ვნება და ზარალი არა სჩანს, მაგრამ ვინმე სხვის უფლებას არღვევს, მაშინ საქმე სამოქალაქო სამართალს შეეხება. საზოგადოდ რომ ითქვას: სამოქალაქო სამართალი კაცთა ქონებრივს დამოკიდებულებას განაგებს. სულ სხვაა სისხლის სამართლის საგანი: დანაშაულობა, ვნება და ზარალი კერძო კაცისა თუ საზოგადოებისა — აი რაშია სისხლის სამართლის საქმე. რასაკვირველია, მეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიც ყველა კერძო შემთხვევაში განსაზღვრა და უცილობელი გამიჯვნა ამ ორის სამართალისა, მაგრამ განსხვავება კი მათ შორის ისაა, რაც ვუჩვენეთ: სისხლის სამართალს კაცის დანაშაულობასთანა აქვს საქმე, სამოქალაქო სამართალს კი — ქონებრივს ურთიერთობასთან.

სამოქალაქო და სისხლის სამართალი მოწყობილია და დაფუძნებული იმის და გვარად, თუ რაოდენად ვრცელია მოქმედება და მეტია ხელმწიფება (კომპეტენცია) სასამართლოსი. არის სასამართლო მდაბალი, შუათანა, მაღალი. თვითოეულს სასამართლოს საკუთარი ძალა და მნიშვნელობა აქვს. რაც სასამართლო უფრო დაბალია, იმდენად ცოტა ექვითხვის და მცირედის საქმის გადაწყვეტა აქვს მინდო-

ბილი. გარდა ამისა, ყველა მაღალი სასამართლო ზედამხედველია დაბალისა, მაღალი სასამართლო ასწორებს შეცდომას, რომელიც კი დაბალს სასამართლოში მოხდება. სასამართლოების ეს დაბალ-მაღლობა, ერთურთი დამოკიდებულობა თვით სამართლის ბუნებითა და ცხოვრების საჭიროებით არის გამოწვეული. სამართალში ბევრი ისეთი მარტივი და უბრალო მოვლენაა, რომ გასარჩევად და გასაბჭობად არც დიდი ცოდნაა საჭირო, არც დიდი გაფრთხილება და დაკვირვება. ამისთანა სამოსამართლო ამბავს დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს საზოგადოებისათვის. მაგ., მოქმედებით შეურაცხობა კაცისა მცირედი დანაშაულობაა და მისი გასამართლება დაბალს სასამართლოს რომ მიენდოს, არა დაშავდება-რა. სულ სხვაა კაცის მოკვლა. ეს ისეთი დიდი ბოროტება და დანაშაულია, რომ მის გაბჭობას დიდი სიფრთხილე და დიდი ცოდნა, დაკვირვება მართებს; ამიტომაც კანონი მხოლოდ მაღალს სასამართლოს ავალებს ამ ბოროტების განხილვას. მაშასადამე, სასამართლოების მაღალ-დაბლობის საბუთი და მიზეზი თვით სამართალის ბუნებაში უნდა მოიძებნოს.

სასოფლო სასამართლო. ბატონების გადაეარდნის შემდეგ, გლეხობას კანონმა საკუთარი სამართალი მისცა, ცალკე სასამართლო მიანიჭა და თავისი მოსამართლეები დაუწესა. სასოფლო სასამართლო პირველ-დაწყებითი სასამირთლოა, თუ ასე შე-

იძლება ითქვას. იგი განაგებს მარტო იმ საქმეებს, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლისას, რომელიც გლეხობას შეეხება; თუ არ გლეხი, სხვა წოდების კაცი არ ექვემდებარება სასოფლო სამართალს. სულ უბრალო და მარტივი სამოსამართლო ფარემოებაა სასოფლო სასამართლოს საგანი: თვით გლეხკაცობის ურთიერთობა და დამოკიდებულებაც ხომ მარტივია და უბრალო... ყველა სამოქალაქო-სასამართლო დავა, რომელიც თვისი რაოდენობითა და ფასით არ აღემატება ათს თუმანს სასოფლო სასამართლოში უნდა გაირჩეს. რაც შეეხება სისხლის სამართალს, აქაც მხოლოდ მცირე დანაშაულობა და ზიანი ეკითხვის სოფლის მსაჯულებს: მაგ., ქურდობა, როცა ნაქურდალის ღირებულება სამ თუმანზედ მეტი არ არის, ხელით შეურაცხყოფა, ცილის წამება და სხვა წვრილმანი ბრალეულობა. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ სოფლის მსაჯულებმა, კანონის ძალით, მხოლოდ მაშინ უნდა გაასამართლონ საქმე, როცა მოჩივარი და მოპასუხე ერთისა და იმავე სოფლის საზოგადოებისანი არიან; თუ სხვა და სხვისანი არიან, მაშინ სოფლის სამოსამართლო საქმე მომრიგებელ მსაჯულს ეკითხება. მაგრამ ისიც კი არ უნდა დავიწყოთ, რომ ეს ითქმის მხოლოდ სამოქალაქო სამართლის საქმეებზედ და არა სისხლის სამართლისაზედ.

განაჩენის დადგენა მსაჯულებისა ანუ მოსამართლეების მოვალეობაა, ხოლო განაჩენის აღსრუ-

ლება კი მამასახლისის საქმეა. მაშასადამე, **მამასახლისი ადმასრულებელია და არა სამართლის გადამწყვეტელი**; მამასახლისს საჩივრისა და დავის გარჩევისა, განაჩენისა და მსჯავრის დადგენისა არა ეკითხვისრა; მამასახლისი ისეთივე მონაწილეა სოფლის სასამართლოში, როგორც მაგალითად, ბოქაული მომრიგებელ სასამართლოში. ეს არ უნდა დავივიწყოთ, იმიტომ—რომ ბევრს სოფლის საზოგადოებაში მამასახლისებმა, უცოდინაროობისა გამო, საკუთარის მოვალეობის გარდა, მსაჯულობაც დაიჩემეს,—ხშირად განაჩენსაც ადგენენ და აღსრულებაშიც თვითონვე მოჰყავთ თავიანთი განაჩენი... ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარი არევ-დარევა მოვალეობისა და თანამდებობისა წარმოსდგა იმისაგანაც, რომ მამასახლისის მოვალეობა და თანამდებობა ჯეროვანად არ არის განმარტებული და განსაზღვრული. კერძოდ საქმე კიდევ იმაშია, რომ მამასახლისი, ხხვათაშორის სოფლის გამგებელია, ადმინისტრატორი და ამიტომაც ზოგიერთა მცირე დანაშაულობაზე (მაგ., სოფელში ჩხუბი, რაიმე უწესობა) ხელი მიუწვდება,—თითოოროლა სასოფლო-საპოლიციო დანაშაულობას თითონ მამასახლისი სჯის და სასჯელს უჩენს მის ჩამდენს (ცოტა ხნობით დაჭერა, ორდღეობით დატუსაღება). რაკი ეს საპოლიციო უფლება კანონმა აკუთვნა მამასახლისს, იმას ეგონა, რომ ყველა სასოფლო დანაშაულობის გაბჭობაც ჩემი მოვალეობაა, დაიჩემა კიდეც ეს მოვალეობა, მაგრამ ეს დაჩემება კანონის წინააღმდეგია.

სოფლის სასამართლოს განაჩენს მამასახლისი ან თითონ შეასრულებს, ან არა და გზირებს შეასრულებინებს... საქმის გარჩევისათვის უეჭველად სამი მსაჯულია საჭირო და, თუ ამ რიცხვს აკლია, გაბჭობა უკანონო იქნება, განაჩენი დაირღვევა. თვით განაჩენი ხმის უმეტესობით უნდა დაიდოს. როცა ორში ერთი, ან მოჩივარი ან მოპასუხე, განაჩენის თანხმა არ არის, მაშინ ნება აქვს **ერთის თვის** განმავლობაში საჩივარი შეიტანოს **საგუბერნიო სამმართველოში**; ამ სამმართველოში ცალკე განყოფილებაა—„საგუბერნიო და საგლეხო საქმეთა სამმართველო“ და ეს განყოფილება გაარჩევს საჩივარს მსაჯულების განაჩენის გამო. რადგანაც ისიც შეიძლება, რომ საგუბერნიო სამმართველოში შეცდომა მოუვიდეთ, საჩივარის ვითარებასა და შინაარსს არ მოუძებნონ ჯეროვანი მუხლი კანონისა, ერთის სიტყვით, კანონს ასცდნენ, ამიტომ სამმართველომ შეიძლება საქმე გადაიტანოს განსახილველად სენატში (კასაცია). ვადა ერთი თთვეა.

როგორც სჩანს, გლეხ-კაცების სამართალი თავისის ბუნებითა და შინაარსით მეტად მარტივია, ადვილად საწარმოებელი. საქმის წარმოებას სამოსამართლო ხარჯი (ბაჟი) არ აძევს. მაგრამ თვით სასამართლოს აგებულება კი რთულია,—საჩივარი, საქმის გადაწყვეტილება სოფლის სასამართლოდამ სენატამდე მიდის... ეს იმიტომ, რომ სამართალი, რაც უნდა მცირედს საგანს შეეხებოდეს, მაინც დიდი ტვირთია,

„ღვთაებრივი ძალაა“ და გაფრთხილება საჭიროა, რომ „სამართლის სასწორმა“ მრუდედ არ იმუშავოს. თვით წარმოებაც ისეა მოწყობილი, რომ ერთი სასამართლო მეორეს თვალ-ყურს ადევნებს —სასწორი არ გამრუდდესო... აქაც რაც სასამართლო უფრო მაღალია, იმდენად უფრო მცოდნე და გამოცდილნი კაცნი ბჭობენ და მოსამართლეობენ.

მომრიგებელი სასამართლო. სოფლის სასამართლოს თან მისდევს **მომრიგებელი სასამართლო.** სხვათაშორის, არსებითი განსხვავება მათშორის ისაა, რომ პირველი წოდებრივი სასამართლოა, **საგლეხ-ებლო,** მეორეს კი საზოგადო, საერთო მნიშვნელობა აქვს,—ყველა წოდების კაცს შეუძლიან მიმართოს მომრიგებელ მსაჯულს, მოსამართლეს. თვით სახელ-წოდება „მომრიგებელი“ გვიჩვენებს — რაშია უმთავრესი დანიშნულება ამ სასამართლოსი: პირველი მოვალება და, ვიტყვით სამღვთო მოვალეობაც, მომრიგებელის მსაჯულისა ისაა, რომ მან „მორიგებით“, მშვიდობით გაათავოს საქმე, მოჩივარსა და მოპასუხეს ერთურთ შორის დავა-დარაბა მოუსპოს. რადგანაც მომრიგებელ მოსამართლის პირველი მოვალეობა ესაა და—მორიგებაც მხოლოდ იმისთანა საქმეში შეიძლება, რომელიც უფრო კერძო კაცს შეეხება, ვიდრე საზოგადოებას, ამიტომაც მომრიგებელ სასამართლოს მცირე საქმეები აქვს ჩაბარებული: სისხლის სამართლიდამ მომრიგებელი მსაჯული განაბჭობს მარტო იმ გვარ დანაშაულს, რომლისათვისაც

სულ დიდი სასჯელი დატუსაღებას არ აღემატება; მომრიგებელს მსაჯულს არ ეკითხვის რაიმე მძიმე დანაშაული, რისთვისაც კანონით დადებულია, დატუსაღების გარდა, პირადის ღირსებისა და უფლების ჩამორთმევა, ციმბირში დასახლება, მადნებში სამუშაოდ გაგზავნა...

ხოლო რაიცა შეეხება სამოქალაქო კანონებს, სამოქალაქო სამართალს, ამ ზღუდეშიც მისი სამფლობელო მცირედია, ასპარეზი ვიწროა: სადავო ღირებულობით არ უნდა აღემატებოდეს **ორას თუმანს**. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მოჩივარს და მოპასუხეს კანონი ნებას ანიჭებს მომრიგებელს მსაჯულს ისეთი სამოქალაქო სადავო მიანდოს, რომელიც იმის ჩვეულებრივი მოვალეობა არ არის,—აქ საქმე მოჩივრისა და მოპასუხის მორიგებაზეა დამოკიდებული, მხოლოდ ერთის პირობით კი: მსაჯულის განაჩენი ორთავემ საბოლოოდ უნდა მიიჩნიონ. შეუძლიანთ არ იტვირთოს მისი განაჩენი ან ერთმა და ან მეორემ და იჩივლოს უმაღლეს სასამართლოში მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლომ სადავოდ საქმის გარჩევის დროს მხედველობაში არ მიიღო რომელიმე მუხლი კანონისა, გარდასცდა გარეგანს წესს სამოსამართლო საქმის განხილვისას (საკასაციო საჩივარი). თვით არსებით-კი რასაც ამ შემთხვევაში გადასწყვეტს მოსამართლე, იმის გამო უმაღლეს სასამართლოში დავის ატეხა შეუძლებელია (სააპელაციო საჩივარი).

რადგანაც მომრიგებელი სასამართლო ისეთი

დაწესებულებაა, რომელზედაც ყველას—დიდსა თუ პატარას, მდიდარსა თუ ღარიბს, დაუბრკოლებლივ ხელი უნდა მიუწვდებოდეს, ამიტომ აქ დავისა და საჩივრის დაწყება ადვილია. თვით მსაჯული ვალდებულია ყოველ მხრივ საქმე გაუადვილოს მოჩივარს, იმისი თხოვნა **პროტოკოლში** ჩასწეროს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმის წარმოება. გარდასახადს არ თხოულობს: ყოველ გვარ ქაღალდს მისცემთ მსაჯულს ქაღალდის ფულის გაუღებლად. მართალია, ზოგიერთა შემთხვევაში აქაც საჭიროა გარდასახადი, მაგრამ მეტად მცირედი: განაჩენისა და პროტოკოლის პირის გამოსატანი თაბახზე ორი შაური, მოწმების ხარჯი და სხვა ამისთანა წვრილმანი. სულ სხვაა სამოქალაქო საქმის წარმოება: აქ სადავო საქმე უნდა დაფასდეს და მანათზე ერთი კაპიკი გარდასახადია დადებული; გარდა ამისა, რამდენ თაბახ ქაღალდსაც შეიტან, თითო თაბახზედ იმდენი ორი შაურია, ასე რომ გარდასახადი, ცოტა არ იყოს, საგრძნობელია, მეტადრე ღარიბისათვის.

როცა საქმე დაიწყება, იმას წარმოება უნდა. საზოგადოდ რომ ითქვას, მოჩივარს ნება აქვს დაწყებული საქმე მოსპოს, თუ კი საქმე იმ გვარია, რომ მორიგებით შეიძლება გათავდეს. ეს არ ითქმის მხოლოდ ზოგიერთა სისხლის საქმეზედ, რადგანაც ბევრი ამ გვარი საქმე მორიგებით არ თავდება (მაგ., ქურდობა). სამოქალაქო დავის მოსპობა კი ყოველთვის შესაძლებელია,—სხვათა შორის, თუ მოდავე

სასამართლოში არ გამოცხადდა, მსაჯული საქმეს მოსპობს და ხუთ მანეთამდე ჯარიმას დააწერს მოჩივარს, თუ ვინიცობაა მოსპობილი საქმე განაახლა, ახლად დაიწყო.

მომრიგებელი მოსამართლის განაჩენი ორ გვარია,: **დაბოლოებული**, როდესაც განაჩენს სხვა სასამართლოში ვერ გადაიტან და ნება-უნებურად უნდა დამორჩილდე და **არ-დაბოლოებული**, როდესაც მომრიგებელ მოსამართლის განაჩენის თანხმა არა ხარ და განაჩენის ხელახლად განხილვას თხოულობ. მომრიგებელი მოსამართლე **საბოლოოდ** მაშინ ადგენს განაჩენს, როცა საჩივრისა ან დავის საგანი მცირედია და სასჯელი მეტად მსუბუქია. მაგ., სამოქალაქო დავა **სამ თუმნამდე** საბოლოოდ გადასწყდება. სისხლის საქმეებში დატუქსვა, სამის დღით დატუსაღდება, ჯარიმის გადახდა თხუთმეტ მანეთამდე, სამ თუმნამდე ზარალისა და ზიანის ზღვევინება ეგრეთვე საბოლოო განაჩენით მოხდება და ამ ნაირს განაჩენს უნდა დასთანხმდე, —სააპელაციო საჩივარის ნება არა აქვს. გარდა ამისა, განაჩენს დაადგენენ **დასწრებით** და **დაუსწრებლად**. **დასწრებით** დადგენილი განაჩენი იმას ჰქვიან, როცა მოჩივარი და მოპასუხე საქმის გარჩევას ესწრებიან და ბჭობა მათ თვალწინ წარმოებს. რასაკვირველია ზოგიერთა შემთხვევაში, შეიძლება ერთი მათგანი თითონ არ დაესწროს საქმის განხილვას და ვექილი გაგზავნოს. **დაუსწრებლად** განაჩენს კი მაშინ დაადგენენ, როცა დამნა-

შავე არ გამოცხადდება მოსამართლესთან და ვექილს არ გაგზავნის სასამართლოში; დაუსწრებლად დავას გადასწყვეტენ მაშინაც, როცა მოპასუხე არ გამოცხადდება (სამოქალაქო საქმის შესახებ). **დაუსწრებელ** დადგენილის განაჩენის პირი გაეგზავნება იმ მოპირისპირეს, რომელიც არ დაესწრო საქმის განხილვას და, თუ **ოთის კვირის** ვადამდე თხოვნა არ შეიტანა, ახლად გაარჩიეთ დავა ან საჩივარიო, მაშინ პირველი, მის **დაუსწრებლად** დადგენილი განაჩენი ძალაში უნდა შეეიდეს. თუ შეიტანა, მაშინ **დაუსწრებელი** განაჩენი გაუქმდება, ვითომ სულ არც კი დადგენილიყოს და საქმე ხელ-ახლად უნდა დაიწყოს.

საზოგადოდ **ვადას** დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის საქმეში. ხშირად თუ **ვადა** გაატარე, თავის დროზე საჩივარი არ შეიტანე, **დავა** არ დაიწყე, თუ **ვადაზე** არ გამოაცხადე, განაჩენის თანხმა არა ვარო და სხ., მაშინ, რაც უნდა მართალი იყო, სიმართლე მაინც ხელიდამ წაგივა. სამოსამართლო **ვადა** სხვა და სხვა შემთხვევისათვის განსხვავებულია, მოკლეა ან გრძელი. მომრიგებელმა მოსამართლემ დანაშაულობისათვის სასჯელი რომ გააჩინოს, ერთი დღე-ღამის (сутки) განმავლობაში უნდა გამოაცხადო თანხმა ხარ განაჩენისა თუ არა; თუ არ გამოაცხადე— **ვადა** დაგეკარგება. ვინც **ოთის კვირის** ვადაზედ განაჩენს უჩივლელად დასტოვებს, იმას ნება არა აქვს მომრიგებელ სასამართლოდამ ოლქის სასამართლოში საქმე გადიტანოს ახლად განსახილველად (აპელაცია).

ასეა სისხლის სამართალში, სამოქალაქო საქმისათვის კი სააპელაციოდ **ერთის თვის** ვადაა დადებული. მომრიგებელმა მოსამართლემ შეიძლება რაიმე **უკანონობა** ჩაიდინოს, მაგ. ვსთქვათ, საჩივარი არ მიიღო და გსურთ უჩივლოთ. საჩივრის ვადა **ერთი კვირაა**; თუ ამ ვადას გადააცილე, საჩივარს არ გაარჩევენ... ბოროტ-მოქმედებისათვის რომ ვისმეს უჩივლონ, უთუოდ ვადა არ უნდა გაატაროს, რადგანაც თვით უმძიმესი ბოროტებაც კი, თუ კი ვადას გადასცილდა, კაცს დანაშაულობად არ ჩაეთვლება და სამართალიც მდუმარეობს ამ შემთხვევაში. ამიტომაც კანონში განმარტებულია, რომელი დანაშაულება **რა ვადის** შემდეგ ბრალად აღარ ედება ბოროტ-მოქმედს. სამოქალაქო სამართალიც ამ გზას ადგია: თუ ვადაზედ დავა არ დაიწყეს, შეიძლება სარჩო-საბადებელი კაცს სრულიად მოესპოს. ვსთქვათ, ძალ-მომრეობით საკუთარი მამული მოგიხნეს, „მფლობელობა დაგირღვიეს“... **თუ ექვს თვეზედ** დავა არ გამართეთ, საქმე წასულია,—მამულის მფლობელობა მომრევს დარჩება და თქვენ კიდევ სიგელებით და სხვა დაწერილის საბუთებით უნდა დაუმტკიცოთ მომრევს, რომ წართმეული მიწა ჩემიაო! დიად, დიდი მნიშვნელობა აქვს **ვადას** სამართალში და ამ **ვადის** უცოდინაროობას დიდი ზარალიც მოაქვს, მეტადრე მდაბიო ხალხისათვის...

ოლქის სასამართლო და სამოსამართლო პალატა. ოლქის სასამართლოს, რასაკვირველია, უფრო

მძიმე და დიდი საქმეები ეკითხვის და ასპარეზიც ვრცელი აქვს. ამ სასამართლოში სხვა და სხვა **განყოფილებაა**, მაგ., სისხლის სამართლისა, სამოქალაქოსი, სააპლაციო, გამიჯვნის საქმეთა და სხვ. ამიტომაც ოლქის სასამართლო მრავალ მწეროვანია, მისი შინაგანი მოწყობილება რთულია. მომრიგებელ სასამართლოში ყველაფერი მარტო ერთ მსაჯულზედ არის დამოკიდებული, აქ კი მსაჯულია მთელი კრება (კოლეგია); კრება ბჭობს მთელის ოლქის სამოსამართლო საქმეებს. მომრიგებელი სასამართლო ექვემდებარება ოლქის სასამართლოს, რომელიც თვალყურს ადევნებს მომრიგებელ სასამართლოს მოქმდებას, გარდა ამისა ოლქის სასამართლო სააპელაციო სასამართლოა, ე. ი. მომრიგებელის მსაჯულის განაჩენი ამ სასამართლოში უნდა განიხილონ, როცა მოჩივარი ან მოპასუხე თანხმანი არ არიან განაჩენისა. უეჭველია, რაკი ოლქის სასამართლოს მნიშვნელოვანი საქმეები ეკითხვის, ამიტომ სამართლის წარმოება აქ უფრო რთულია. ჯერ ერთი ესა, რომ საქმის გაბჭობაზედ მიუცილებლად სამი მსაჯული უნდა დაესწროს, მეორედ კიდევ—გაბჭობას წინ უძღვის სადავო საქმის ან დანაშაულობის ვითარების გამოკვლევა. ვიდრე ბჭობას შეულდგებოდნენ, საჭირო მასალა უნდა შეიკრიბოს, საქმე უნდა დამზადდეს, თუ ასე შეიძლება ითქვას. სისხლის სამართალში მასალის შეკრება და საქმის დამზადება **გამოძიებას** აქვს მინდობილი. თვით გამოძიება, რომელსაც თავს და-

სტრიალებს **ბრალკურატურა**, განსაკუთრებული დაწესებულება. **ბრალკურატურა** და **გამოძიება** სდევნიან ყოველ გვარს მძიმე დანაშაულობას, რომლისათვისაც სასტიკი სასჯელია დანიშნული. როცა გამოძიება გამოიკვლევს, გამოსჩხრეკს დანაშაულობას, მაშინ სადანაშაულო საქმეს **ბრალკურორი** ოლქის სასამართლოს გადასცემს—გაასამართლეთ დამნაშავეო.. სამოქალაქო საქმის ანუ დავის ბჭობაც რთულია. ოლქის სასამართლო თხოულობს, რომ მოჩივარმა და მოპასუხემ, რაც კი შეიძლება, ყველა საბუთი და მასალა წარმოადგანონ სადავო საქმის განსამარტებლად. ორივე მოპირისპირე, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიანო,—თვითოეულად სცდილობს, თავის სასარგებლოდ ყველა დასამტკიცებელი მასალა მისცეს სასამართლოს. თვით სასამართლო კიდეე ერთსაც და მეორესაც აცნობებს, საბუთის პირს უგზავნის გამოძიებას, აი ამაზედ რას იტყვიო. როცა სადავო საქმის მასალა დამზადდება, საბუთები შეიკრიბება, მხოლოდ მაშინ შეუდგებიან ბჭობასა. ერთის სიტყვით, როგორც სისხლის საქმის წარმოება, ისე სამოქალაქო ანუ სადავო საქმისა, ოლქის სასამართლოში შედარებით უფრო დიდს დაკვირვებას და სიფრთხილეს თხოულობს, ვიდრე დაბალ სასამართლოში, რადგანაც თვით საქმის თვისება რთულია და მისი მნიშვნელობა დიდი...

ესევე ითქმის **სამოსამართლო ბალატაზედ**, რომელიც უმაღლეს სასამართლოდ ითვლება. სამოსა-

მართლო პალატას მთლად მომრიგებელი და ოლქის სასამართლოები ემორჩილება. იგი ჩვენში სააპელაციო და საკასაციო სასამართლოა, ე. ი. ოლქის სასამართლოს განაჩენი და საკასაციო საჩივარი მომრიგებელ მსაჯულის განაჩენზედ აქ უნდა განიხილოს. გარდა ამისა, მარტო **სამოსამართლო პალატაში** შეიძლება გაბჭობა ზოგიერთა დანაშაულობისა, მაგ., როცა რომელსამე მოხელეს ბრალი ედება, თანამდებობისა და მოვალეობის შესახებ ესა და ეს ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეო... (ამ შემთხვევაში ყველა ღირსების მოხელე როდი ექვემდემარება პალატას: ზოგს გაასამართლებს ოლქის სასამართლო, ზოგს კიდევ—მაღალ ხარისხოვანებს, **სენატი**). რადგანაც **სამოსამართლო პალატა** უფრო საპელაციო და საკასაციო სასამართლოა, ამიტომ იქ მზა საქმე გადადის, პალატა მზა განაჩენს სინჯავს და აზრს სდებს—სამართლიანია და დასაბუთებული იგი განაჩენი თუ არა, მომრიგებელი მსაჯული ასცდა თუ არა კანონს, რომელიმე მუხლი დაარღვია, თუ არა. ამნაირად **სამოსამართლო პალატა** უფრო ასწორებს, კანონს უთანაბრებს განაჩენს, ვიდრე ჰქმნის.

პალატა **დეპარტამენტებად** განიყოფება. თითოეულს **დეპარტამენტს** თავსმჯდომარე ჰყავს და **უფროსი თავსმჯდომარე** პირველი გამგებელი და მმართველია **სამოსამართლო პალატისა**. თვითოეულს დეპარტამენტს საკუთარი საქმეები აბარია, მაგ., არის სისხლის საქმეთა დეპარტამენტი და სხვ. სამართალის

წარმოება, როგორც ოლქის სასამართლოშიც, კოლეგიურია ე. ი. სამი წევრი ერთად, სამის უმეტესობით, სდებენ განაჩენს.

სამოსამართლო პალატა, როგორც საკასაციო სასამართლო პირველი და უკანასკნელია. აქ საბოლოოდ უნდა განიხილონ მომრიგებელი სასამართლოს განაჩენი. მაგრამ ეს კი არ ითქმის ოლქის სასამარლოს განაჩენზედ. **სამოსამართლო პალატის** გადაწყვეტილებაზედ საჩივარი გადააქვთ **სენატში**, რომელიც, ამ შემთხვევაში, უმაღლესი **საკასაციო** სასამართლო და მაშასადამე მაღლაცა სდგა პალატაზედ.

როგორც სჩანს სასამართლოების აგებულება იერარქიულად არის მოწყობილი,—ერთი მეორეს და ამ გვარად ზემოდამ ქვემოდ დასცქერის თემი და თავისის სასწორის მოძრაობას... თუმცა ნაბძანებია, რომ ამ სასწორმა მსწრაფლად და სწორედ იმუშაოს, მაგრამ ესე კი არ არის ყოველთვის. ესე არ არის სხვათა შორის იმტომ—რომ თვით სასწორის მოწყობილობა რთულია და ერთი და იგივე სადავო საქმე იშვიათად თუ ყველა სასამრთლოს დარბაზს არ დაივლის. მაგრამ ამაზედ ბაასი შორს წაგვიყვანს და ჩვენ მხოლოდ **მოკლე ცნობები** უნდა გაგვეზიარებინა ჩვენის „მიწერ-მოწერის კრებულის“ მკითხველებისთვის.

სარჩევი

I. წინასიტყვაობა 3

ნაწილი პირველი

II. ორიოდე სიტყვა საზოგადოდ ყოველ წერილებზე 5
III. სხვა და სხვაგვარი წერილები (მოკლე დარიგება წერილებისა და ბარათების შესადგენად). 10
IV. უკანასკნელი სიტყვა. როგორ უნდა იხმაროს მკითხველმა მიწერ-მოწერის კრებული . . 25

ნაწილი მეორე

V. მოკითხვის წერილები მშობლებთან, ნათესავებთან და მეგობრებთან 27
VI. ბარათები ნათესავებთა—შორის 37
VII. წერილები მეგობართა შორის 56
VIII. მაუწყებელი ბარათები ქორწილზე და სიკვდილზე 59
IX. ბარათები უცხო პირებთან და ნაცნობებთან სხვა და სხვა საქმის გამო . . 76
X. მილოცვის წერილები 88
XI. სანუგეშო წერილები 96
XII. სამძიმრის წერილები 102
XIII. სარეკომენდაციო წერილები 109
XIV. დარიგების, წყრომის და განკიცხვის წერილები. 117
XV. მადლობის ბარათები 123
XVI. საბოდიშო წერილები 127

494.63
8955

XVII. სამეჯნურო და საარშიყო წერილები . . . 130
XVIII. მოწვევისა, თანხმობისა, უარისა, მოგონებისა, მოპატიჟებისა, დაცდისა და სხვა გვარი წერილები. 142
XIX. საკომერციო ბარათები 147
XX. საქმის ბარათები 153
XXI. ზოგიერთ საქმის ბარათების ნიმუშები რუსულად 163

ნაწილი მესამე

XXII. ღერბის ხარჯი (гербовый сборъ) 169
XXIII. ნოტარიუსის კანონიერი სასყიდელი 172
XXIV. სამოსამართლო პრისტავების დასაჩუქრება . . 173
XXV. ვექილების კანონიერი დასაჩუქრება 174
XXVI. ვადები სასამართლოში 174
XXVII. ფოსტა და მისი წესდებულება 175
XXVIII. სამართალი და სამოსამართლო დაწესებულებანი 191

ამ ცოტას ხანში დაიბეჭდება და გამოვა გასასყიდად
რამდენსამე წიგნაკად

გ ა ლ ე რ ი ა ნ გ უ ნ ი ა ს

დ რ ა მ ა ტ ი უ ლ ი თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი

წიგნაკებში მოექცევა შემდეგი პიესები:

დ ა - ძ მ ა

ისტორიული დრამა 5 მოქმ. მეგრელთ წარსულ ცხოვრებიდან.

ბედნიერნი ცოლ-ქმარნი ანუ **ადვოკატთან**

კომედია-ხუმრობა 1 მოქმედებად, ჩვენი ცხოვრებიდან.

ალლუმი

კომედია 4 მოქმედებად, აწინდელის ცხოვრებიდან.

ხოლვეროგბა

კომედია-ხუმრობა 1 მოქმედებად, ჩვენის ცხოვრებიდან.

მოღალატე

ისტორიული დრამა 5 მოქმ. ქართველთ წარსულ ცხოვრებიდან.

არც აქედ არც იქით!..

ხუმრობა ერთს მოქმედებად.

ზოგი ჰირი მარგებალია

კომედია-ანდაზა 3 მოქმ. ჩვენი დროინდელი ცხოვრებიდან.

მონადირე

ანუ

დარბაზს შესვლა შენს სელთ არის, გამოსვლა კი პატრონისა

ვოდევილი ერთ მოქმედებად.

რაც არ მერგება—არ შემერგება

ვოდევილი-ანდაზა ერთს მოქმედებად.

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე

კომედია-ხუმრობა 3 მოქმ. ჩვენი დროინდელი ცხოვრებიდან.

საშოვნელსა ნაშოვნი სჯობიან

ვოდევილი ერთ მოქმედებად.

ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან

ვოდევილი-ხუმრობა ერთ მოქმედებად.

ზირთი - ფირთი საქმე

ხუმრობა ორ მოქმედებად.

ისყიდება წიგნ. გამომცემელ ქართველთა
და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის

494.63
3 955

ფასი ოქრი აბაზი

ათას-ოცდასი.